ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №26 (1727) 13 — 19 ივლისი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი

## საქართველოს ერთიანობის





მეორე გვერდი

ლევან სანიკიძე:

## პროვინციული აზროვნება თბილისში იწყება ...

## საიდუმლო ეკლესიისადმი

გურამ ჩახვაძე:



## არჩევნებში შავი ფული მაინც იტრიალებს...

მეორე გვერდი

## ქრისტეშობის 2000 წლისთავზე ცარიელი დარბაზების ამარა არ აღმოვჩნდეთ!

მესამე გვერდი

## შეუგნებლობა თუ „შეგნებული“ შეცდომა?! 7

(მურმან ლებანიძის ერთი უსათაურო ლექსის გამო)

## მორჩილებაში ძევს!

### ფრთხილად, მოდაშია მოტაცება ოსურად!

ისტორია მეორდება. მონაწილენი, მიზეზები და მეთოდები იცვლება, იხვეწება, თანამედროვეობას ეხამება. ლეკები ცხენებით გვიტაცებდნენ, ოსები კი ახლა მანქანებზე გადავიდნენ, და ჯერ კიდევ ვინ იცის, ტექნიკის რა მიღწევას გამოიყენებენ. უწინ თუ ქართველ ქალებს იტაცებდნენ ძირითადად საკუთარი ჯიშის გასაკეთილშობილებლად, ახლა კაცებს გვტაცებენ. ეტყობათ, კობა კურტანიძის და ბორია გოგიჩაშვილისთანების მომრავლება უნდოდათ ოსებს და საჯიშედ მიჰყავდათ.

ასე რომ, თუ გაიგებთ, ოსებმა ვიღაცა გაიტაცესო, ქალი ნუ გეგონებათ, „ოსურად მოტაცებამ“ სხვა დატვირთვა მიიღო.

### „არაჰუმანური“ ჰუმანიტარული დახმარება



ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ახლახანს გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კოსოვოში ლტოლვილთათვის გაგზავნილი წამლების 40% უვარგისი, გადასაყრელი და მომწამვლელია ორგანიზმისთვის. ამერიკელები აგზავნიდნენ ციებისა და ქოლერის საწინააღმდეგო წამლებს, რომელიც მხოლოდ ეკვატორზე გამოიყენება, აგრეთვე წონაში დასაკლებ საშუალებებს (ლტოლვილთათვის!). კოსოვოელთათვის, ასე თუ ისე, დროზე გაკეთდა ეს განცხადება, მაგრამ ნეტავ, ჩვენთან წლების განმავლობაში რას გვიგზავნიდნენ ჰუმანიტარული დახმარების სახით?

ერთი რამ კი ჭეშმარიტად უნდა გვახსოვდეს: „ჰუმანიტარულობამ“ ქართველ ერს ისეთი იმუნიტეტი გამოუმუშავა, რომ ვერანაირი „არაჰუმანური“, ძლიერმომქმედი საწამლავიც ვერაფერს დაგვაკლებს (აი, სად ვლინდება მითრიდატე ევპატორის მეთოდი!).

### ჰუსეინი და საქართველო ერთნაირი პრობლემის წინაშე დგანან

სადამ ჰუსეინმა მათხოვრებს ომი გამოუცხადა. მიიღო კანონი, რომლის მიხედვით 3 თვეს მიუსჯიან მას, ვისაც მათხოვრობაზე წაასწრებენ. თუ მათხოვარი თავს ხეიბრად გაასაღებს, კიდევ ერთ წელს დაუმატებენ. სამი წელი ციხე ელის, ვინც მათხოვრების ბანდას შექმნის. ერაყის ხელისუფალნი იმედოვნებენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ თავს დააღწევენ ამ ფენას, რადგან ერაყის ციხიდან სამთვიანი პატიმრობის შემდეგაც კი ცოცხალი იშვიათად გამოდის ვინმე.

კიდევ კარგი, დროზე შევედით ევროსაბჭოში და ასეთ „აზიურ კანონს“ არ მივიღებთ, თორემ ჩვენს მთავრობასაც რომ მიებაძა ერაყისთვის, საქართველოში არსებულ მათხოვართა არმიასთან ნამდვილად წააგებდა ბრძოლას.

### სიყვარულს მალვა არ უნდა



სიყვარულმა ასაკი და დრო არ იცის. ეს რომ ასეა, ისიც მოწმობს, რომ ჯაბა იოსელიანს ციხეში სიყვარული ეწვია. როგორც თვითონ ამბობს, ელენე მისი უკანასკნელი სიყვარულია („მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“). დროება შეიცვალა, თუ შეყვარებული ტარიელი ქაჯეთის ციხეში დამწყვდეული ნესტან-დარეჯანისათვის თავს სწირავდა, რათა იქიდან დაეხსნა, ახლა ელენე თევდორაძე იბრძვის, როგორმე ორთაჭალის ციხეში გამომწყვდეული ჯაბა-ტარიელი (რომელიც არაერთხელ ყოფილა გაჭრილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტყეებში) ტყვეობიდან გაათავისუფლოს.

ელექტრონული ვერსია http:// www.opentext.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერვიუ

### ლევან სანიკიძე:

# პროვინციული აზროვნება თბილისში იწყება...



**— ისტორიკოსი დროის, მოვლენების საუკეთესო შემფასებელია. ბევრი რამ მოხდა და ხდება ქვეყანაში. სათქმელი დაგიგროვდებოდათ, ალბათ, ბატონო ლევან.**

— სათქმელს რა გამოლევს. საზრუნავი ძალიან ბევრია. ჩვენთვის მთავარი, ქვეყანაზე ფიქრია, რომლის შვილები, ღვთის მადლით, მე ხაზს ვუსვამ ამას, ჩვენ ვართ. ბედნიერებაა, დაიბადო ქართველად. ეს უნდა იცოდეს ქართველმა კაცმა. ძალიან მკაცრად ვამბობ ამას და არა საზეიმო ელფერში ან ეგზალტირებული სადღეგრძელოს მსგავსად. სულ უნდა ვფიქრობდეთ, რა მეშველება პიროვნულად მე კი არა, რა ეშველება ქვეყანას. განუწყვეტელი ფიქრი და ზრუნვაა საჭირო. დღევანდელი საქართველო, ჩვენდა სამწუხაროდ, კრიზისით არის მოცული, მხოლოდ მატერიალურად კი არა, სულიერითაც. 10 წელიწადია ამ დღეში ვართ. ასე რომ, II ათასწლეულის ბოლო ათწლეული არის პანკრიზისი საქართველოს ისტორიაში.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— დღე და ღამე უნდა ფიქრი, როგორ დავიხსნათ თავი. ჩემი თაობა არ ვიცი, მაგრამ თქვენი თაობა შესძლებს, რომ დაუბრუნდეს საქართველოს ის ოქროს ხანა, რაც ჰქონდა დავითის, თამარის დროს.

რანაირი ვიყოთ, ძებნა არ გვჭირდება. ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ქართველებს: „ქართველნი უცხოდ მოყვარენი". რომ ვამბობთ, უცხოეთში როგორც არის, ისე ვისწავლოთ და გავხდებით კარგიო, ასეთი რადიკალური შეხედულება დასაგმობად მიმაჩნია. არ გამიგოთ ისე, რომ ვგმობ უცხოურს, მაგრამ ჯერ შენით დაიწყე, იქნებ გვაქვს გამოცდილება, რომლითაც ვიხსნით საკუთარ თავს, ჩვენ ხომ უდიდესი, მრავალფეროვანი ისტორიის მქონე ერი ვართ.

**— ამ კარგ ისტორიას ხელი არ შეუშლია გვქონოდა „309 ქართული სირცხვილი"...**

— „309 სირცხვილი" დაიწერა იმისათვის, რომ კიდევ აღარ დაგვემართოს. ეს 1921 წლამდე იყო, მის შემდგომ 309 კი არა, ბევრად მეტი იქნება, იმდენი რამე ჩავიდინეთ. მარტო 1991-92 წწ. რომ ავიღოთ, სულ უნდა რცხვენოდეს საქართველოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, ქართველები რომ ერთმანეთს დაერივნენ. ახლა ბევრს გაჰყვირიან, შევაფასოთ, რაც მაშინ მოხდაო, ე.ი. ვიღაცა დამნაშავედ უნდა გამოვაცხადოთ. მე მიუკერძოებლად მაქვს შეფასებული ის, რაც მოხდა, მიუკერძოებლად. ისტორიკოსის მოვალეობაა, შეაფასოს ესა თუ ის მოვლენა „გარეშე გაანჩხლებისა და მიკერძოებისა" (ტაციტუსის ფორმულა). სუყველა დამნაშავეა. სამოქალაქო ომმა გმირობა არ იცის. ვაღაცას ჰგონია, სხვები დამნაშავეები იყვნენ, მე გმირი ვიყავიო. ნურას უკაცრავად, ყველა დამნაშავეა. იქ ერთი იყო მარტო გმირი — გია აბესაძე, რომელმაც ქართველთა დაძირული გონება რომ გამოეღვიძებინა, ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. ეს გმირობა ჯერ კიდევ არ არის შეფასებული. ცოტნე დადიანის აღზევება მაშინვე კი არ დაწყებულა, გმირობა რომ ჩაიდინა, თითქმის 300 წელიწადი დასჭირდა, რომ მიმხვდარიყვნენ.

ზვიად გამსახურდიას ჰქონდა მომენტები, გმირი გამხდარიყო. რომ გამოსულიყო იმ დღეს, როცა პირველი ტყვია გავარდა და ეთქვა: არ გაბედოთ, ერთი სისხლის წვეთიც რომ დაიქცეს ჩემი გულისთვის, მე გადავდექიო, გმირობა არ იქნებოდა? ან როცა ალყაშემორტყმულ სოხუმში შევარდნაძე იყო, კი არ გამოსულიყო აფხაზეთიდან, არამედ მისულიყო და ეთქვა, მტრები კი ვართ, მაგრამ ახლა საერთო მტერს ერთად ვებრძოლოთო, ხომ იქნებოდა გმირი. მე ამას პირველად არ ვამბობ და ბევრს არ მოსწონს ჩემი პოზიცია. „ისტობა" სანამ იქნება, კრიზისი არ მოიშლება. საჭიროა შეთანხმება და არა ერთმანეთის მომდურეობა და ლანძღვა-გინება, რომელიც უფრო და უფრო ხშირდება.

**— 1990 წელს ზვიად გამსახურდიას ამომრჩეველთა 87%-მა მისცა ხმა, სულ მალე ედუარდ შევარდნაძემ ასევე ხმათა დიდი რაოდენობა დააგროვა. ელექტორატის ასეთი მოქმედება რას უნდა მივაწეროთ?**

— ამ შემთხვევაში ასეთ ალოგიკურ გამოვლენას ამომრჩევლის პოზიციისას, როცა იმასაც აძლევ ხმას და ამასაც, გარკვეულწილად გამართლება შეიძლება მოუძებნო. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ დადგა უხელისუფლებობის ხანა. შემდეგ ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. ადამიანს, რომელსაც იმედი ჰქონდა ზვიად გამსახურდიასი, იგივე იმედი გაუჩნდა შევარდნაძის. ნუ გაგვიკვირდება ეს. ჩვენ სიხარულით შევხვდით დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადებას და ზვიად გამსახურდია ავირჩიეთ პრეზიდენტად. მე პირადად მივეცი ხმა მას. მოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მე მასაც ხმა მივეცი იმიტომ, რომ მქონდა დიდი იმედი, როგორც გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე (სახელმწიფოებრივი გამოცდილებით შედარებაც არ შეიძლება ზვიადისა და შევარდნაძის) აღადგენდა წესრიგს, ანარქიის ნაცვლად არქიას დაამყარებდა.

**— აფხაზეთთან ჩვენ ომი წავაგეთ და დავკარგეთ. არძინბამ „საინფორმაციო ომიც" მოგვიგო. ამ დროს ქართული მხრიდან ურთიერთსაპირისპირო მონაცემები შედის ინტერნეტში აფხაზეთზე, იმდენად ურთიერთგამომრიცხავი, რომ ერთ-ერთ იაპონელ დოქტორს გაკვირვებულს უკითხავს, გამაგებინეთ, რა არის აფხაზეთიო.**

— აფხაზეთი არის ისეთივე საქართველო, როგორც სამეგრელო, იმერეთი, გურია, კახეთი და ა.შ. ამაზე სხვა ვარაუდით აზროვნება უვიცობაა. ან არ იცი, ან განგებ აყალბებ ამას. აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთ ჩხირისოდენას ვერ იპოვი არაქართულს, ყველა კულტურული ძეგლი ქართულია.

არ ვიქცევით ჩვენ ჭკვიანად. ნიჭიერად კი არა, ჭკვიანად. არ არსებობს უფრო ნიჭიერი ადამიანური ფენომენი, ეთნიკურ-ჯიშობრივად, ქართველი რომ არის. პოლიტიკა ჭკვიანობაა, მეტი არაფერი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ინტერვიუ

### გურამ ჩახვაძე:

# „მიუხედავად ყველაფრისა, არჩევნებში შავი ფული მაინც იტრიალებს"...

**— ბატონო გურამ, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ორგანოში ახლახან შემოტანილი პროექტი 2000 წლის ბიუჯეტის შესახებ ბევრ კითხვას და გარკვეულ ეჭვს ბადებს, რაშია საქმე?**

— საბიუჯეტო პროცესი კანონის თანახმად, ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურას და გარკვეულ ეტაპებს. ახლა ვართ პირველ ეტაპზე, მთავრობას შემოაქვს მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები განსახილველად, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უნდა იმსჯელოს და გამოთქვას თავისი მოსაზრებები ამ ძირითად მიმართულებებზე, რასაც მთავრობა გაითვალისწინებს ან არ გაითვალისწინებს. შემდეგ პარლამენტში შემოდის ბიუჯეტის პროექტი...

მთავრობამ ბიუჯეტის პროექტი 3 თვით ადრე უნდა შემოიტანოს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, პარლამენტმა უნდა მიიღოს წლის დასასრულამდე. 2000 წლის ბიუჯეტი კანონის თანახმად არსებულმა პარლამენტმა უნდა მიიღოს, მაგრამ აქ დგება მეორე საკითხი, რამდენად მოასწრებს ეს პარლამენტი მომავალი წლის ბიუჯეტის მიღებას; ახალი პარლამენტი მუშაობას მომავალი წლიდან შეუდგება. გამოდის, რომ მას კანონდარღვევით მოუწევს 2000 წლის ბიუჯეტის განხილვა. აქ სამართლებრივი მომენტი რა იქნება მომავალში, კარგად არ არის გამოკვეთილი.

ეს პარლამენტი თუ ვერ მოასწრებს 2000 წლის ბიუჯეტის განხილვას და, ალბათ, ეს ასეც იქნება, მომავალმა პარლამენტმა შეიძლება სულ სხვანაირად შეხედოს ამ ძირითად მიმართულებებს, და საერთოდ, იმ ბიუჯეტის პროექტს, იმისდა მიხედვით, თუ რა პოლიტიკური ძალთა განლაგება იქნება. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს მემკვიდრეობის და ხელისუფლების უწყვეტობის პრინციპი. ხელისუფლების ცვლილება მართვაში ქაოსს არ უნდა იწვევდეს. შეიძლება რაღაც შეცვალო, პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად, მაგრამ პროცესი მთლიანად არ უნდა იცვლებოდეს.

**— შეიძლება ეს წინასწარ დაგეგმილი პროცესი იყოს?**

— არა, მთავრობა და პრეზიდენტი ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს 2000 წლის ძირითადი მიმართულებები. აქ შეიძლება ვივარაუდოთ, რამდენად რეალურია ეს ძირითადი მიმართულებები და მას წინასაარჩევნო მომენტის დაღი ხომ არ აზის, ხომ არ არის



რაღაც ისეთი აქცენტები გაკეთებული, რომელიც შემდგომში ხელისუფლებას და მმართველ პარტიას მისცემს საშუალებას ილაპარაკოს, რომ მე, აი, ამას და ამას გპირდებით მომავალ წელს. შეიძლება ასეთი მოტივაცია იყოს ამ ძირითად მიმართულებებში.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ხელისუფლება — ბერმუდის სამკუთხედი?



საქართველოს საზღვაო სანაოსნო ანუ ქართული ფლოტი გემების გარეშე შეიძლება დარჩეს და გერმანულმა ბანკმა, რომლის 140 მილიონი დოლარი ვალი ჰქონია ჩვენს სანაოსნოს, ეს გემები, ალბათ, მალე უნდა შეახრამუნოს, მაგრამ გერმანულ ბანკს რას ვერჩით, იგი ამბობს — სესხი მომიცია, შეგიჭამიათ, უკან არ მიბრუნებთ და აბა, მე რა ვქნაო. მართალიც არის, 140 მილიონი დოლარი 140 ლარი ხომ არ არის, რომ ვინმემ გაპატიოს, ახლა საკითხავი ის არის, თუ ვის ჰქონდა გველეშაპის კუჭი, რომ 140 მილიონი დოლარი ისე შეჭამა, კვალიც კი არ დაუტოვებია. ისე, მაგარი ხელისუფლება გვყავს, სანამ გემების გაყიდვაზე არ მიდგა საქმე, მანამდე ვერ მოიცალა, რომ საქართველოს საკუთრებისთვის ყურადღება მიექცია, რათა იგი ვინმეს გაუმაძღარ ხელს არ გაენავებინა. ამ ხელისუფლებას ცოდვად ქართული ფლოტის დაკარგვაც ეყოფა, სხვაზე რომ არ ვილაპარაკოთ. ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება ბერმუდის სამკუთხედის როლში გამოდის, რომელმაც ისე ჩაყლაპა ათობით ქართული გემი, რომ იმ ავადსახსენებელ სამკუთხედსაც შეშურდებოდა.

### პრესას დაბალ ლობედ ნუ მივიჩნევთ

პარლამენტარმა ავთანდილ ტყებუჩავამ მოითხოვა საპარლამენტო კომისიის გამოყოფა პრესის დამფინანსებლების გამოსარკვევად.

ბატონ ავთანდილის მოხსენება, რომ დღევანდელ საქართველოში, ნიკო ლორთქიფანიძის პერეფრაზირება რომ გავაკეთოთ, ყველაფერი იყიდება, მიწა-წყალი, პატიოსნება, თანამდებობის სკამები, მართლმსაჯულება, მთავრობა და პარლამენტი, და რა გასაკვირია, თუ ხანდახან პრესაც იყიდება? პრესა ხომ მეოთხე ხელისუფლებად ითვლება, თანაც ყველაზე დაჩაგრულად ჩვენში, ამიტომ ერთი შეგონება უნდა ვთქვათ: ჯერ გამოასწორეთ პირველი სამი ხელისუფლება, გახადეთ შეუბღალავი, პრინციპული და კანონის დამცველი და ამის მერე ეძგერეთ პრესას, თორემ უკუღმა დაწყებულ საქმეს წაღმა შედეგი არ მოჰყვება და იმ თავისუფალ სიტყვასაც ჩაკლავთ, რომელიც ჯერ კიდევ ისმის ჩვენს ქვეყანაში.

### ვისი კისერი სჯობს?



ლეიბორისტთა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა — თუ ჩვენ ან შევარდნაძის კისერზე, ან აბაშიძის კისერზე, ან პატიაშვილის კისერზე გვინდა ყოფნა, ეს შექსპირის ყოფნა-არყოფნააო...

საკითხავია, ნათელაშვილის კისერზე ყოფნა არის თუ არა ყოფნა-არყოფნა. თუ ისეთი მსხვილი კისერი გააჩნია ბატონ შალვას, რომ მისგან ჩამოვარდნის არ უნდა შეეშინდეს კაცს;

### ჭკვიანი გიჟები და გიჟი ჭკვიანები

თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტებს თურმე არჩევნებში მიუღიათ მონაწილეობა და მათ უმრავლესობას ანუ 51 პროცენტს მოქალაქეთა კავშირისათვის მიუცია ხმა.

მომავალ არჩევნებში, თუკი ქართველი ხალხის 51 პროცენტმა მოქალაქეთა კავშირს მისცა ხმა, საკითხავი მაშინ ის იქნება, რომ ჩვენში გიჟებიც ჭკვიანები არიან, თუ ჭკვიანად ჩათვლილი ადამიანები გიჟები არიან?

### კიდევ ვნახავთ „დინგიან" სახეებს?

ქალაქის მერიამ გადაწყვიტა, რომ შეიქმნება სპეციალური სტენდები, სადაც იქნება დაშვებული საარჩევნო პლაკატების გამოკვრა. ამ წინადადებას მხარს უჭერს ყველა პოლიტიკური პარტია იმ შეგნებით, რომ ქალაქის დანაგვიანება მათაც აწუხებთ, მაგრამ ეს შეგნება გაჰყვებათ თუ არა მათ არჩევნების დღეებამდე, ნამდვილად საკითხავია და აჭრელდება თუ არა თბილისი ნაირფერი პლაკატებით, ამას შემოდგომაზე ვიხილავთ. ყოველ შემთხვევაში, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „თბილისის" თავმჯდომარის გიგი წერეთლის ჩივილი, „რატომ უნდა ვუყუროთ ვიღაცის დინგიან სახესო" — ნამდვილად აქტუალურია, რადგან „დინგიანი" სახეების ცქერა ყოველ ნაბიჯზე ნამდვილად არასასიამოვნოა.

**შევარდნაძის ცნობილმა პროტეჟემ მედეა მეზვრიშვილმა განაცხადა: „დიდების ზღაპარს" არ ვუყურებ. ჩემზე რაც უნდათ, ის გააკეთონ, მაგრამ ვერ ვიტან, ვიტანჯები, როცა პრეზიდენტს ან ყვანიას ასეთ მდგომარეობაში ვხედავო.**

ჯერ ერთი, ულოგიკობასთან გვაქვს საქმე. თუ „დიდების ზღაპარს" არ უყურებს ქალბატონი მედეა, მაშინ პრეზიდენტსა და ყვანიას როგორ უცქერს. მეორეც, ეგ ზღაპარი ხომ ხელისუფლების საარჩევნო კამპანიის ნაწილია, სადაც პრეზიდენტი და ყვანია ყოველთვის მტრები და დაუმარცხებლები არიან, ხან დოლში იმარჯვებენ, ხან ყაჩაღებთან ჭიდილში და ხანაც რუსთაველის თეატრის მაშენებელნი არიან. მოკლედ, ზღაპარში მაინც არიან ზღაპრული უფლისწულებივით და რას უჩივის ქალბატონი მედეა „დიდების ზღაპარს", საოცარია.

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ნეტავი გამაგებინა, ვის უნდა პრეზიდენტობა?



ბარონ მიუნჰაუზენს, ახლა რომ საქართველოში იყოს, გაოცებისგან ენა ჩაუვარდებოდა (თვით მიუნჰაუზენს!). ახლახანს გავრცელებული ინფორმაციით, „ალორძინებიდან" პრეზიდენტის პოსტზე 3 კანდიდატს უნდა ეყარა კენჭი: ასლან აბაშიძეს, ჯუმბერ პატიაშვილს და კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას. შვეიცარიაში მცხოვრებ კოკოს (ექსპრეზიდენტის შვილის კნინობითი სახელი) ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გაუგია, რომ „პრეზიდენტობა უნდოდა". არა, ბატონო, თავი დამანებეთ, გულშიაც არ გამივლია ეგ ამბავიო, განუცხადებია.

იქნებ, დანარჩენ ორ კანდიდატს პრეზიდენტობა არც დასიზმრებიათ და ძალას ნუ დავატანთ, პრეზიდენტობა „ლობიოს ჭამა კი არაა".



### ვინ შეიძლება ვადღეგრძელოთ ლუდით?

თბილისურ სიცხეში ვერის პარკში გოგი თოფაძის მიერ მოწყობილ აქციაზე, სადაც უფასოდ არიგებდნენ ცივ „ყაზბეგს", „არგოს" და „კასტელს", უამრავმა ლუდის მოყვარულმა გაიგრილა გული. ლუდი, აბა, რა არის სადღეგრძელოების გარეშე და იყო ერთი „პარადი", რომელიც ბ-ნმა გოგი თოფაძემ დააგვირგვინა: ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ქართული ლუდის წარმოებას ხელს შეუშლისო.

„ყაზბეგის" საგადასახადოსთან დაკავშირებული სკანდალები ყველასათვის ცნობილია. ასე რომ, თუ მთელი არა, ნახევარი საგადასახადო სამსახური, ალბათ, „გულიანად" ადღეგრძელა ბატონმა გოგიმ.

### ღარიბაშვილის ფიქრები — პროკურორი ვიქნები

ადვოკატობიდან პროკურორობისაკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ბატონ ქართლოსს მოუხდა ხულიგნობის „შავი ფერის მანტია" წამოესხა. საინტერესოა, როგორ შეხვდება ხალხი „ნახულიგნარ" პროკურორს. „შავმა სამყარომ" კი სიხარულით შეიძლება ტაშიც დაუკრას ღარიბაშვილს, რადგან განსასჯელის ფსიქოლოგიის მცოდნე პროკურორი, წესით, ლმობიერად უნდა განიხილავდეს საქმეს.



### ვაშა, მღებრიშვილი სიბერეში დატკბა!

ბატონი თემურ მღებრიშვილი თავის „სპეცნაზურ" კარიერას, ალბათ, არტისტულით დაასრულებს. მის უდიდეს სამსახიობო ნიჭში, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით. ამის ნათელი დადასტურება იყო თავის იუბილეზე „საყვარელი" ჟურნალისტებისათვის გამართული პრესკონფერენცია, სადაც მასპინძელი სტუმრებს ტორტითა და შამპანურებით გაუმასპინძლდა (ნეტავი, გული ცუდს ხომ არ უგრძნობს ბ-ნ თემურს!). თან დაპატარავებული „დუბინკები" უჩვენა, რომელსაც მალე ჩურჩხელებით შეცვლის.

ამ განცხადების შემდეგ ბევრს გაუჩნდა სურვილი სპეციალურად იაროს მღებრიშვილის „საყვარელი" ზვიადისტების მიტინგებზე, რათა დარბევისას კახური ჩურჩხელებით ჩაიკოკლოზინოს ყელი.

### ვცადოთ და გავიხაროთ



სახალხო პარტიის ლიდერმა მამუკა გიორგაძემ განაცხადა — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი სასიამოვნოა ისეთ ტერიტორიაზე შესვლა, სადაც მოქალაქეთა კავშირის სული არ ტრიალებსო.

ჰოდა, ბატონო მამუკა, იქნებ ერთობლივად ვცადოთ და მთელი საქართველო ვაქციოთ ისეთ ტერიტორიად, სადაც მოქალაქეთა კავშირის სული არ იტრიალებს? ამით მოქალაქეთა კავშირის წევრებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა მაინც გაიხარებს.

# ქრისტეშობის 2000 წლისთავზე ცარიელი დარბაზების ამარა არ აღმოვჩნდეთ!

ეროვნული საგანძურის და საეკლესიო სიწმინდეების საზღვარგარეთ გატანასთან დაკავშირებით შექმნილი აჟიოტაჟი ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზაციას. ექსპონატები საზღვარგარეთ გასატანად არა მარტო ს. ჯანაშიას, შ. ამირანაშვილისა და კ. კეკელიძის სახელობის თბილისის მუზეუმებიდან მზადდება, არამედ ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდანაც.

საუბარი არ არის საგანძურის მხოლოდ ამერიკაში წაღებაზე. ა. წ. ივლისის მეორე ნახევრიდან დეკემბრამდე დაგეგმილია ქართული საგანძურის გატანა გამოფენაზე იტალიაში ქ. ტრიესტში, სახელწოდებით „მართლმადიდებლური სამყარო კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ", რისთვისაც გამზადებულია 47 ექსპონატი. როგორც საქართველოს საპატრიარქო აცხადებს, არ არსებობს ექსპერტთა დასკვნა და იტალიურ მხარესთან დადებული არათუ ხელშეკრულება, არამედ ხელშეკრულების პროექტიც კი. ამას გარდა ამ გამოფენასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტრო არ შეთანხმებულა საპატრიარქოსთან.

როგორც იტალიის, ასევე ამერიკის გამოფენებთან დაკავშირებით საპატრიარქოს შემდეგი პოზიცია უჭირავს, რომ მიუღებელია ასეთ გამოფენებში ამ საგანძურის მონაწილეობის მიღება, სანამ არ გაირკვევა ამ განძეულის სამართალმემკვიდრე, რადგან იგი ძალადობით და უკანონოდ არის ჩამორთმეული ეკლესიისთვის კომუნისტური ხელისუფლების მიერ. გარდა ამისა, არავინ არ იცის რა პირობებში იქნება ეს განძეული და გვექნება თუ არა გარანტია, რომ იგი არ დაზიანდება და არ დაიკარგება.

ნივთების გატანის მოწინააღმდეგეთა მიმართ სხვადასხვა არგუმენტებთან ერთად ასახელებენ იმას, რომ საქართველოს არ ჰყავს სათანადო დონის სპეციალისტები და ამიტომ მათ არ შეუძლიათ შეაფასონ, დაზიანებულია თუ არა ესა თუ ის ნივთი. როგორც ხელოვნებათმცოდნემ, ქალბატონმა ქეთი აბაშიძემ განაცხადა: „ცნობილი უნდა იყოს რა ინახება მუზეუმებში, შედგეს ნუსხები, როგორც კარგ მდგომარეობაში მყოფი, ასევე დაზიანებული ნივთებისა. გარდა ამისა, ზოგიერთი მუზეუმი საერთოდ არ არის რეგისტრირებული. ყველაფერი ეს შესასწავლია. არსებობს ნივთები, რომელთა გადაადგილება არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კარგ მდგომარეობაში იმყოფება. ამ ნივთებს აქვთ როგორც ისტორიული, ასევე რელიგიური დანიშნულება. მაგ. თამარის ჯვარის ამოძრავება არ შეიძლება და თუ ვინმეს მისი ნახვა უნდა, კეთილი ინებოს, ჩამობრძანდეს და ნახოს."

გასატან სიათა ნუსხაში არის ბედიის ბარძიმიც. როგორც ქალბატონი ქეთევანი ამბობს: „ასეთ ნაკეთობას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. იგი ჩამოსხმულია ერთიანი ოქროსაგან, ამავე დროს ამოჭედილია და საერთოდ არა აქვს ნაკერი".

საპატრიარქოს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი მამა დავითი აცხადებს: „ჩვენ მოვითხოვთ სათანადოდ იქნეს ყურადღებული სპეციალისტების აზრი", ვფიქრობთ, ეს გასათვალისწინებელია.

არსებობს კონტროლის პალატის დასკვნა, სადაც სწერია: „1992 წლის 4 აგვისტოს მუზეუმის დირექტორის განკარგულებით საგანძურის საგამოფენო დარბაზებში, შემდეგ კი მუზეუმის სხვა სათავსებში გასაშრობად შეიზიდა სარდაფიდან ამოტანილი, სოკოთი დაავადებული წიგნები. საგანძურში გაჩნდა სოკოთი დაბინძურების კერები, რამაც ყველა სახის ექსპონატების კოროზირებით დაზიანებისა და სტრუქტურული დაშლის საშიშროება შექმნა." ამიტომ დაზიანებული ნივთების არათუ გადაადგილება, არამედ ტრანსპორტირებაც არ შეიძლება. დასკვნაში ხაზგასმულია, რომ 1992 წლიდან მუზეუმის ახლანდელი ხელმძღვანელობის მიერ აბსოლუტურ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# საქართველოს ერთიანობის საიდუმლო ეკლესიისადმი მორჩილებაში ძევს

**„ჰოი, მეომარნო ქრისტენო! თუ ღვთის რჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ!"**

**წმ. მეფე დავით აღმაშენებელი**

საზოგადოებას კარგად მოეხსენება, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები საეკლესიო სიწმინდეების სხვა ქვეყნების მუზეუმებში გატანასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, გარკვეულად შეიბლალა დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. პირველი მიზეზი ამისა არის სწორედ ახალგაზრდათა ის ნაწილი, რომელიც ზემოთ ხსენებულ აქციას გამოეყო და რომელიც ცდილობს, მიუღებელი ფორმით მთელი აქციის სახელით დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. მათი არამართებული ქმედებანი თუ განცხადებები ემსახურებიან მხოლოდ ერთს — განხეთქილება შეიტანონ საზოგადოებაში, ერში თუ ბერში.

ისინი ცდილობენ შეიჭრნენ სულიერების იმ სფეროებში, რომლებშიც თითქმის საერთოდ ვერ ერკვევიან. არცოდნით, საკუთარი პასკვილებით, უალრესად ცუდ სამსახურს უწევენ ქვეყანას, ეკლესიას და საკუთარ თავს. მათთან ურთიერთობამ დაგვარწმუნა, რომ მათში არ არის სიყვარული და მათი მოქმედება ემსახურება მავანთა განდიდებას და პოლიტიკურ სპეკულაციას. ჩვენი მოწოდება გაერთიანებისაკენ, ეკლესიაში ლოცვისაკენ მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. არ შეიძლება იცავდე სიწმინდეებს და ამავე დროს ებრძოდე ეკლესიას.

სტუდენტთა ეს ნაწილი არ დათანხმდა პატრიარქის მოწოდებას დაეცვათ სასულიერო მოქმედების წესები, გარკვეულ დრომდე ლოცვით გაძლიერებულიყვნენ, ეკლესიის წიაღში მიეღოთ ის ძალები, რაც აუცილებელია სარწმუნოებრივი ბრძოლისათვის.

დაუშვებელია, რომ აქციაზე, რომელიც მიზნად ისახავს საეკლესიო სიწმინდეების გადარჩენას, იყოს მოთხოვნები თელასის მუშაობის გაუმჯობესებაზე და სხვა ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად. ეს ხშირ შემთხვევაში გარკვეულ ეჭვებს ბადებს. ასევე შეურაცხმყოფელი წერილები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინააღმდეგ, რომელიც უახლესი ისტორიის „ანალიზ-შეფასებას" შეიცავს და აშკარად სცილდება მათი ინფორმირების საზღვრებს. რაც შეეხება წარსულს, 9 აპრილს საქართველოს პატრიარქმა მთავრობის სახლის წინ მყოფთ მოუწოდა შესულიყვნენ ქაშუეთში და იქ ელოცათ. ამით იგი შეეცადა აეცილებინა სისხლისღვრა და დაეფარა საკუთარი სამწყსო. ეს შეგონება შეგონებად დარჩა. უფრო მეტიც, ამ სიკეთისათვის მას ზოგიერთმა გაამაყებულმა თუ ქრისტედ წოდებულმა ადამიანებმა, ურცხვად ცილი დასწამეს, თითქოს იგი რომელიმე უცხო ქვეყნის აგენტია. მიუხედავად ასეთი შეურაცხყოფისა, პატრიარქი არ ტოვებდა მიტინგზე კარგა ხნის დაწყებულ სასაკლაოს, რომ თვითონაც ხალხთან ერთად შესწირვოდა საქართველოს. მომზადებული სასულიერო კადრების ფაქტიურად არარსებობის პირობებში, ზოგიერთმა კეთილმორწმუნე პიროვნებამ, იმ ძნელბედობის ჟამს, განჭვრიტა, თუ რა უკუღმართი ბედი ელოდა საქართველოს მისი უწმინდესობის დაკარგვის შემთხვევაში და მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად დაიყოლიეს პატრიარქი იქაურობის დატოვებაზე (არსებობს ამის ვიზუალური ინფორმაცია). ისინი კი, ვინც ზემოთხსენებული ცილისწამებით შეურაცხყოფდნენ პატრიარქს, ასეთი ბინძური ხერხით ცდილობდნენ ხალხში ჩაეთესათ მწყემსმთავრისაგან განდგომა და დაუმორჩილებლობა, რათა მერე მხოლოდ თვითონ ემართათ გზააბნეული და რელიგიურად ნაკლებად განათლებული სამწყსო...



თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის ბოლო ოთხი საუკუნის ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ, თუ რა ზიანი მოჰქონდა საქართველოსათვის პატრიარქის შეურაცხყოფას და მისგან განდგომა-დაუმორჩილებლობას. XV-XVI საუკუნეების სეპარატისტ ათაბაგთა უგნურმა მრისხანებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ ცილისწამებაც იკადრეს, თითქოსდა ჩვენი ეკლესიის მეთაურს ქრთამს აძლევდნენ კურთხევისას (ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ ეს სიცრუე იყო). ამან თავისი შედეგი გამოიღო, ქვეყნის ამ ნაწილში (მესხეთში) ქრისტიანობის ავტორიტეტი დაეცა,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მეორე გვერდიდან

ინტერვიუ

## ლევან სანიკიძე:

# პროვინციული აზროვნება თბილისში იწყება...



ხერხიანი პოლიტიკით უნდა მოქმედებდე. ჩვენი ჭკუის უსუსურობამ განაპირობა ყველაფერი. ჩვენ გვყავს შესანიშნავი ისტორიკოსები, მაგრამ სულ კრიჭაში უდგანან ერთმანეთს. ისტორიის ინსტიტუტის მაგალითიც კმარა, ეს გვლუპავს ჩვენ, ისევ ჩვენივე ურთიერთდაპირისპირებები.

**— საქართველოსთვის ფედერალური მოწყობა ისტორიულად უცხო არ არის, მაგრამ დღეს რეგიონებად დაყოფაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგი მომხრეა, ზოგი — წინააღმდეგი.**

— მე არ ვარ ამის წინააღმდეგი. ზოგს ჰგონია, რომ ეს საქართველოს დაქუცმაცებას გამოიწვევს. არ არის ეს დაქუცმაცება. საქართველოს „ოქროს ხანა“ ავიღოთ. ყველაფერი ცენტრში კი არ წყდებოდა. რეგიონებს განაგებდნენ ადგილობრივად, მაგრამ ყველაფერი ემორჩილებოდა ცენტრს. დავითი ჩავიდა აფხაზეთს და „განაგნა საქმენი მანდურნი“, წერია მატიანეში. ადგილზე განაგებდნენ ყველაფერს.

პროვინციას რომ გავიძახით, პროვინცია საქართველომ არ იცოდა. პროვინცია ლათინური სიტყვაა, დამარცხებული და განაპირა ქვეყანას ნიშნავს. რომმა სიცილია რომ დაიპყრო, მას დაარქვა პროვინცია. იქ ადგილობრივი მმართველობა ისპობოდა და გამგებლად იგზავნებოდა პრეტორი.

დღეს ჩვენ როგორც გვესმის, რომ არის ცენტრი და იქ, სადღაც პროვინციები, საქართველომ ეს არ იცოდა, ყველგან იყო კულტურული ცენტრი. რომელიმე, თუნდაც ერთი დიდი ქართველი მოღვაწე — საეკლესიო, საერო, მწერალი იყო თბილისელი? ყველა პროვინციელი იყო. ასეა ისტორია. დღეს პროვინციული აზროვნება იწყება სწორედ თბილისში. არ უნდა იყოს ეს ასე.

**— კუთხურობას ხომ არ შეუწყობს ხელს?**

— არა, თუ ხელისუფლება იქნება თავის სიმაღლეზე, არაფერი ამის მსგავსი არ მოხდება. თუ რამე იქნება სეპარატისტული, არსებობს სტრუქტურები ცენტრში, რომლითაც ამ პრობლემას მოევლება.

მეტი უფლებები უნდა მისცე რეგიონს. გუბერნატორი თუ მმართველი ცენტრიდან კი არ უნდა გაგზავნო, რომელიც თბილისშია გაზრდილი, იმ კუთხის ხალხმა უნდა აირჩიოს, რომელმაც კარგად იცის, ვინ მოუვლის უკეთესად თავის კუთხეს.

**— ბევრს ლაპარაკობენ ცენტრსა და ბათუმს შორის დაპირისპირებაზე. მიზეზებს რაში ხედავთ?**

— ბატონ ასლანსა და ბატონ ედუარდს შორის მე ისეთი ურთიერთდამოკიდებულება მინახავს, გაოცებული ვარ, რატომ არის ამდენი ხმაური. არ მიმაჩნია ეს ნამდვილი, რეალური მდგომარეობის გამოძახილად. რაღაც სხვა ამბებია. მე ვფიქრობ, მდგომარეობა მას შემდეგ გართულდა, როცა „მხედრიონმა“ ყველა წმინდად ქართული კუთხე ააწიოკა (ჯავახეთში არ შესულან), აჭარაში კი არ შეუშვეს. ამის შემდეგ იქნა მიჩნეული, თითქოს იქ საზღვარი იყო და მის შემდეგ დაიწყო თანდათან ეს დაპირისპირებები. მე ისტორიკოსი ვარ და იმას ვიკვლევ, ნაბუქოდონოსორს რა ესიზმრებოდა და 5000 წლის წინ რა ხდებოდა, და ის არ ვიცი, აქ რა ხდება, რა შეცდომებს ვუშვებთ? მეტსაც გეტყვით, ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ აფხაზეთზე მეტად აჭარა დაკარგოდა საქართველოს, მაგრამ არ მოხდა, რადგან აჭარამ არ ქნა ეს. არ მოხდა და არც მოხდება. მე პირადად ამის არ მეშინია.

**— ქართული საგანძურის საზღვარგარეთ გატანაზე ატეხილი აჟიოტაჟი ბევრმა წინასაარჩევნო კამპანიად მიიჩნია. მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა...**

— ჩვენ ვიცით რაღაცაზე დიდი ხმაურის ატეხა. რატომ აგვიჩემებია, რომ ეს განძი უნდა გავიტანოთ. შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი. ეკლესია წინააღმდეგია ხომ გატანის, მოდით, დავუჯეროთ ჩვენს სასულიერო სამყაროს. განძის გატანის მიზანია, გავაცნოთ ჩვენი კულტურა მსოფლიოს. ვისაც აინტერესებს ქართული კულტურა, მობრძანდეს და ნახოს. რა, რომიდან ჩამოიტანეს ჩვენთან აპოლონ ბელვედერელი ან ვენერა მილოსელი?! უცხოელები ხომ უფრთხილდებიან თავიანთ ნივთებს.

1953 წელს ქუთაისიდან თბილისში ბატონმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ჩამოიტანა ხახულის ღვთისმშობლის ხატი. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. რა იყო, ბატონო სიმონ-მეთქი. რა ვიცი, გზაში ხატს რა დაემართებაო, მიპასუხა. ქუთაისიდან თბილისამდე ტრანსპორტირებაზე ნერვიულობდა და ჩვენ გვინდა ცხრა მთასა და ზღვას იქით გავიტანოთ?! ასე რომ, ნუ წავილებთ.

**— ბატონო ლევან, რომში ტრიუმვირატი რომ შეიქმნა, მეგობრებმა მას ფულის, ძალისა და ჭკუის კავშირი უწოდეს. დღევანდელ ტრიუმვირატში ვის დაასახელებდით?**

— ნამდვილად არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ უცებ გეტყვით — ბატონი ედუარდი, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი. მოგწონთ, არ მოგწონთ, მე ასე მიმაჩნია. ბ-ნ ედუარდთან არის ორი უნიჭიერესი ადამიანი, მაგრამ ერთი რომ ფული იყოს, მეორე — ძალა და მესამე — ჭკუა, ასე ვერ დავყოფ. შეიძლება სამივე ელემენტი სამივეში იყოს.

**— კატონი ყოველ გამოსვლას ამთავრებდა სიტყვებით: „კართაგენი უნდა დაინგრეს“, რადგან რომს საშიშროებას უქმნიდა. კართაგენი მართლაც დაინგრა და გარკვეული როლი კატონის სიტყვებმაც ითამაშა. საქართველოსთვის მხსნელი ფრაზა რა იქნება?**

— დავანებოთ იმაზე ფიქრს თავი, ვინ არის დამნაშავე ბოლო ათწლეულში მომხდარ მოვლენებში, ვის დავაბრალოთ. საჭიროა ერთად ყოფნა. იმაზე ვიფიქროთ, რომ აღარ დაგვემართოს შეცდომები. ნუ ვართ ერთმანეთისგან განთიშულნი. ერთიმეორეს კი არ ჩავუსაფრდეთ, ერთიმეორისთვის თავდადებულნი ვიყოთ. ჩემი ფრაზა იქნებოდა: ვიყოთ ერთად!

**ესაუბრა ამრიტა ჯანაშია**

მეორე გვერდიდან

ინტერვიუ

## გურამ ჩახვაძე:

# „მიუხედავად ყველაფრისა, არჩევნებში შავი ფული მაინც იტრიალებს“



როგორც ეს შეპირდნენ უწინ ამომრჩევლებს, არადა, მე შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანობაში მოქალაქეთა კავშირმა თავისი დანაპირები ვერ შეასრულა...

**— საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი ჯერ-ჯერობით, შეიძლება ითქვას, ჰაერშია გამოკიდებული...**

— საქართველოში ყველა ორიგინალობას ვიჩენთ ხოლმე, მე არ ვიცი სხვა ასეთი პრეცენდენტი, როგორც მმართველმა ძალამ ჩვენს მოსახლეობას შესთავაზა არჩევნების წინ. თანხა, რომელიც ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის, არასაკმარისია და ამ პროცესს ვერ უზრუნველყოფს.

ამიტომ მიმართავს ხერხს, გამოცხადდეს ტენდერი, რომ ცსკ-მ არჩევნებისთვის საჭირო თანხა სესხის სახით აიღოს რომელიღაც კომერციული ბანკიდან (რომლიდან, ამას ტენდერი დაადგენს), და შემდეგ ამ თანხას დაკარგავს ხელისუფლება. ტენდერი როგორ მოეწყობა, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი, მართლაც ჰაერშია გამოკიდებული. რეალური დაფინანსების გარეშე კი არჩევნების სრულფასოვნად ჩატარებაზე საუბარიც ზედმეტია.

**— შეეძლოთ და შეგნებულად მოხდა ამ საკითხის ეჭვქვეშ დაყენება?**

— რატომ არ შეეძლოთ? შენ როცა გეგმავ 1999 წლის ბიუჯეტს და იცი, რომ ამ წელს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი არის არჩევნები. შეგიძლია ბიუჯეტის ხარჯების პრიორიტეტებში გამოჰყო პრიორიტეტი — არჩევნების სახით და მასზე გაილო ეს თანხა და შეკვეცო ისეთი თანხები, რომლებიც სცილდება გარკვეულ მიზანშეწონილობას. ბიუჯეტში პრეზიდენტს საპრეზიდენტო ფონდი აქვს. თქვენ თუ ნახავთ, რაზე მიდის ეს თანხები, დარწმუნდებით, რომ მოქალაქეთა კავშირს და მმართველ ძალას თუ ექნებოდა სურვილი დაფინანსებული ყო არჩევნები სრულყოფილად, შეეძლო უარი ეთქვა ფესტივალებზე, და არჩევნებზე გაეკეთებინა აქცენტი.

ჩვენი სახელმწიფო გარდამავალ პერიოდშია და, მიდის საუბრები, რომ არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ფინანსებს და აქ აუცილებლად შავი ფულიც ჩაერთვება — ჩრდილოვანი ეკონომიკიდან მოზიდული და ბიუჯეტიდან წაღებული (ვინც ამას აკეთებს და ვისაც ეს ხელეწიფება, საყოველთაოდ ცნობილია). ჩვენ როგორღა უნდა შევძლოთ გავანეიტრალოთ ეს პროცესი და გამოვრიცხოთ აქ დიდი ფულის მოზღვავება და ფულით ხმების ყიდვის ფაქტორი?

**— ადგილობრივი არჩევნების შემდეგ რამდენიმე პარტიამ თავისი საარჩევნო ფონდი არ გახსნა. ბათუმურმა ალიანსმა სასამართლოში საჩივარი შეიტანა. მოსამართლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარეს გასაჩივრების უფლება წაერთვა; ცენტრალური საარჩევნო კომისია კი, რომელსაც გასაჩივრების უფლება გააჩნია, სასამართლოში სარჩელის შეტანას არ აპირებს...**

— ალბათ, უნდა დავადგინოთ ჯერ ის, მოსამართლის გადაწყვეტილება ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ჩვენს კონსტიტუციასთან. თუ თვლის, რომ რაღაც უფლებები ირღვევა ქვეყანაში.

სოციალისტურმა პარტიამ შეიტანა ეს სარჩელი სასამართლოში... ამ შემთხვევაში ცსკ არის დამნაშავე. მე არ მაინტერესებს, რომელმა ორგანიზაციამ გახსნა ან არ გახსნა საარჩევნო ფონდი. მან დაარღვია კანონი და ამაზე კი, ბატონო, უნდა იმსჯელოს სასამართლომ. აქ მთავარი ის არის, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რატომ არ შეამოწმა, რამდენად იყო კანონი დაცული; მოსარჩელე მხარეს უარი იმიტომ უთხრეს — შენ არ გაქვს ჩივილის უფლებაო, და არა იმიტომ, რომ ეს საკითხი სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება. ჯერ არ არის დამტკიცებული დაარღვიეს თუ არა კანონი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ისე გამოჩნდა, თითქოს კანონის დარღვევასთან არ გვქონდეს ადგილი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა მოეთხოვოს პასუხი, რატომ არ მოახდინა რეაგირება კანონის დარღვევის შემთხვევაში, თუმცა დაზუსტებაა საჭირო იმისაც, მართლა არა აქვს რომელიმე ორგანიზაციას ან მოქალაქეს უფლება, შეიტანოს სასამართლოში სარჩელი, როცა თვლის, რომ კანონი ირღვევა.

**— სასამართლოს ახლანდელი გადაწყვეტილება უკვე არის ბიძგი იმისა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში შავი ფული ტრიალებდეს? თუკი ადგილობრივი არჩევნების დროს ცენტრალური საარჩევნო კომისია არ დაინტერესდა, რომელმა პარტიამ საიდან მოზიდული თანხებით აწარმოა საარჩევნო კამპანია, ეს მომავალი არჩევნებისთვის სანიმუშო მაგალითი ხომ არ იქნება?**

— შეიძლება ამ აზრის განვითარება; ფონდი რატომ იქმნება? ფონდის შექმნის და ანგარიშის წარდგენის ლოგიკა ის გახლავთ, რომ არჩევნები იყოს გამჭვირვალე, რომ საზოგადოებამ იცოდეს რა თანხა იხარჯება. შეიძლება ამ ფონდში არ შეიტანონ ის თანხები, რომლებიც ფონდის გვერდის ახვევით დაიხარჯა, მაგრამ ფონდის ანგარიშზე მყოფი თანხები მაინც მოგვცემს საშუალებას, ანალიზი გავაკეთოთ. 2000 და 3000 ლარით ძალიან ძნელია დააფინანსო არჩევნები, როცა სახელმწიფოსგან დაფინანსებას ვერ იღებ. ფონდი უნდა იყოს გამჭვირვალე, თუმც ეს ვერ დაზღვევს არჩევნებს შავი ფულის ტრიალისაგან. ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანაში 70% არის ჩრდილოვანი ეკონომიკა. ეს ნიშნავს, რომ 70% ეკონომიკურ საქმიანობაში ვერ აკონტროლებს სახელმწიფო და არ იცის რა ხდება.

საფინანსო სისტემა რეალურად აკონტროლებს 30% ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ საქმიანობას. ჩვენ ამ 30%-ის ბიუჯეტი გვაქვს. აქ მოქმედებს ცალკე მეორე მძლავრი ეკონომიკური სისტემა, სადაც არსებობს ცალკე ბიუჯეტი, სადაც მეწარმემ იცის, ვის უნდა მიუტანოს ფული; აქ უკვე კორუფციასთან გვაქვს საქმე, ეს არის ჩამოყალიბებული სისტემა. მეწარმისთვის არსებობს ორი ბალანსი — ლეგალური, რომელიც უნდა წარადგინოს საგადასახადო ინსპექციაში და არალეგალური ბალანსი, რადგან გასასტუმრებელი ჰყავს ბევრი მთხოვნელი — ჩინოვნიკები...

**— ბათუმურ ალიანსში „სახალხოს“ „ტრადიციონალისტებისაგან“ განსხვავებით საარჩევნო სიებთან დაკავშირებით პრეტენზიები არა აქვს...**

— ჩვენი პოლიტიკა ამ ბლოკთან დაკავშირებით აი როგორია... ჩვენთვის უმთავრესი არის ის პროგრამა და ის პრინციპები, რითაც ეს ბლოკი წარდგება ამომრჩეველთა წინაშე. რა თქმა უნდა, ის ბლოკი იქნება მოწინააღმდეგე მოქალაქეთა კავშირის და მისი სატელიტი ორგანიზაციების, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

გადამწყვეტი გახლავთ ის პროგრამა და ის პრინციპები, რითაც ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში და რის გამოც ამ ბლოკს აქვს უმრავლესობად ყოფნის პრეტენზია. თუ ეს იქნება საფუძველი კონტრაქტისა ამ სუბიექტებს შორის, მაშინ ჩვენ ვერ ვხედავთ პრობლემას სიების შედგენისას. რა თქმა უნდა, პროგრამის შემდეგ მოდის საკითხი, თუ როგორ იქნება დაკომპლექტებული საარჩევნო სიები — ხაზს ვუსვამ არა რაოდენობას, არამედ ხარისხს. სახალხო პარტია მარტო იქნება, თუ ვინმესთან ერთად ბლოკში, როცა სიებს ადგენს, გადამწყვეტად მიიჩნევს სიაში შეიყვანოს ის ხალხი, რომელიც მზად არის პარლამენტში აიღოს პასუხისმგებლობა, რაც ეკადრება პარლამენტს და საკანონმდებლო ორგანოს, ანუ ეს პიროვნება უნდა იყოს პროფესიონალი — ეკონომიკის თვალსაზრისით, იურიდიული მიმართულებით და ის უნდა იყოს პოლიტიკოსი.

**— ერთ-ერთმა პარლამენტარმა წინა დღეს ტრიბუნიდან ხმამაღლა განაცხადა, პარლამენტში სიგარეტის ბიზნესს მფარველობენო...**

— ბევრ მფარველობაზეა საუბარი, მაგრამ კონკრეტულად სიგარეტზე ვერაფერს გეტყვით.

**— თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?**

— იცით რა ხდება, როცა კანონი გამოდის, იქ გარკვეულ მუხლებში დევს ესა თუ ის ინტერესი და ეს კარგად ჩანს. ამ ინტერესის დასაცავად ბევრი პარლამენტარი, რომელიც სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას ხმას არ იღებს, ძალიან გააქტიურდება ხოლმე, რაც ყველა ფარგლებს სცილდება. 1992 წლიდან პარლამენტში ვარ, გარკვეული გამოცდილება მაქვს უკვე და ვატყობ ამა თუ იმ პარლამენტარის გააქტიურება რით არის გამოწვეული. ბევრი ისეთი საკითხი იყო, სადაც აშკარად ჩანდა ლობირების მომენტი.

**— უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეტყვით?**

— ძირითადად ლობირება ხდება სდაგადასახადო კანონებთან დაკავშირებით, რომ ესა თუ ის სახეობა გათავისუფლდეს გადასახადის გადახდისაგან.

ლობირება ხდება ექსპორტ-იმპორტის შესახებ კანონის გამოსვლასთან და ლიცენზირების სისტემასთან დაკავშირებით.

ბოლოს კი ერთ-ერთი მაკონტროლებელი სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით იყო ზეწოლა პარლამენტზე. შემოვიდა კანონი სურსათის ხარისხის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, პარლამენტმა უპრეცენდენტო გადაწყვეტილება მიიღო. ამ კანონით უნდა შეიქმნას სამსახური, რომელიც გააკონტროლებს ხარისხს. — კონტროლი იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ ზემოქმედებასაც მოახდენს. უპრეცენდენტო რამ მოხდა... ასეთი უფლება უკვე აქვს ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რომელიც იცავს მომხმარებელთა უფლებებს. ამ კანონში კი ჩაიწერა, რომ მხოლოდ ახლადშექმნილ ამ კონტროლის სამსახურს აქვს უფლება განახორციელოს ეს ზედამხედველობა, ანუ ამ კანონით ანტიმონოპოლიურ სამსახურს იურიდიულად ჩამოართვეს ეს უფლება.

ეს სამსახური კი იქმნება ერთ-ერთი ჩვენი კოლეგისთვის უმრავლესობიდან.

**— კონკრეტულად ვისთვის?**

— თუ ის კაცი იტყვის, არა, ჩემთვის არ იქმნებაო, მაშინ მე ხმამაღლა ვიტყვი ვისთვის. როცა ეს სამსახური შეიქმნება და მას ხელმძღვანელად დანიშნავენ, მაშინ გამოჩნდება ვისთვის.

**ესაუბრა მანანა ლოგჯანიძე**

მესამე გვერდიდან

# ქრისტეშობის 2000 წლისთავზე ცარიელი დარბაზების ამარა არ აღმოვჩნდეთ!

ად მოუმზადებლად, მუზეუმის სპეციფიკის სრული იგნორირებით წარმოებული სარემონტო სამუშაოების შედეგად და კედლების ნგრევის დროს მძიმე დაზიანება მიიღო მრავალმა უნიკალურმა ექსპონატმა — რუბენსის, ფიროსმანის ნამუშევრებმა, XVI საუკუნის ხატებმა, გრაფიკისა და ნაქარგობის ნიმუშებმა, დასავლეთ ევროპის ხელოვნების ფონდებსა და ექსპოზიციაში და აღმოსავლე-



თის ქვეყნების ხელოვნების საექსპოზიციო დარბაზებში დაცულმა ექსპონატებმა. ამ სამუშაოების დროს სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო მუზეუმის თითქმის ყველა ექსპონატმა. გარდა ამისა, მუზეუმში გაუქმდა მთავარი მცველის ინსტიტუტი, რომელიც დღეი-

სათვის საერთაშორისო სამუზეუმო პრაქტიკაში არსებული უმთავრესი სტრუქტურაა უნიკალურ ფასეულობათა დაცვისა.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ და ქართველ სპეციალისტების შეხედულებები საგანძურის მდგომარეობაზე ემთხვევა, უცხოელები მაინც მისი გატანის მომხრენი არიან, მაშინ როდესაც ქართველი სპეციალისტები საუბრობენ იმ სავალალო შედეგებზე, რაც მოჰყვება ამ ნივთების ტრანსპორტირებას ჩამოტანის შემდეგ, ხოლო დაზიანებული ნივთების აღდგენას ვერ უშველის მილიონები და მილიარდები.

ვინც ჩვენი კულტურის ნიმუშების საზღვარგარეთ საგამოფენოდ გატანას ეწინააღმდეგება, არ შეიძლება მოაზროვნე და პატრიოტი იყოს — ეს არის მთელი ქართველი ერის შეურაცხყოფა. გამოფენის მოწყობის წინააღმდეგი არავინაა. უნდა შედგეს ისეთი ნივთების ნუსხა, რომელიც არ დაზიანდება ტრანსპორტირებისას და რომელთა გადაადგილება შეიძლება.

საეკლესიო საგანძურის ისტორიული სამართალამემკვიდრე საქართველოს საპატრიარქოა და მისი იგნორირება ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა საგანძურის ამერიკასა და იტალიაში გატანა, ყოვლად დაუშვებელია. როგორც მამა დავითი აცხადებს: „როცა არსებობს ასეთი დამოკიდებულება, რომ საპატრიარქოსთან შეთანხმებას საჭიროდ არ თვლიან ასეთი მაღალი დონის გამოფენასთან დაკავშირებით, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ძალიან სერიოზულად არის საჭირო რეფორმები. არ არსებობს ყოფილი პოსტკომუნისტური ქვეყანა, სადაც კანონიერება არ აღდგენილიყოს, სადაც ეკლესია იდევნებოდა და იყო ათეისტური, კომუნისტური რეჟიმი და საქართველოში რომ არ დგას საკითხი ამგვარად, სამწუხაროა“.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ეკლესიას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამგვარ ღონისძიებებში, მაგრამ რადგან ამ საკითხის გადაწყვეტას ცდილობენ ეკლესიის გვერდის ავლით, ეს არის კონსტიტუციის უხეში დარღვევა. საქართველოს ეკლესია მოითხოვს მიიღოს პარლამენტმა კანონი კონკორდატის შესახებ, გარდა ამისა მოწვეულ იქნას უშიშროების საბჭოს სხდომა ამ საკითხის შესასწავლად.

უცნაურია ის ფაქტი, რომ არ არსებობს ქართული ვარიანტი იმ ხელშეკრულებისა, რომელიც ითვალისწინებს ექსპონატების ამერიკაში გაგზავნას. იგი მხოლოდ ინგლისურადაა. მასში არის დანართები, რომლებიც ითვალისწინებს ფინანსურ მხარეს და ექსპონატების რაოდენობის დაზუსტებას. ხელშეკრულებაში სწერია, რომ თუ ეს დანართი არ იქნა შესრულებული, ამ შემთხვევაში ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არა აქვს, გამოდის, რომ ეს ხელშეკრულება არის ფიქტიური.

პარიზის 1970 წლის 14 ნოემბრის კონვენციაში „კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ“ გარკვევით სწერია, რომ ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ შექმნან თავიანთ ტერიტორიაზე, თითოეული ქვეყნის პირობების შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერთი ან რამდენიმე ეროვნული სამსახური.

საპატრიარქო აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ექსპონატები მაინც დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, მაშინ იგი იძულებული იქნება მიმართოს სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუკი საპატრიარქოს მოთხოვნას ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ მოჰყვა, რაც სავსებით შესაძლებელია, მაშინ მათი ბრძოლა დარჩება, როგორც „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

**სოფიკო შარვაძე**

# გულს გული იცნობს



ოსურ გაზეთ „ვესტნიკ იუჟნოი ოსეტიი“, მესამე ნომერში გამოქვეყნებულია ნეკროლოგი ოს პოლკოვნიკ ვალერი ხუბულოვის დაღუპვის გამო, რომელიც ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდა შიდა ქართლსა და აფხაზეთში. იქვეა დაბეჭდილი არძინბას ბრძანებულება ხუბულოვის სიკვდილის შემდგომ ლეონის ორდენით დაჯილდოვების შესახებ და გაზეთში აღნიშნულია ისიც, რომ სამძიმრის დეპეშა მიღებულია ედუარდ შევარდნაძისაგან. თავისთავად ეს სამძიმარი შეიძლება ცოდვად არ ჩაეთვალოს შევარდნაძეს, მოყმის დედამაც ხომ მიუსამძიმრა ვეფხვის დედას, მაგრამ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ სამძიმარი გამოთქვა მხოლოდ ოთხმა პრეზიდენტმა: არძინბამ, ძასოხოვმა, პრედნისტროველმა სმირნოვმა და შევარდნაძემ, რომელთა უმეტესობის პრეზიდენტობა კანონიერებასთან ცოტა მწყრალად უნდა იყოს.

ჰოდა, გულს გული იცნობსო!

**ჰენრიხ გილაძე**
**დევნილი ცხინვალიდან**

მესამე გვერდიდან

# საქართველოს ერთიანობის საიდუმლო ეკლესიის მორჩილებაში ძევს

რამაც ლოგიკურად მაჰმადიანობის მიმართ წინააღმდეგობა შეამცირა და „ქართული ქრისტიანობის აკვანი“ გადააგვარა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს მესხეთში აწყურის ოდესღაც ცნობილი კათედრალის ნანგრევებილა დგას, ხოლო მისი შვილები ძირითადად თურქულ-თათრულ მასაშია ასიმილირებული და განბნეული. ზუსტად ამის მსგავსი უბედურება დატრიალდა აფხაზეთად წოდებულ დასავლეთ საქართველოში. XV ს-ის 70-იან წლებში საქართველოში ჩამოსული ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიქაელი წერს ცილისმწამებლურ წერილს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, „მცნება სასჯელს“, სადაც ამბობს, რომ თითქოს წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისგან იკურთხებოდნენ. სინამდვილეში კი ასეთი ცნობა არ არსებობდა, არსებობდა მხოლოდ ეფრემ მცირეს მიერ მოძიებული ცნობა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილს ეხებოდა, მაგრამ შეცდომით მთელი ივერიის ეკლესიისადმი ცნობად იყო მიჩნეული. უცხოელმა იერარქმა ისარგებლა მაშინდელი რელიგიურად გაუნათლებელ ქართველთა ნაწილით და იმერეთის მეფის, ბაგრატ II (VI)-ის ხელშეწყობით ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად დასვა. ამით იყო მცდელობა დასავლეთ საქართველოს ეკლესია ერთიანი დედა-ეკლესიისათვის ჩამოეშორებინა. შემდგომში ამან დასავლელ ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებაზე უარყოფითად იმოქმედა. დასავლეთ საქართველოს სრულ საეკლესიო დამოუკიდებლობას და პატრიარქისგან განდგომას სიკეთე არ მოუტანია დასავლეთ საქართველოს ქრისტიანებისათვის ისევე, როგორც თავის დროზე მესხებისათვის. მალე თვით აფხაზეთის საკათალიკოსო ცენტრი — ბიჭვინთა მოექცა ჩრდილო კავკასიის მთებიდან შემოჭრილი წარმართი მთიელი ტომების გარემოცვაში, რომელთაც ამ უძველეს ქრისტიანულ მხარეში არა მარტო სარწმუნოება შეარყიეს, არამედ ათასწლოვანი სარწმუნოებრივ-კულტურულ-სამეცნიერო ქართულენოვანი საეპისკოპოსოები სრულებით ამოაგდეს. ქართული ქრისტიანობის დიდი კერა — ბიჭვინთა და საკუთრივ აფხაზეთი მალე წარმართი, პირველყოფილ დონეზე მყოფი მთიელი ტომების ხელში მოექცა, ეროვნულად გადაგვარდა. ასეთივე შეცდომა განმეორდა სულ ახლახანს, XX ს-ის დასაწყისში, როდესაც „მენშევიკებმა“ პოლიტიკური უსუსურობის გამო ვერ გაითვალისწინეს ის საფრთხე, რომელიც მოელოდა თავისუფალ საქართველოს „სოციალისტური“ რუსეთისაგან, ყური არ დაუგდეს კათოლიკოს-პატრიარქს, კირიონ II-ის წინასწარმეტყველებას „მდუღარე რუსეთიდან“ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია; 1998 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარი). ნოე ჟორდანიას მთავრობამ შეურაცხყო პატრიარქი, როდესაც მან არ ისურვა „კვეთაში ხსენება“ და განუცხადა მას, რომ საერთოდ დაევიწყებინა მოქმედი ხელისუფლება. ღვთის რისხვამაც არ დააყოვნა... ფრთხილად ვიყოთ, ქართველნო! ნუთუ არ კმარა ამდენი ტერიტორიების დაკარგვა?! ნუთუ არ კმარა 70 წლიანი მონობის უღელი?! ნუთუ არ დადგა ჟამი ტაძრის შენებისა?!

ჩვენ ვთხოვთ ქართველთა ამ ნაწილს, ნუ შეურაცხყოფენ პატრიარქს, ნუ შეაქვთ ჭუჭყი ქართულ ეკლესიაში და ნუ სწირავენ საკუთარ თავს დასაღუპად.



ასეთი სულიერი კრიზისის დროს არცერთ ქვეყანაში არ აღდგენილა და აშენებულა იმდენი ტაძარი თუ სასულიერო სასწავლებელი, რამდენიც საქართველოში. ჩვენი ახლანდელი კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დროს გამოიცა აქამდე არნახული რაოდენობის სასულიერო წიგნები, რაც უმთავრესია, ითარგმნა და გამოიცა ბიბლია, წმინდანთა ცხოვრებანი, დაარსდა საეკლესიო ჟურნალები, გაზეთი, საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილება, რომელიც აქტიურად მოღვაწეობს.

უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დროს ეკლესიამ მიიღო ჭეშმარიტი ახალი სასიცოცხლო ძალა, ახალი სუნთქვა ქართული ეკლესია თითქმის გაქრობამდე მისული მნიშვნელოვნად გაიზარდა და მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა რიგში დაიჭირა ღირსეული ადგილი. ერმა გაიხედა ეკლესიისკენ და რწმენის გზას დაადგა. ქართული ეკლესია გამოვიდა მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან. უდიდესია პატრიარქის ღვაწლი ამ საქმეებში. ნუთუ არ ვიცით, რომ ყოველი მღვდელმთავარი უფლის მიერაა დადგენილი და ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ მათ. საკითხებს კი, რომლებიც მავანთა კომპეტენციას სცილდება, სჯობს მოვერიდოთ, რადგან ჩვენ თავიდანვე გავიწირებით მარცხისათვის.

რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ ყოფას, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, — სასჯელის ქვეშ ვართ და თუ არა რწმენით, მოთმინებით და სიყვარულით, ამ სასჯელს ვერ ავიცილებთ და უარესს დავიტეხთ თავზე. დავბრუნდეთ დედა-ეკლესიაში, ჭეშმარიტ რწმენაში და ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვა-ვედრებას და სიკეთეც არ დააყოვნებს.

მორწმუნეებს ვთხოვთ შემოგვიერთდნენ ლოცვაში. ჩვენ ყოველდღე ვლოცულობთ სიონში და შევთხოვთ უფალს ეკლესიისთვის კუთვნილი ნივთებისა და სიწმინდეების დაბრუნებას, რომლებიც, სამწუხაროდ, ამჟამად მუზეუმებშია გამომწყვდეული.

**მლოცველთა ჯგუფის სახელით:**
**დავით ამაშუკელი,**
**გიორგი თოიძე**

# ბატონი ოტია იოსელიანი მართალი ბრძანდება

ცნობილმა ქართველმა მწერალმა ოტია იოსელიანმა გაზეთ „საქართველოსთან“ ინტერვიუში ბევრი საინტერესო რამ თქვა, სხვა თემების გარდა, საქართველოს მოქალაქეთა დოკუმენტებში მათი ეროვნების ჩაწერის შესახებ, მისი შეხედულება **სავსებით** (ხაზს ვუსვამ: **სავსებით**) ემთხვევა როგორც გაზეთ „საქართველოს“, ასევე საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის, ამჟამად საქართველოს სახალხო ფრონტის პოზიციას ამ საკითხზე. რასაკვირველია, ბატონ ოტია იოსელიანის წერილში არის არაერთი ისეთი არგუმენტიც, აზრის ისეთი შემობრუნებაც და მხატვრული სახეც, რომელიც ამ თემაზე მსჯელობისას ჯერ არაა გამოყენებული.

ეს პოზიცია შემდეგია: დოკუმენტში ეროვნება უნდა ეწეროს. მისი არჩაწერა ადამიანთა ნიველირებაა და შეურაცხმყოფელია, როგორც საქართველოს ე.წ. სატიტულო ერისათვის ანუ ქართველებისათვის, ისე ყველა სხვა, არაქართველი მოქალაქისათვისაც. ეროვნების არჩაწერა არ დააახლოებს საქართველოს მოქალაქეებს ერთმანეთთან, პირიქით, ამ ჩანაწერის გაუქმება სხვა არა არის რა, თუ არა დივერსია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და იმ უარყოფითი გავლენის დამალვის მცდელობა, რასაც ქართველი ერის დემოგრაფიულ ბედზე ახდენს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ანტიხალხური და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

„საქართველოს“ მომდევნო ნომერში გამოქვეყნებული რეპლიკა ბატონ ო. იოსელიანის ინტერვიუზე არ შეიცავს რაიმე ახალს ანუ მანამდე გამოუთქმელ არგუმენტს ზემოთქმულის წინააღმდეგ, ამდენად, მასთან პოლემიკა ზედმეტია, უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ არაქართველი მოსახლეობის „ასიმილაცია“, რომელსაც უცნობი რეპლიკანტი ახსენებს, **ბოროტებაა** ისევე, როგორც ყოველი ასიმილაცია საერთოდ და, მასზე ორიენტაცია, რაგინდარა „უტოპიური“ არ გვმართებს.

**ნოდარ ნათაძე**

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №7



შალვა ქოლიკაური

# ნარსულის გახსენება

# ხუჩბაროვის რაზმში

**მკითხველთა საყურადღებოდ!**
**გაზეთ „საქართველოს" წინა ნომერში ტექნიკური მიზეზების გამო დაირღვა შ. ქოლიკაურის „წარსულის გახსენების" თანმიმდევრობა და გამოგვრჩა 23-ე ნომერში დასტამბული ნაწყვეტის შემდგომი გაგრძელების მნიშვნელოვანი ნაწილი, ანუ იუსუფის მონათხრობიდან „ლაგერიდან" გაპარვის შემდგომი ნაწილი იქამდე, სადაც თხრობა გრძელდება გაზეთის 25-ე ნომერში. ბოდიშს ვუხდით მკითხველს ამ შეცდომისთვის და გთავაზობთ გამორჩენილ ნაწილს მომავალი წიგნიდან.**

გარეთ გამოსულს ერთი სული მქონდა, როგორმე მშობლების ამბავი გამეგო, თითქმის ორი წელი ვიყავი პატიმრობაში და ამ ხნის მანძილზე მშობლებს არ მოუკითხავთ ჩემთვის, ეს კი ძალიან ცუდის ნიშანი იყო. მამა რომ პატიმრობაში აიყვანეს ეს ვიცოდი, მაგრამ რა დაემართა დედაჩემს, რატომ არ მომაკითხა ამ ხნის მანძილზე, თუ ცოცხალია და კარგად არის? ასეთი კითხვა მიბურღავდა გულს და ვერ წარმომედგინა, რას მოვიმოქმედებდი იმ შემთხვევაში, თუ დედას ცუდი რამე შეემთხვა, მაგრამ ბინაზე ჩემი მისვლა არ შეიძლებოდა, ეს ძალიან დიდ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. ცხადია, ვერც თავისუფლად ვივლიდით, ძებნას დაგვიწყებდნენ, თუმცა, განა რა დაბრკოლებებს შეეძლო ჩემი შეჩერება, მართალია, პატიმრობისაგან ძალზე გამხდარი და დასუსტებული ვიყავი, მაგრამ მშობლების ამბის შეტყობის სურვილი ისე მქონდა მოძალებული, რომ არავითარი საფრთხის წინაშე უკან არ დავიხევდი. ჩემი ჩანაფიქრი ოსმანს გავუზიარე, მაგრამ ის არ დამეთანხმა და ეს მეტისმეტად სარისკო ამბავი თვითონვე იკისრა. გამომკითხა ყველაფერი, რაც საჭირო იყო და ქალაქს მიაშურა (შეხვედრის ადგილი წინასწარ დავთქვით).

დილით წასული ოსმანი საღამოს ხანს დაბრუნდა, თუმცა ვაი, ასეთ დაბრუნებას, თავზარდამცემი ამბავი მომიტანა. როგორც მიამბო, ჩვენს ბინაზე ვიღაც უცხო მამაკაცი დახვედრია, მას უთქვამს, რომ ეს ბინა ერთი წლის წინ იყიდა ვინმე მაგრეზ ხუგაევისაგან, რომელიც ბინის გაყიდვის შემდეგ გროზნოდან გაუჩინარებულა, ამ კაცს ოსმანისათვის ვინაობა უკითხავს, ოსმანსაც მეტი გზა არ ჰქონია და მაგრეზის ახლობლად გაუსაღებია თავი. იმის გამო, რომ ამ კაცისაგან საინტერესო ვერაფერი გაუგია, ოსმანი ახლა ერთ-ერთ ხანში შესულ ქალს (რომელიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა) მისდგომია კარზე. იმ ქალს უამბია ყველაფერი, რომ ქმრისა და შვილის დაპატიმრების გამო საშინლად უნერვიულია დედაჩემს, ამის შემდეგ გულს დაურტყამს და გარდაცვლილა მეუღლისა და შვილის დაპატიმრებიდან სულ რაღაც ორ თვეში. ასე უპატრონოდ, მეზობლების დასამარხი გამხდარა საცოდავი. ეს ამბავი ციხეში როგორღა შეუტყვია მამას და წონასწორობა დაკარგულს გაქცევა უცდია, მაგრამ გუშაგის ტყვიის მსხვერპლი გამხდარა. ციხის მესვეურთ მამას გვამი თვითონ დაუფლავთ სადღაც აკრძალულ ზონაში. ჩემს შესახებ კი ასე უთქვამს იმ მეზობელს, რომ ჩხუბის დროს პატიმრებს მოუკლავთ ციხეშიო.

ჩემი და ჩემი მშობლების აღსასრული რომ გაუგია, მაგრეზი დაპატრონებია ჩვენს ოჯახს და რადგანაც ჩაწერილი აქ ჩვენთან იყო, რაღა გაუჭირდებოდა და სულ მალე კიდეც გაუყიდია ჩვენი ბინა (შესაძლოა, ადგილობრივი ხელისუფალნიც დაეხმარნენ ჩვენი დაბეზღების საზღაურში). ან ვიღა შეუშლიდა ხელს, მოდავე არავინ ჰყავდა. ამის შემდეგ ცოლშვილთან ერთად სადღაც გადახვეწილა ეს იუდა, თუმცა მეზობელ ქალს ისიც უთქვამს, რომ ერთ-ერთ აქაურს მაგრეზი მილიციის ფორმით უნახავს ყაბარდოში. ოსმანს ისიც უკითხავს იმ მეზობლისათვის, თუ სად, რომელ სასაფლაოზე იყო დაკრძალული დედაჩემი. კეთილ ადამიანს არ დაზარებია, გაჰყოლია და უჩვენებია დედაჩემის საფლავი. ყოველივე ამის შემდეგ, მადლიერ ოსმანს თავის სახლამდის მიუცილებია ის ქალი და მერე წამოსულა ჩემთან.

ათასწილ სიკვდილი მერჩივნა იმ ამბის გაგებას, რაც ოსმანმა მომიტანა. საშინელი თავზარი დამცა ყოველივე ამან და ისე დავიბენი, რომ გონს ვეღარ მოვდიოდი. რა მექნა, როგორ დამეჯერებინა, რომ ასე უაზროდ და უმიზეზოდ დაინგრეოდა ჩვენი ოჯახი, რომელსაც ამ ქვეყნად მხოლოდ სიკეთე ჰქონდა დათესილი.

როგორ მოვქცეულიყავი, მშობლები უკვე აღარ მყავდნენ, ვისთვის მეკითხა რჩევა-დარიგება, ერთადერთი სისხლ-ხორცით ახლო ნათესავი ჩემთვის იყო მაგრეზ ხუგაევი, რომელმაც უსინდისოდ, ფეხქვეშ გათელა ჩვენი ნათესაური ღირსება და ახლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა დავპირისპირებოდით ერთიმეორეს. ეს ხომ ვიცოდი, რომ დედამიწის ზურგზე, სადღაც არსებობდა იგი, ცოცხალი ადამიანის პოვნა კი არ არის ძნელი.

პატარა ბავშვივით ტირილი ამივარდა, თუმცა აქ ტირილი როგორ მომიოხებდა გულს, ამიტომ აუცილებლად უნდა მივსულიყავი დედის საფლავზე, იქ მეტირა მიცვალებული მშობლები და ჩემი ცოცხალი თავი. ყოველივე ეს ვუთხარი ოსმანს და რადგანაც მან უკვე იცოდა დედაჩემის საფლავი, მეგზურობას თვითონ შემპირდა, ოღონდ დღეს აღარაფერი გამოვიდოდა, რადგანაც უკვე შეღამებული იყო, ამიტომ ხვალ დილისთვის დავთქვით სასაფლაოზე წასვლა, მაგრამ რა გაათენებდა ამ ჯოჯოხეთადქცეულ ღამეს.

იმ ღამეს ქალაქის გარეუბანში რაღაც მიტოვებულ ძველ ქოხში მოვთავსდით, ოსმანმა კარგა ხანს იფხიზლა, ჭკუას მარიგებდა, — ახლა მთავარია დამშვიდდე და შურისგებისათვის მოემზადოო.

ლაგერიდან რომ გავიქეცი, იმ მომენტში კიდევ ვფიქრობდი სიკეთეზე: — თუ ჩვენი ოჯახი წესრიგში დამხვდა, მაგრეზს ამ ერთ დანაშაულს ვაპატიებ-მეთქი, მაგრამ არა, ძმაო, ადამიანი რამდენადაც კეთილია, იმდენად ბრიყვია და საცოდავი. იმიტომ, რომ ადვილად ტყუვდება, ყველა ფლიდი და გაიძვერა ისეთივე უვნებელ ჰგონია, როგორიც თვითონ არის. განა რა დავუშავეთ მაგრეზს? — სიკეთის მეტი რა გაახსენდებოდა ჩვენი ოჯახიდან, მაშ, რისთვის გვიმტრო თავისივე სისხლსა და ხორცს? — ფუი, შეგირცხვეს კაცობა! შევიგინე მის მიმართ და ზიზღით გადავაფურთხე. კუთხეში აგურებზე ჩამომჯდარ ოსმანს გადავხედე, მაგრამ მას უკვე გულიანად ჩასძინებოდა.

— ღმერთო, ეს რა უცნაურ ბედზე დავბადებულვარ, — ჩემთვის ყველაზე ახლობელსა და ჩემივე სისხლ-ხორცს სამკვდრო სასიცოცხლოდ გადამკიდე, ცხრა უცხო პიროვნება კი ძმად და მეგობრად მომივლინე-მეთქი, ჩავილაპარაკე ჩემთვის.

დილით ადრე გამოვიფხიზლეთ, დავიწყეთ ბჭობა, თუ რა ტრანსპორტით მივსულიყავით სასაფლაოზე, ქალაქში ზედმეტად გამოჩენა არ გვინდოდა, რადგან ერთ მცდარ ნაბიჯსაც კი შეეძლო ჩვენი დაღუპვა, იმ დროს ავტომანქანები ნაკლებად გახლდათ და ხალხი ცხენებშებმული ეტლებით დადიოდა. ფული გვქონდა, ვიფიქრეთ, ეტლი დავიქირავოთ და იმით წავიდეთო, მაგრამ ბოლოს ეს აზრიც უარვყავით და ფეხით, მივარდნილ ქუჩებზე გავლით გადავწყვიტეთ მისვლა. ყვავილები ვიყიდეთ და სასაფლაოზე წავედით, იქ ოსმანმა ერთ მომაღლებულ გორაკზე მიმანიშნა, რომელზეც რკინის ძელი იყო დასობილი, ძელზე მიჭედებულ თუნუქის ნაჭერზე გაკეთებული წარწერა იტყობინებოდა დედის ვინაობას, მის დაბადებას და გარდაცვალების თარიღს.

აქვითინებული დავემხე საყვარელი დედის საფლავს, ცრემლები ღაპა-ღუპით მცვიოდა თვალთაგან, გამწარებული თავს ვახლიდი მიწის მოზრდილ ბორცვს, რომელსაც სამუდამოდ წარეტაცა ჩემთვის უსაყვარლესი დედა. ვტიროდი პატარა ბავშვივით და ათასნაირი სიტყვებით ვეფერებოდი დედის გულზე დაყრილ მიწას.

არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდი ასე, ოსმანს რომ არ წამოვეყენებინე, ვიჩქაროთო, — მითხრა, — ისიც შემახსენა, რომ აქ ჩვენი დიდხანს გაჩერება რაღაც ხიფათს გადაგვკიდებდა.

ტირილი დავიოკე, ცრემლი შევიმშრალე, ყვავილები დედას საფლავზე მოვაბნიე და იქვე დავიფიცე, რომ ჩვენი ოჯახის დამაქცევარს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემივე სისხლი და ხორცი იყო, მწარედ გადავუხდიდი სამაგიეროს. ამის შემდეგ დედის საფლავიდან ერთი მუჭა მიწა ავიღე, ცხვირსახოცში შევახვიე და ავგაროზივით გულის ჯიბეში ჩავიდე...

მინდოდა ჩვენი აწ უკვე ყოფილი ბინისათვისაც შემევლო თვალი, მაგრამ აღარ გავრისკეთ, გადავწყვიტეთ, ქალაქი სასწრაფოდ დაგვეტოვებინა. უნდა როგორმე შევერთებოდით ჩვენი ხალხის ეროვნულ ნებისმიერ რაზმს, რომელიც საკუთარი ხვრების დასაცავად, იარაღით ხელში ებრძოდა არამზადა კომუნისტებს.

მესამე დღეს შევუერთდით აბრაგების რაზმს, რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ მანსურ გაჯიევი. ეს რაზმი სულ ოციოდე კაცისაგან შესდგებოდა, ასე პატარ-პატარა რაზმებად ებრძოდნენ მეტწილად ისინი საძულველ კომუნისტებს. იმის გამო, რომ დიდი, მრავალრიცხოვანი რაზმი თვალში საცემია და სწრაფი მანევრირებაც უჭირს. საერთოდ ამ დაქუცმაცებული რაზმების საბრძოლო მოქმედებას ხელმძღვანელობდა მანამდის ჩვენთვის უცნობი ახმედ ხუჩბაროვი, რომლის უბადლო ვაჟკაცობაც განთქმული იყო მთელს ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ხოლო პოლიტიკურ საკითხებს უძღვებოდა ჰასან ტერლოევი. რომელმაც დაწერა „კავკასიელ ხალხთა ნაციონალური პარტიის საწესდებო პროგრამა", რომლის შესწავლაც რაზმის ყველა წევრს ევალებოდა. მე და ოსმანი მამაჩემის პატივისცემის ნიშნად კარგად მიგვიღეს გაჯიევის რაზმში, გვენდნენ, იარაღიც მოგვცეს, ამავე დროს დაგვავალეს, საფუძვლიანად შეგვესწავლა ზემოხსენებული პროგრამა. მაგრამ მე ჩემი საფიქრალი და სატკივარი გამაჩნდა, თუკი მაგრეზს ანგარიშს ვერ გავუსწორებდი, დანარჩენ მოქმედებას ჩემთვის აზრი არ ჰქონდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ველაპარაკე რაზმის უფროსს, მან ყურადღებით მომისმინა და ასე მითხრა: — ივარჯიშე ფიზიკურად, მოემზადე კარგად, მერე როდესაც შენს თავს საიმედოდ ჩათვლი, მითხარი, საჭირო იარაღსაც მოგცემ, ფულსაც და კაცსაც გაგაყოლებ, ვისაც შენ მოისურვებო. რაზმში ყველაფერი სამხედრო წესით ხდებოდა. დაწოლა, ადგომა, ლოცვა, ფიზიკური ვარჯიში, ვარჯიში ტყვიის სროლაში, თუ ხელჩართულ ბრძოლაში, პურის ჭამა, იარაღის წმენდა და სხვა. გარდა სავალდებულო ვარჯიშისა, მე ჩემსას ვცდილობდი და ერთ თვეში მივაღწიე იმას, რომ ჩერქეზული ჯიშის ცხენს ერთ ხელს ძუაში ჩავავლებდი, მეორეს ფაფარში, ასე მოვიგდებდი ზურგზე და ჰაერში ატაცებულს ვატარებდი პატარა მანძილს. ჩვენი რაზმის წევრები ბევრს ცდილობდნენ მოებაძათ ჩემი მაგალითისათვის, მაგრამ ამაოდ.

ამასობაში მოხდა მოსახდენი. გერმანია, რომელიც დიდი ხანია ემზადებოდა ომისათვის, თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და პირველივე დღეებიდან ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ კუდით ქვა ასროლინა კომუნისტების ნაქებ წითელ არმიას. გერმანელთა არმია ტრიუმფალური სვლით მოიწევდა წინ და ასე ჩანდა, თითქოს მათი შეჩერება ვერავითარ ძალას ველარ შეეძლო. წითელი არმია თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა უკან.

ერთ დღეს, რაზმის უფროსმა ჰაჯიევმა გამომიცხადა: თუკი ჩემს საქმეზე წასვლას მოვისურვებდი, ნებისმიერ დროს გამიშვებდა. სიხარულით ცას ვეწიე, ჩემი საფიქრალი და სადარდებელიც ხომ ეგ იყო. მეორე დღისთვის ვთხოვე გაშვება. თან იცის დავუმატე, რომ ჩემი ძმადნაფიცი ოსმან მაგომედოვი გაეყოლებინა. ჰაჯიევი დამთანხმდა, ოღონდ გამაფრთხილა: — ჯოხი ისე მოიქნიე, რომ მისი წვერი შენვე არ მოგხვდესო! ეს ჩემთვის გასაგები იყო, შევპირდი: — თავს არ შევირცხვენ-მეთქი. ამის შემდეგ, რაზმის უფროსმა იარაღი, ფული და ყალბი საბუთები მოგვცა. გზაც დაგვილოცა, დავემშვიდობეთ რაზმში ყველას და ორი განუყრელი მეგობარი გავუდექით მეტად სახიფათო და სარისკო გზას.

მიუხედავად იმისა, რომ მრისხანე ომის ქარ-ცეცხლი მძვინვარებდა და ყოველ ნაბიჯზე ფათერაკი იყო მოსალოდნელი, მაინც იოლად ჩავედით ყაბარდოში. მშვიდობიანად ვიყავით „მოკაზმულები", იარაღი ტანსაცმლის შიგნით საიმედოდ გვქონდა მიმალული. ყაბარდოში ბევრი ვიხეტიალეთ და ბოლოს ნალჩიკში ამოვყავით თავი. რატომღაც მჯეროდა, რომ ჩვენი ოჯახის დამაქცევარი სადღაც აქ უნდა ყოფილიყო. როგორც ოსმანმა მომიტანა ამბავი, თუ მართლა მილიციის ფორმით ნახეს იგი, ზედგამოჭრილი იყო მისთვის ის სამსახური, რაღა თქმა უნდა, თავდაცვის მიზნით.

თუმცა ასე სასტიკად გამწარებული ვიყავი მაგრეზზე, პირადად მისი ცოლშვილის მიმართ მაინც არ ვაპირებდი შურისძიებას, რას ვერჩოდი მათ? განსაკუთრებით კი პატარა იბრაჰიმს, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს მერჩივნა, მაგრამ ისეთ პირობებში გადავაწყდი იმ საცოდავს, რომ სხვა გზა არ მქონდა, უნდა გამემეტებინა, თორემ ყოველივე ჩემი გეგმები (შურისგების მიმართ) აუხდენელი დარჩებოდა.

ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, ეკლიანი მავთულით შემოღობილ ეზოს გვერდით მივდიოდით მე და ოსმანი, თანაც ფრთხილად ვზვერავდით გარემოს, ეზოს კუთხის მოსახვევში, სრულიად მოულოდნელად, პატარა იბრაჰიმს შევეჩეხე, ტანი აეყარა ამ ორ წელში, ასაკით ახლა უკვე რვა წლის იქნებოდა. შეუმჩნევლად გარიდება არ მოხერხდებოდა, ამიტომ ან ბავშვი უნდა დაღუპულიყო, ან ყველა ჩანაფიქრი წყალში ჩამეყრებოდა.

— ძია იუსუფ, აქ საიდან გაჩნდი, — გეგონა ვერ გიცნობდი? — აგერ ჩვენი სახლი, წავიდეთ; — გაღიმებულმა იბრაჰიმმა ხელი ეზოში ორსართულიან ბინაზე მიმითითა და ბავშვური გულკეთილობით მუხლებზე შემომეხვია.

ჩემთვის მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი. თვალისდახამხამებაში უნდა გადამეწყვიტა ყველაფერი, თორემ თუ ახლა ეს ბავშვი აქედან ცოცხალი წავიდოდა, რაღა თქმა უნდა, მშობლებთან იტყოდა ყველაფერს, ეს ამბავი კი გააფრთხილებდა ვერაგ მაგრეზს და თავდაცვისათვის საგანგებოდ მოემზადებოდა.

— ღმერთო, მაგრეზს მოჰკითხე ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვა-მეთქი, გავიელვე გულში და პატარა იბრაჰიმს მხრებში ვტაცე ორივე ხელი. საცოდავს ასე ეგონა, როგორც ადრე ავიტაცებდი ჰაერში, ისევ ისე მეთამაშებოდა და ერთი გულიანად გადაიკისკისა, მაგრამ რა იცოდა იმ უცოდველმა ბავშვმა, რომ მამამისის ცოდვის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, მის მიმართ უნდა აღსრულებულიყო სასტიკი განაჩენი.

— არ დაზოგო! არ დაზოგო! — ჩამძახოდა ყურში რაღაც იდუმალი ხმა და თითქოს მიზეზს თვითონვე მახსენებდა: — განა შენ დაგზოგა ვინმემ, რომ ასე გაგიმეტეს? არც დავზოგე, თავს ზევით ატაცებული ბავშვი მთელი ძალით დავუშვი ღობის წვერწაწვეტებულ ბოძზე. საცოდავმა ერთი უცნაურად ამოიხროტინა, პირიდან სისხლი გადმოანთხია და უსიცოცხლო სხეული საფრთხობელასავით ჩამოეკიდა ბოძზე. იმავ დროს, ეზოს შიგნით ქალის სასოწარკვეთილი კივილი გაისმა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ შეგვნიშნეს, მე და ოსმანმა ვიშვირეთ ფეხი და სულ მალე სამშვიდობოს ამოვყავით თავი. ქალაქი ევაკუირებული ხალხით იყო სავსე და მათში მიმალვა არ გახლდათ ძნელი.

მეორე დღეს შევიტყვეთ, გამწარებულ დედას ბოძზე ჩამოგებული შვილის გვამი რომ უნახავს, იქვე, ეზოში ხეზე თოკი ჩამოუბამს და მასზე ჩამოუხრჩვია თავი. მეზობლებს ეს ამბავი სასწრაფოდ უცნობებიათ სამსახურში გასული მაგრეზისათვის. მას სახლში მისულს ერთი სიკვდილი გაუთავებია და მიცვალებული ცოლ-შვილის გვამებთან დაუფიცავს, რომ თავის ოჯახის დამღუპველს უთუოდ იპოვიდა და ღირსეულადაც გაუსწორდებოდა.

რაოდენ სასაცილოდ მეჩვენა მისი მუქარა. თავი და მთავარი თვითონ იყო ჯერ ჩვენი და მერე საკუთარი ოჯახის დამაქცევარი. მაშ, რა პირით, ან ვიღას ემუქრებოდა? თუმცა კომკავშირის ალზრდილს რა კაცობა მოეთხოვებოდა.

ცოლ-შვილი რომ დაასაფლავა, კვლავ „ვესტუმრეთ" მაგრეზს ღამით და ცეცხლს მივეცით მისი სახლ-კარი, ცოდვილის ბუდე, როგორც გაირკვა, იმ დროს იგი სახლში არ ყოფილა, თორემ ცეცხლში ჩაიწვებოდა, სატანა იფარავდა თავისივე ნაშიერს.

უკვე ორი უცოდველი მსხვერპლის ცოდო მაწვა კისერზე, მაგრამ მთავარი მაინც ვერ შევძელი, მაგრეზი ვერ გავისტუმრე ჯოჯოხეთში. არადა, თავის გატანაც გაძნელდა. ჯან-ღონით სავსე ორი ახალგაზრდა კაცი ადვილად ვეცემოდით თვალში სამხედრო პატრულს. ფრონტის ხაზიც დღითიდღე წინ მოიწევდა და მრავალ საფრთხეს ქმნიდა. ასე ყოფნაც ჰქირდა. მიჩენილი ბინა არსად არ გვქონდა. ზოგჯერ ღია ცის ქვეშ ვათენებდით ღამეს, თუმცა ჩვენს ბედზე ზაფხულის თბილი ამინდები იდგა, მაგრამ მაინც საჭირო იყო ჩვენი განზრახვა დროულად მოგვეყვანა სისრულეში და სასწრაფოდ გავცლოდით აქაურობას. ადვილად შემეძლო ქურდულად მაგრეზის მოკვლა, მაგრამ მე მინდოდა ცოცხლად, პირისპირ შევხვედროდი ამ სატანას, მაინტერესებდა, თუ რით იმართლებდა თავს და ამის შემდეგ გამოვუყვანდი წირვას.

ბედმა აქაც დამცინა და ერთ დღეს შევიტყვეთ, რომ ქალაქის ერთ-ერთ უბანში მძარცველებთან შეტაკებისას, დაღუპულა მილიციის ორი თანამშრომელი და რაოდენ გულდასაწყვეტი იყო ჩემთვის ის ამბავი, რომ დაღუპულთაგან ერთი სწორედ მაგრეზ ხუგაევი გახლდათ, ჩემი ალალი მამიდაშვილი და ჩვენი ოჯახის დამაქცევარი. აქაც არ მეწნა ბედი, ამ ხნის მანძილზე ვერ დავუპირისპირდი და ჩემი ხელით ვერ გავისტუმრე საიქიოს. ეს იქნა მიზეზი, ამიტომ გავხდი ასეთი კაცთმოძულე, რაც ახლა ვარ.

დავაზუსტეთ ყველაფერი და რა დავრწმუნდით მაგრეზის სიკვდილის სინამდვილეში, ჩვენს იქ ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. ამიტომ უმალ დავტოვეთ ყაბარდოს ტერიტორია და გროზნოს მივაშურეთ. აქაც უნდა გამესვარა ხელი უდანაშაულო ხალხის სისხლში და ამომეხოცა ყველა, ვინც ჩვენს ყოფილ ბინაში ცხოვრობდა. ამასთანავე, ცეცხლისთვის უნდა მიმეცა ბინა, რათა იქ სიცოცხლეს აღარ ესულდგმულა აღარასოდეს. ასე მიკარნახებდა შურისგება. მაგრეზისათვის პირადად რომ გამომეყვანა აღსასრული, ასეთ რამეს აღარ ჩავიდენდი, მაგრამ ახლა შეუძლებელი იყო ჩემი შეჩერება და თუ ცოდვას ჩავიდენდი, ეს ცოდვა მაგრეზის სულს უნდა მოჰკითხოდა. გროზნოში ჩასულებმა ვისარგებლეთ ღამის სიბნელით და ჩვენს ყოფილ ბინაში ამოვხოცეთ იქ შესახლებული ვინმე გენადი როსმანი თავის ცოლშვილთან ერთად. მერე გვამებსაც და სახლსაც ბენზინი მოვასხით, ცეცხლი წავუკიდეთ და სიბნელეში გავუჩინარდით. მძვინვარე ხანძარმა შთანთქა ჩვენი დანაშაულის კვალი. ამის შემდეგ კვლავ დავბრუნდით ჩვენს ხალხთან, მაგრამ ჰაჯიევის ნაცვლად ახმედ ხუჩბაროვის რაზმში აღმოვჩნდით. ეს პიროვნება ძალზე მკაცრი, მომთხოვნი და თავისი სიტყვის პატრონი გახლდათ. ამასთან ერთად სასტიკი, შეუბრალებელი და დაუნდობელი იყო მტრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით სჯიდა ხოლმე დამნაშავეს. გარდა ამისა, ძალზე მოუსვენარი თვისება ჰქონდა. ერთ წუთს რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მეორე წუთს დაღესტანს მოექცეოდა. აქ თავის საქმეს გააკეთებდა და ახლა საქართველოსკენ იბრუნებდა პირს. მის ყოველ ნაბიჯს სისხლის და ცრემლის კვალი სდევდა თან და ჩვენც ასევე მიგვითითებდა, რომ ულმობელნი ვყოფილიყავით ყველა მოწინააღმდეგის მიმართ.

ახმედ ხუჩბაროვის რაზმში დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი. აქ იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: ჩეჩნები, ინგუშები, ლეკები, ხუნძები, ყალმუხები, ჩერქეზები და კიდევ სხვა მრავალნი. იყვნენ ქალებიც, რომელნიც ძირითადად სამეურნეო საქმიანობას უძღვებოდნენ: საჭმლის დამზადება, ტანსაცმლის დარეცხვა, ავადმყოფების მოვლა-პატრონობა და სხვა. ზოგჯერ კი ბრძოლებშიც მონაწილეობდნენ.

ადამიანს მანამდის ეშინია ბოროტების ჩადენისა, სანამ პირველად ჩაიდენს, ამის შემდეგ კი თითქოს იწაფება ბოროტებაში, თვითონვე ისწრაფვის, ხელახლად გაიმეოროს მსგავსი საქციელი, მაგრამ თუ სამარი მიზეზიც გააჩნია, მაშინ ხომ ვეღარაფერი დაუდგება წინ. ასე მომივიდა მეც, რაკი ერთხელ გავისვარე ხელი, პატარა ბავშვის სისხლში, ახლა უკვე ჩემთვის სულერთი იყო, დღეში ერთ კაცს მოვკლავდი თუ ათს, მტყუანს თუ მართალს, ამას ჩემთვის აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ გზად მიმავალი მშვიდობიანი მგზავრიც ამომიღია მიზანში და სიცოცხლისათვის გამომისალმებია. ალბათ, შემეკითხები, რას მიშლიდა იგი? არაფერს, მაგრამ, განა ვინმეს რამეს უშლიდა ჩვენი ოჯახი? დედაჩემი, მამაჩემი, თუ გინდაც მე, რისთვის გაგვიმეტეს ასე სასტიკად! განა შეიძლება ადამიანი ვერ მოთავსდეს ამხელა მიწაზე.

მას შემდეგ ყველას ვედავები, ყველა ცოცხალ ადამიანზე მინდა ვიძიო შური და თუ ეს ცოდვაა, ღმერთმა იმას მოჰკითხოს, ვინც მე ასე გამაბოროტა.

ახმედ ხუჩბაროვიც ჩემსავით გაბოროტებული კაცი ჩანდა. იშვიათად, დღე ისე დაღამებულიყო, რომ მისი მიზეზით ადამიანის სისხლი არ დაღვრილიყო. ასეთ რამეში შვებას ჰპოვებდა იგი. თანაც მაშინ უკვე ომის ქარცეცხლი მძვინვარებდა. გერმანელთა არმია მთელი სისწრაფით მოიწევდა კავკასიისაკენ და ხუჩბაროვიც ცდილობდა, მათი დახმარების ანგარიშში, მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა. მიტაცებდა მისი ვაჟკაცობა და დაღესტნის ცნობილი იმამების, ყაზი მოლას, ჰამზათ ბეგის და სწორუპოვარი შამილის თანატოლად მიმაჩნდა იგი. მთელი ჩემი შესაძლებლობით გვერდში ვედექი. მსიამოვნებდა მასთან ერთად ბრძოლა, რაგინდ რთული მომენტიც ყოფილიყო, უკან არ დავიხევდი. არადა, იმ კაცს ჰქონდა რაღაც ღვთით მომადლებული ნიჭი მეომრისა, იბრძოდა თავის ხალხის საკეთილდღეოდ, შესწევდა ბრძოლის უნარიც. მოგერიების, უკანდახევისაც და თავის დახსნისაც. მე იგი გვერდიდან არ მიცილებდა, ჩემივე თხოვნით დაიახლოვა ჩემი ძმადნაფიცი ოსმან მაგომედოვიც, რომელიც საქმეში ულალატო იყო და ჩემი გულისთვის უყოყმანოდ გასწირავდა თავს.

1942 წლის ოქტომბერი იდგა. გერმანელთა ჯარის ერთი ნაწილი, გაფთრებული ბრძოლების შედეგად, ვლადიკავკაზში შემოიჭრა, ამ ცნობამ დიდი სიხარული და აღფრთოვანება მოუტანა ახმედს, რომელმაც გამოგვიცხადა, რომ გერმანელები მალე გაათავისუფლებდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხებს ბოლშევიკთა ბატონობისაგან, მაგრამ ამ ბრძოლებში მთიელმა ხალხმაც უნდა აუბასო მხარი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტების განადგურებაში, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა გვმართებდა გერმანელთა ჯარის ნაწილების სურსათით მომარაგებაზე. გარდა სურსათისა, ჩვენვე გვევალებოდა გერმანელთა ჯარისათვის იარაღის, ტყვია-წამლის და სხვა აუცილებელი მასალების მიწოდება, რაც უნდა ამოგვეღო საბჭოთა ჯარის ნაწილებიდან, გვეხოცა და გვეძარცვა ისინი, ამავე დროს, შეძლებისდაგვარად, დახმარება უნდა გაგვეწია დაჭრილი გერმანელი მეომრებისათვის, მიგვეყვანა ისინი ჩვენი ნაწილის სამკურნალო უბნებზე, რომელნიც რამდენიმე ადგილას შენიღბულად მოქმედებდნენ.

მაგრამ ჩვენი აღტაცება და სიხარული ძალიან ნაადრევი გამოდგა. კავკასიონის მისადგომებთან შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო, ჯერ კიდევ 1942 წლის 19 აგვისტოს, კავკასიის დაცვის ხელმძღვანელობისათვის თბილისში ჩამოვიდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, ლავრენტი ბერია, რომელმაც მეომრებს მოუწოდა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, უკუეგდოთ გერმანელთა არმია. ბერიას მოწოდების საპასუხოდ, დიდი ღონისძიებები ჩატარდა საბჭოთა ჯარის შენაერთებში და შეტევაზე გადავიდნენ, მათ სასტიკი მარცხი აგემეს გერმანელთა ჯარებს ქ. ვლადიკავკაზთან და უკუაგდეს ისინი, 1942 წლის 19 ნოემბერს.

გაგრძელება იქნება

## პოლემიკა

ალექსანდრე ფოცხიშვილი

# შეუგნებლობა თუ «შეგნებული» შეცდომა?

## (მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსის გამო)

ბ-ნი მურმან ლებანიძის „ცნობილმა“ უსათაურო ლექსმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. მისმა დიდმა ნაწილმა იგი აღიქვა სამეგრელოს, მეგრული ენის შეურაცხყოფად და ბევრმა მეცნიერმა, მწერალმა თუ საზოგადო მოღვაწემ ეს პოზიცია დააფიქსირა კიდეც პრესაში.

ჩვენც ამ უკანასკნელთა პოზიციას ვიზიარებთ, მაგრამ თავისუფალი პრესის პრინციპები გვავალდებულებს მეორე, ასე ვთქვათ, საწინააღმდეგო მოსაზრების მქონე მხარესაც მივცეთ აზრის გამოთქმის საშუალება და ამიტომაც ვაქვეყნებთ ცნობილი მეცნიერის, ბ-ნ ალექსანდრე ფოცხიშვილის წერილს, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით.

ამავე ნომერში გთავაზობთ პოეტ ზაურ მოლაშხიას წერილს იმავე თემაზე, სადაც სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაა გამოხატული. თუ რომელი ავტორის არგუმენტებია დამაჯერებელი, ამას მკითხველი თავად განსჯის.

*გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია*

მ. ლებანიძის ან, ალბათ, ყველაზე უფრო ცნობილი ლექსის გამო ატეხილი აურზაური შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რამდენად არასერიოზულად, გაუწონასწორებლად (თუ უფრო მკაცრად არ ვიტყვით) აზროვნებს და მოქმედებს დღევანდელი ქართული საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი, რომელიც თავის თავს უთუოდ ინტელექტუალურ ელიტას მიაწერს.

ამ ლექსთან დაკავშირებით, თუ არ ვცდები, რამდენიმე ათეული გამოხმაურება დაიბეჭდა, ყველას წაკითხვა უბრალოდ შეუძლებელი იყო, ოღონდ ეგაა, რომ ჩემს ხელთ არსებული ყველა წერილის ავტორი სამეგრელოს შვილია, რაც ან აშკარა ხელმოწერიდან, ან იქიდან ჩანს, რომ კოლექტიურ მომართვებს ხელს აწერენ „საქართველოს პარლამენტის წევრები სამეგრელოდან და აფხაზეთიდან“, საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრები და ა.შ.

სამწუხაროდ, არც ერთ წერილში, მათ შორის არაჩვეულებრივი ტაქტით, ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნით, დინჯ და დასაბუთებულ წერილშიც, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ 80-90-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა, ქალბატონმა ციალა არდაშელიამ გამოაქვეყნა, არაა ნათქვამი, რომ საქმე გვაქვს პოეტურ ნაწარმოებთან, ლექსთან, რომელიც იწერება ნახევრად ქვეცნობიერი იმპულსით და რითმისა თუ რიტმის მოთხოვნილებით, ცივი გონებითა და ლოგიკური მსჯელობით გამოსატან დასკვნებს ზოგჯერ არ ემთხვევა.

ეს რომ ასეა, უამრავი მაგალითებიდან რამდენიმეს მოვიხმობ: ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე ლექს „გაზაფხულში“ ასეთი სტრიქონია — „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ჭყივის“. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ილიასთვის ბევრს უთქვამს, რომ მერცხლის მიმართ „ჭყივილი“ არ შეიძლება ვიხმაროთო, მაგრამ დიდ მწერალს უპასუხნია: — „ეგ სიტყვა ძალიან კარგად ზის თავის ადგილასო“ და დაუტოვებია კიდეც.

ლადო ასათიანის ერთ-ერთ შედევრში ვკითხულობთ: „თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა! „ნ. აგიაშვილი იგონებს, რომ, როცა პოეტს უთხრეს: „მარაბდის ომში ქართველები დავმარცხდით და ეს სიტყვები უადგილოდ გიხმარიაო“, ლადოს უპასუხნია: — „ისტორია თქვენზე ნაკლებ არ ვიცი, მაგრამ ლექსს მე ვწერ, პოეტი და არა ისტორიკოსიო“. აღარას ვამბობ გალაკტიონის ათეულობით ლექსზე, რომლებიც „გაუგებარი შინაარსისა თუ ლოგიკური შეუსაბამობის“ გამო მკვლევარმა მ. კვესელავამ „ინტეგრალურ ლექსებად“ მონათლა. აი, ერთი მათგანი: „... გზა იყო უბედური, უსახო, უპირქუბო; მიჰქონდათ კიდევ კუბო“... აშკარაა სიტყვა „უპირქუბო“ მხოლოდ რითმამ მოითხოვა და მისი აზრობრივი დატვირთვის დადგენა თითქმის შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, პოეტური ნაწარმოები ცივი გონების ლოგიკური მსჯელობის შედეგად მიღებული არაა და მის შესახებაც ამის მკაცრი გათვალისწინებით უნდა განვსაჯოთ.

რადგან მწერალი ლექსს „განმარტებით ბარათს“ ვერ დაურთავს, ვიდრე ნაწარმოების გარშემო აჟიოტაჟს ავტეხდით, საჭირო იყო ამ საქმის სპეციალისტებისა და კომპეტენტური პირებისათვის რჩევა გვეკითხა და დაგვედგინა, ლექსი მართლა იყო მეგრელების წინააღმდეგ მიმართული თუ ამის მხოლოდ ილუზია იქმნებოდა; იქნებ მწერალთანაც გვეცადა საკითხის გარკვევა.

მოვიქეცით კი ასე? — არა, არ მოვიქეცით! იმის მაგიერ, რომ ერთი შეხედვით, მართლაც მოუზომლად ნათქვამი, კარგად გაგვეანალიზებია, ნათქვამს ძირისძირობამდე ჩავწვდომოდით, პოეტის მიზანი ზუსტად ამოგვეკითხა და ავტორის მიმართ „მკვახე შეძახილისთვის“ ცოტა საყვედურთან ერთად მადლობა გვეთქვა, მას ყოველნაირი სისაძაგლე მივაწერეთ და მეგრელების (ამდენად, მთელი ქართველი ხალხისაც) მტრად გამოვაცხადეთ.

ვიდრე ახლა ჩემს მიმართაც აჟიოტაჟი ატყდება და მეც ანათემას გადამცემთ, სამეგრელოს სახელოვან შვილებს, განსაკუთრებით იმ ნაწილს, ვინც ვალდებულია ლექსში პოლიტიკური ტრაქტატი კი არ ეძებოს, არამედ იგი აღიქვას, როგორც პოეტური შემოქმედების ნაყოფი, ვთხოვ, მოთმინებით წაიკითხოს, რასაც დავწერ და, თუ საწინააღმდეგოს თქმას ან დაწერას დააპირებს, მიპასუხოს მხოლოდ იმ დებულებებზე, რასაც წამოვაყენებ და არა იმაზე, რაც მას მოეჩვენება. ნუ მომაწერენ იმას, რაც არ მითქვამს, რისი შესანიშნავი ნიმუშიც არის მ. ლებანიძის წინააღმდეგ მიმართული მეტი წილი გამოქვეყნებული წერილებისა.

აი, ამონაწერები ამ წერილებიდან: „ბ. წიფურია, კაცი თეატრალური განათლებით, სხვათაშორის, ჩემი და ბევრის საყვარელი მსახიობი, „ტერაქტად“ მონათლული ამ ლექსის შესახებ წერს: „მურმან ლებანიძე სამარცხვინო პასკვილს „გვიძღვნის“. საშინელ შეურაცხყოფას გვაყენებს“. კორესპონდენტი აწყვეტინებს: — ბ-ნ მურმანს ალბათ, ასე არ მიაჩნია. წიფურია განაგრძობს აღშფოთებას: „ეგაა უბედურება, რომ არ მიაჩნია, სწორედ ტვინში კინაღამ ჩამექცა სისხლი. რას ნიშნავს „დუშმანთა საქმე“, „მიჯღარკ-მოჯღარკვა“, რაა ეს გესლი“?

ჯერ აქ შევჩერდეთ.

„მიჯღარკ-მოჯღარკვაზე“ უფრო ქვემოთ ვიტყვი, ახლა კი ვეკითხები ბატონ ბორისს: — „სად წერია ამ ლექსში „დუშმანთა საქმე?“ რითაც თქვენ მურმან ლებანიძეს მიაწერთ, თითქოს მას დაეწეროს, რომ „მეგრელებმა დუშმანური საქმე აკეთესო“ (თუმცა, ქვემოთ ვნახავთ, რომ ე.წ. „მიმართვის“ ავტორები პირდაპირ ამბობენ: ლებანიძე მეგრელებს დუშმანებად იხსენიებსო).

ახლა ჩავხედოთ რა წერია ლექსში: „თქვენ დუშმანს (ე.ი. მტერს-ა.ფ.) სიტყვა უქციეთ საქმედ“. რას ნიშნავს ეს ნათქვამი? იმას, ჩემო ძვირფასო ბორის, რომ: „თქვენ (ე.ი. მეგრელებმა) თქვით ისეთი სიტყვა, რაც მტერმა (ანუ დუშმანმა) აქცია საქმედ!“ რა იგულისხმება თქვენს მიერ ნათქვამ სიტყვაში? — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა მეგრულად. მერედა, როგორ იქცა ეს სიტყვა მტრის ხელში საქმედ? — სრულიად უბრალოდ: მათ ქვეყნიერებას მოსდეს, რომ: „მეგრელები სხვა ხალხია, ქართველები კი — სხვა“, რასაც ადასტურებს ისი, რომ მეგრელებს ქართულად დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ არ ესმით, ამიტომაც მას თავიანთ ენაზე თარგმნიანო. არძინბა უპირველესად „საქმეზე“ იმით გადასულა, რომ მეგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ სოხუმში დაუბეჭდავს. შემდეგ კი სეპარატისტები მოითხოვენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მეგრელებმა სკოლებში მეგრულად ისწავლონ. ახლა, თუ ოდნავ მეტს ჩავუფიქრდებით ამ „საქმეს“, განა ძნელი მისახვედრია: რაც არძინბას მოსწონს, არ უნდა მოსწონდეს მ. ლებანიძეს?!

მეტად „საინტერესოდ“ თარგმნის ბ-ნი ბორისი პოეტის ნათქვამს: „ვით დედა-მტკვართან ჭოროხს და ენგურს...“ იგი აღშფოთებული წერს: „ან რას ნიშნავს „მტკვართან ენგური ვერ მოვაო“. **ენგური ყველაზე სუფთა მდინარეა, ონკანს შეგიძლია შეუერთო პირდაპირ. ამხელა შუღლის დათესვა გაგონილა?** (ხაზი ჩემია-ა.ფ.). ე.ი. ის, რომ პოეტმა დედა-მდინარე მტკვართან შედარებით ყველა სხვა მდინარე, მათ შორის რიონიც, ჭოროხიც, არაგვიც... პატარებად

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# მტკიცე უარი ეროვნული საგანძურის ქვეყნიდან გატანის ინიციატორებს



„27 ივნისს კულტურის სამინისტროში შედგა ქართველი ლითონმცოდნეებისა და ხელოვნებათმცოდნეების შეხვედრა მოწვეულ სტუმრებთან (გრეგ გუროვი და ტერი დრაიმონ-ვეისერი. რ.ს.). სამწუხაროდ, ქართველ და ამერიკელ სპეციალისტებს შორის ექვსსაათიანი დისპუტის მიმდინარეობისა და თემების მრავალფეროვნების მიუხედავად, ვერცერთ მნიშვნელოვან საკითხში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება („კვირის პალიტრა“, 5-11 ივლისი, 1999, გვ. 7). „... შეხვედრას რატომღაც სტუმარი გუროვი თავმჯდომარეობდა, თუმცა, წესით, ალბათ, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს უნდა ემასპინძლათ“ (იქვე).

„29 ივნისს ტერი დრაიმონ-ვეისერი შეხვდა ქართველ სპეციალისტებს, ლითონმცოდნე ანზორ ავალიანს და მინანქრის სპეციალისტს ერმილე მაღრაძეს, ხელოვნებათმცოდნე ელენე კავლელაშვილს... ქართველ სპეციალისტებს... მიაჩნიათ, რომ ასეთ დაზიანებულ ნივთებს საკუთარი მუზეუმიდან არავინ გაიტანდა სამოგზაუროდ. მათი აზრით, ტერი დრაიმონ-ვეისერი კარგი სპეციალისტია. მხოლოდ ამჯერად მისი მიზანი ჩვენგან განსხვავდება. მას სურს კარგი გამოფენის მოწყობა, ჩვენი სურვილი კი ისაა, ნივთებს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ. ერმილე მაღრაძე: „მე ვერავინ მომცემს გარანტიას, რომ გადავაადგილებთ ექსპონატებს და მინანქარი არ ამოვარდება იქიდან, რადგან მას ჰორიზონტალური ბზარებიც კი გააჩნია, არათუ ვერტიკალური.“ ანზორ ავალიანი: „ქალბატონი ტერი მიმტკიცებს, ოქროს კოროზია დაწყებული არა აქვსო... მე ვთვლი, ოქროს კოროზია დაწყებულია და ეს არა მარტო ვიზუალურად ვნახე, არამედ 1994 წელს გაკეთებული ანალიზებითაც დამტკიცდა. დღეს მდგომარეობა უფრო დამძიმებულია. თვალხილულადაც კი ოქროს დანაფერის ფერი შეცვლილია.“ შემდეგ ნათქვამია: „ნივთების ტრანსპორტირება რამდენად ცუდად მოქმედებს კოროზიულ ნივთებზე, შემდეგი მაგალითიდანაც თვალნათლივ ჩანს. XI საუკუნის ხატი ლაკლაკიძის ღვთისმშობელი მოგზაურობამდე კოროზიის მხრივ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ცაგერის მაცხოვრის XI საუკუნის ხატი, რომელსაც არ უმოგზაურია. დღეს ლაკლაკიძის ღვთისმშობლის ხატი საშინლად კოროზირებულია, მაშინ, როცა ცაგერის ხატში კოროზია არ გაღრმავებულა“ (იქვე).

ასეთია სპეციალისტების სულ ბოლოდროინდელი დასკვნები. და მაინც, მათი აზრის გაუთვალისწინებლად (საზოგადოების, ერთის აზრზე რომ არაფერი ვთქვა), „30 ივნისს საღამოს კულტურის სამინისტროში შედგა სტუმრების სამუშაო შეხვედრა საორგანიზაციო კომიტეტთან. ვალერი ასათიანის თქმით, ქართულ და ამერიკულ მხარეს შორის 1998 წლის 29 ოქტომბრის თარიღით ხელშეკრულება ხელმოწერილია. ამდენად, გადაწყვეტილია, რომ გამოფენა უნდა გაიმართოს. თუმცა, ცალკეული ნიუანსები... დაუზუსტებელია და ამაზე კომისიებმა უნდა იმუშაონ“ („კვირის პალიტრა“, იქვე).

ძველი რიცხვით მოაწერეს ხელი 30 ივნისს, რვა თვის შემდეგ (აკი ხელშეკრულება უკვე დადებულიაო?), თანაც ნიუანსების დაუზუსტებლად. ასეთი საქციელი მთელი ერისათვის სულში ჩაფურთხებაა, მეტი რომ არა ვთქვა, მისი და საქმის სპეციალისტების აბსოლუტური უგულვებელყოფაა ხელისუფლებაში მყოფთა ჯიბის გასასქელებლად. თანაც კაცმა არ იცის, რის გატანას აპირებენ (უფრო არ გვეუბნებიან), რა რაოდენობისას და რამდენი ხნით (ვარაუდობენ, ორ წლამდე, საერთოდ თუ დააბრუნეს ზოგიერთი): "Условия этого договора должны включать: эксклюзивное право Америке (კონკრეტულად ვის, ისიც არაა აღნიშნული. რ.ს.) на презентацию выставки, вероятностью продажи экспонатов в другие страны при проявлении определенного интереса" („კვირის პალიტრა“, 14-20 ივნისი, 1999, გვ. 8).

ამაზე მეტად თავის აგდება და ერის ფეხებზე დაკიდება წარმოუდგენელია, რამეთუ თავისი დანიშნულებისა და ერის წინაშე აღებული ვალდებულების გრძნობა დაუკარგავს ხელისუფლებას, დაწყებული ვალერი ასათიანიდან (კომისიის თავმჯდომარე), ქვეყნის პირველი პირით დამთავრებული.

ქრისტეშობის 2000 წლისა და ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავზე ჩვენ ვერ დავიმშვენებდით ჩვენი ისტორიის ძვირფასეულობას, ვითომ? ცოტა უცხოელი ჩამოვა საქართველოში იმ დროისათვის? მაშ, რატომ უგულებელყვეს ქვეყანა და ხალხი? რატომ დაამთხვიეს ქრისტეშობის 2000 წელსა და ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვან იუბილეს უპირველესი განძის გასხვისება (უკეთეს შემთხვევაში, ორ წლამდე ვადით მაინც)?

ექვთიმე თაყაიშვილის წინაშე ჩადენილი ცოდვა ნამდვილად უწევს ყველა ავის მქმნელს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა. გაანათლოს მისი სული უფალმა! როგორ კაცუნებად ჩანან მასთან შედარებით ყველანი, ვინც განძის ქვეყნიდან გატანის გადაწყვეტილება მიიღო და ამას დაეთანხმა.

მოგიწოდებთ ყველა ქართველს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, უარი უთხრათ მომავალ არჩევნებში მოქალაქეთა კავშირსა და მის ხელმძღვანელობას. ამით ერთხელ და სამუდამოდ დაუმტკიცეთ მათ, რომ ხალხისა და ქვეყნის სამსახური უპირველესია ხელისუფლებისათვის.

**რევაზ სალია**

# გეყოთ, კმარა!..



კოდორის ხეობა — ჩვენი გეოპოლიტიკურ-სტრატეგიული ფორპოსტი, ჩვენი უახლესი ისტორიის ტრაგიკული და ამავე დროს, ღირსეული ფურცელი, ციხე-სიმაგრე, მეომრული ღირსების მატიანე... ახლა „ურა-პატრიოტებს“ საარჩევნო-სათარეშო ასპარეზად უქცევიათ ეს ულამაზესი, ღვთის ანაბარა მიტოვებული კუთხე, გარდა ბედნიერი გამონაკლისებისა, როგორებიც არიან ბატონები: ივერი ჭელიძე, ემზარ კვიციანი, ბატონი ავთანდილ მარგიანი და სხვანი. (მომიტევონ იმათ, ვინც გამომრჩა).

ნაცვლად იმისა, რომ (ეს ჩემი სუბიექტური აზრია) ლეგიტიმური მთავრობა თავის აღმასრულებელ — პარლამენტარ—გამგებლებიანად 24-საათის განმავლობაში ფეხს არ უნდა იცვლიდნენ ხეობიდან, ხდება პირიქით — მოახლოვდება თუ არა არჩევნები, იწყება ვოიაჟები ყველა ჯურის მედროვე კარიერისტებისა. იწყება გაუთავებელი შეპირებები, რის იქითაც საქმე არ მიდის, ანუ პირობის შესრულება ვერ სცდება უსაშველოდ გაქსუებულ სხეულებსა და საკუთარ, მყარად შემორაგულ კარ-მიდამოებს. ალბათ, მეთანხმებით ამ სიტყვების „მასშტაბურ“ სისწორეში, ჩემო იმუნიტეტების მაძიებელო ძმებო, ეს არის მწარე სიმართლე, რომლის თვალებში შეხედვაც მოგიწევთ ყველას. სწორედ იმ თვალებში, რომლებიც ხედავენ ობლად ჩარგულ პალმას, წითელი თუ თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებულ სასახლეებს, მრავალათასიანი „შევროლეთი“ მოსეირნე დეპუტატების მაძიებლებს.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ძალადობა რაიმე სიკეთის მომტანი იყოს. მაგრამ არც იმის მომხრე ვარ, თითო-ოროლა გამწარებული ხეობის დამცველის ქმედების გამო, რომელთაც აევსოთ მოთმინების ფიალა და ვერ მიეფერნენ მათ გულაღტკინებულ თანამოძმეებს, ბოდიშები იხადოს სვანეთმა და სვანებმა და ბოლოს და ბოლოს, გვეყოფა დაუმთავრებელი ბრალდებები ხეობაში თუ უღელტეხილზე დატრიალებული ტრაგედიებისა თუ ინციდენტების გამო. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. თავი დავანებოთ სვანი კაცის ღირსების ლაფში ამოთხვრას, როგორმე დავიოკოთ თავი და ქვეყნის სახელითა და დარდით თითო წვეთი ცრემლი ჩამოვიგოროთ ლაწვებზე და მივხედოთ საქმეს. ან აცადეთ იმათ, ვისაც მართლა უყვართ თავისი ქვეყანა საკუთარ თავზე მეტად და ვინაც თავისი შეგნებული ცხოვრება იცხოვრა ქვეყნის ინტერესებისათვის.

გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ — თქვენი მოჩვენებითი გარეგნული პარამეტრები არ ეყოფა ქვეყნის გადარჩენას. აქ სხვა განზომილებებია საჭირო. ხეობაში დარჩენილ ბიჭებში სხვანაირი მუხტი დევს, რომელიც, სამწუხაროდ, თქვენთვის ძნელი გასაგებია. ნუ დავტოვებთ ამ სიტუაციას ანალიზის გარეშე. რადიკალურად შევცვალოთ ამ პრობლემებთან მიდგომები და მერწმუნეთ, არასოდეს მსგავსი რამ არ განმეორდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, მდგომარეობა იქაც შეუქცევადი გახდეს. ერთი ეს მითხარით, ბატონ ჯორბენაძეს რატომ არ ერჩიან? იმიტომ, რომ ბევრი სიკეთე აქვს დათესილი. თუნდაც რად ღირს 45 წლის გენერალზე, აფხაზეთის კომისარზე, ბატონ თამაზ ჭკადუაზე გაწეული ამაგი მის ღირსეულ თანამშრომლებთან ერთად და ასეთი უამრავი ფაქტია, რისთვისაც დიდი მადლობა მას და იმედი მაქვს, ეს ყურადღება კოდორის ხეობის გმირებს კვლავ არ მოაკლდება.

**გიორგი თამლიანი**

## აფხაზეთი

# როგორ დავკარგეთ გაგრა?!

### ნაომარი ოფიცრის მონათხრობი

ქართველმა ხალხმა დაწვრილებით უნდა იცოდეს ყველაფერი აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ, უნდა იცოდეს ყველამ, თუ ვინ ვინ არის და რა გაუკეთებია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ეს წერილიც ამ მიზნით არის დაწერილი.

1992 წლის 16 სექტემბერს სპეცრეისის თვითმფრინავით ჩავფრინდით სოხუმში ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესასრულებლად. იმ დროს მე თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონში დაზვერვის ოცეულის მეთაურად ვმსახურობდი. ჩვენი ბატალიონი ისეთი დანიშნულების იყო, რომ სპეციალურ დავალებებზე ვიგზავნებოდით. ასე იყო მაშინაც: ჩვენ უნდა აღგვეკვეთა იმ დროს სოხუმში გამეფებული არნახული ძარცვა-გლეჯა. ქალაქში კაცი ვერ გაიგებდა, თუ ვინ რას აკეთებდა, დღისით-მზისით იძარცვებოდა სახლები, ნადავლის გაყოფაში ერთმანეთსაც არ ინდობდნენ იქ ჩასული ვაიმებრძოლები, სუფევდა საშინელი განუკითხაობა, ძალადობა და ტერორი.

ჩვენ ჩასვლისთანავე დავიწყეთ დაკისრებული დავალების შესრულება. ჩვენი მეთაური იყო პოლკოვნიკი თამაზ მეფარიშვილი, უაღრესად პატიოსანი და სამშობლოსათვის თავგადადებული ვაჟკაცი. ძალას და მონდომებას არ ვზოგავდით, მაგრამ გადიოდა დრო და ჩვენთვის თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ ხელს არავინ გვიწყობდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სოხუმში ასეთი ქაოსური მდგომარეობა ხელოვნურად იყო შექმნილი. წესრიგის დაცვა არავის აინტერესებდა და ჩვენც თითქმის უსაქმოდ დავრჩით.

რადგანაც თბილისიდან სულ სხვა დავალებით ვიყავით ჩასულები, არც წინა ხაზზე გვიშვებდნენ სოხუმის შტაბის ხელმძღვანელები, არც ადგილზე გვასაქმებდნენ, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ მოვიდა ცნობა, რომ გაგრაში გართულდა მდგომარეობა და ჩვენი ძალები სასწრაფოდ საჭიროებდნენ იქ დახმარებას. შტაბიდან მოსულ ბრძანებას სიხარულით შევხვდით და გაგრაში წასასვლელად ბაბუშერას აეროდრომზე მივედით. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მოფრინდა სამი ვერტმფრენი. მათ ჩვენი 80 კაცი უნდა გადაეყვანათ გაგრაში. ჩავსხედით ვერტმფრენებში ოცეულების მიხედვით. ისევ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გვაცნობეს, რომ გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის ჯარის შტაბი გვიკრძალავდა თურმე გაფრენას (ვაი, საქართველოვ! უცხოტომელი გახდა შენი ბატონი და ქართული ჯარის შენაერთებს საკუთარ მიწა-წყალზე ერთი ქალაქიდან მეორეში გადაადგილებას უკრძალავს, კრიზისულ მდგომარეობაშიც კი).

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ჩვენი ოცეული მაინც წავიდა რისკზე და აფრინდა იმ აზრით, რომ თუ ჩვენ არ ჩამოგვაგდებდნენ და გაგრაში მშვიდობიანად ჩავფრინდებოდით, მაშინ სხვებიც გამოგვყვებოდნენ. ასეთ ვითარებაში ავიჭერით ჰაერში. ბიჭები ჩვეულებრივად ისხდნენ და მშვიდად იყურებოდნენ სარკმელებიდან. მათ სახეებს არავითარი შიშის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. არა და ან უნდა ჩამოვეგდეთ, ან იძულებით უნდა დავესვით რუსების სამხედრო შტაბს გუდაუთაში. გაგვიღიმა ბედმა და მშვიდობით დავეშვით გაგრის სტადიონზე, რომელიც მაშინ აეროპორტის როლს ასრულებდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩამოფრინდნენ სხვებიც.

სტადიონზე მიტინგი ტარდებოდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გაგრის მაშინდელი მერი ჯონი ლატარია. ის რიხით აცხადებდა, არავითარი საფრთხე გაგრას არ ემუქრება და ქალაქი ისე არის გამაგრებული, რომ შიგ ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო. მიტინგის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ ჩვენთვის განკუთვნილი „იკარუსები“ და წაგვიყვანეს სოფელ კოლხიდაში, სადაც ძირითადი ბრძოლები მიმდინარეობდა. მოგვათავსეს სასტუმრო „ისკრაში“ და, როგორც ახალ ჩასულებს და ბრძოლაში „გამოუცდელებს“, ჯერ შტაბის დაცვა დაგვავალეს, რომელიც სამხედრო კომისარიატში იყო განლაგებული. ყოველდღე 16-16 კაცი ერთმანეთს ვცვლიდით და ისე ვმორიგეობდით. გული არ გვითმენდა და სულ წინა ხაზისკენ გვეჭირა თვალი. მალე მოვიდა ნანატრი წუთებიც. მოგვხსნეს შტაბის დაცვიდან და გადაგვისროლეს წინა ხაზზე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მანამდე დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობდით თავს. აბა რა უნდა გვეფიქრა: საომრად ჩასული სპეცდანიშნულების ბატალიონი შტაბის დასაცავად დაგვაყენეს!



შტაბის უფროსი იყო პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი, მოადგილე — პოლკოვნიკი პეტრე გოგუაძე. გაგრაში იყო სხვადასხვა სახელწოდების ბატალიონები და ასეულები. ბრძოლებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს „თეთრი არწივისა“ და „შავი ავაზის“ მებრძოლებმა. მათი რიგებიდან თითო-ოროლალა გადაურჩა გაგრაზე განხორციელებულ შტურმს.

გაგრაში ყველა შენაერთი თვითნებურად მოქმედებდა, შტაბის ბრძანებებს არ ასრულებდნენ. განსაკუთრებით ქაოსურ მდგომარეობას ქმნიდა იქ ჩასული მოხალისეთა რაზმი, რომელმაც ბრძოლის დროს ყველანაირი ხალისი დაკარგა და გასაქცევად იყვნენ მომზადებულები. არც „მხედრიონის“ მებრძოლები ჩამორჩებოდნენ მოხალისეებს უწესრიგობაში. მდგომარეობა თანდათან უმართავი ხდებოდა. თან დაძაბულობაც მეტად და მეტად იგრძნობოდა.

მებრძოლები თვითნებურად ტოვებდნენ საბრძოლო პოზიციებს და სახლებში გარბოდნენ. ამ ქაოსის აღსაკვეთად შტაბის ბრძანებით თითო-თითო ოცეულს აეროპორტზე უნდა გვემორიგა, რომ გამოქცეული მებრძოლები შეგვეჩერებინა. ამ დავალების შესრულება არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. რამდენჯერმე მოგვიწია ხელჩართული შეტაკებები გამოქცეულ მოხალისეებთან და მხედრიონელებთან. იყო სროლებიც, მაგრამ, საბედნიეროდ, ჰაერში და არა პირდაპირ. როცა ვერტმფრენები დაჯდებოდნენ, რომ მოსახლეობა წაეყვანათ სოხუმში, პირველი შიგნით „მებრძოლები“ შეცვივდებოდნენ და ადგილებს არ უთმობდნენ ბავშვიან ქალებსა და მოხუცებს. მათი ჩამოყვანა ვერტმფრენიდან ერთი ჩხუბითა და დავიდარაბით გვიხდებოდა. ასეთ მდგომარეობაში გადიოდა და ახლოვდებოდა ავადსახსენებელი 1992 წლის ორი ოქტომბერი — უსაშინლესი დღე საქართველოს უახლოეს ისტორიაში. მანამდე კი ხელისუფლების „ბრძნული“ გადაწყვეტილების წყალობით სკოლებში სწავლება დაიწყო, აღსდგა ქალაქში მოძრაობა და ცხოვრება თითქოს ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. კოლხიდაში ბრძოლების შემდეგ ეს სოფელი მთლიანად გავწმინდეთ და მტერმა გუდაუთისკენ დაიხია. ჩვენ შეტევას ვაგრძელებდით და საკმაოდ წარმატებითაც. ასე რომ გაგრძელებულიყო, გუდაუთასაც გავათავისუფლებდით.

ყოველი ჯგუფი თავდაუზოგავად იბრძოდა. არავის უფიქრია ერთი წამითაც შეჩერებაზე, მაგრამ მოულოდნელად შეჩერებისა და ადგილზე გამაგრების ბრძანება მოგვივიდა, რომელმაც გამოიწვია მერე გაგრის დაკარგვა. ჩვენ ადგილზე გაგვყინეს და არავითარი წინ წაწევის უფლებას არ გვაძლევდნენ შტაბიდან. თურმე მერე გავიგეთ, რომ ჩვენი შტაბი თბილისიდან იმართებოდა. წარმოუდგენელია ამ სიშორიდან ბრძოლის მართვა, მაგრამ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების „სიბრძნის“ გამო ყველაფერი წარმოუდგენელი ხდებოდა და ახლაც ხდება.

ამრიგად, ბრძოლა დროებით შეჩერდა. ყოველდღე ველოდებოდით შეტევის განახლების ბრძანებას, მაგრამ ეს ბრძანება სანატრელი გაგვიხდა თითოეულ მებრძოლს.

ამასობაში მტერი ძალებს იკრებდა. კოლხიდისა და გაგრის მისადგომებთან ვამჩნევდით შეიარაღებული რაზმების გადაადგილებას, მაგრამ წინ წაწევის უფლება არ გვქონდა. 1 ოქტომბერს უკვე შეტევა წამოიწყეს მოწინააღმდეგის ძალებმა. ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. აშკარად იგრძნობოდა მტრის უპირატესობა ცოცხალ ძალასა და ტექნიკაში. ჩვენ ტექნიკა არ გვყავდა. მხოლოდ ერთი ტანკი იდგა პოზიციაზე, რომელიც ვერ ისროდა და უაზროდ დაგრუხუნებდა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# კონფერენციაზე აღიარეს, რომ აფხაზეთი რუსეთმა დაიპყრო



6-7 ივლისს თბილისში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა — „გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა აფხაზეთში (საქართველო) — აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღი“. რუსეთის „დუმის“ წარმომადგენელმა, ნ. დიკომ ხაზი გაუსვა რუსეთის მთავრობის, პირადად პრეზიდენტ ელცინის დანაშაულს აფხაზეთის დაპყრობაში. მისი ბრძანების გარეშე ერთი ტანკი, ერთი თვითმფრინავი ვერ იმოქმედებდაო. სიცრუეა რუსების კეთილშობილ და ბოროტ ნაწილებად დაყოფა. რუსეთი მოქმედებს რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელობითო. მან დაგმო რუსეთის ჩარევა იუგოსლავიაში, თითოეულ ჯარისკაცზე უზარმაზარი გადასახადია დაწესებული, რომელსაც რუსეთი ვერ გადაიხდისო. სერბები არ არიან რუსების მონათესავეები — ცრუ შეხედულებით ატყუებენ საზოგადოებასო.

მოსკოვიდან რუსეთის საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალა იაზიკოვამ განავრცო ნ. დიკოს თემა რუსეთის დანაშაულის შესახებ აფხაზეთის საკითხში. მან თავიდანვე გამოკვეთა თავისი შეხედულება — საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, მისი საზღვრები ხელშეუხებელია. სერიოზული ადამიანი არ დასვამს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის საკითხს ან რომელიმე სხვა ქვეყნისათვის მის მიერთებას. გულისტკივილი გამოთქვა იმ ადამიანების გამო, რომლებიც რუსეთიდან ხშირად ესტუმრებიან საქართველოს, აქ მათ თბილად ხვდებიან, სტუმრები აქაურებს თანაგრძნობას ჰპირდებიან, დაბრუნებისას კი საქართველოს შესახებ სიცრუესავრცელებენ, სწორად არის საჭირო ურთიერთობისათვის გამოსადეგი ადამიანების შერჩევაო. მან დაწვრილებით განიხილა გენოციდზე საერთაშორისო შეთანხმების რამდენიმე პუნქტი და აღნიშნა, რომ საქართველო პირნათელია ყველა პუნქტის მიხედვით და რომ აფხაზეთში ნამდვილად დასტურდება გენოციდი ყველა ნიშნით.

ვთქვათ, დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა გენოციდი და საქართველოს უფლებები მის მთელს ტერიტორიაზე აღსდგა, რაშიც ეჭვი არ მეპარებაო. სამომავლო ქმედების სქემაც გასათვალისწინებელია. ვთქვათ, არძინბას ჯგუფმა განაცხადა, რომ მათ სურთ აფხაზეთის მოსახლეობის აზრის გამოკითხვის, რეფერენდუმის შედეგად საქართველოსგან გამდგომა. ამ საკითხის დაყენების, არამც თუ რეფერენდუმის ჩატარების უფლება არძინბას დამნაშავე დაჯგუფებას არ აქვს, რადგან მან აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ნება უნდა გამოხატოს, მისი დიდი ნაწილი კი განდევნილია აფხაზეთის გარეთ. კოსოვოში რომ ჩაატარეს რეფერენდუმი, იქ ყველა დევნილს დაუგზავნეს ბიულეტენი და ყველა დევნილმა მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. არძინბას ეს არ გაუკეთებია. მის ხუნტას არანაირი უფლება არ გააჩნია.

აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ გულისტკივილი გამოსთქვა ქართველი ისტორიკოსების მიმართ მრავალჯერ გამოთქმული საყვედურის გამო მათი ინერტულობის, უყურადღებობის ბრალდებით. სინამდვილეში ქართველი ისტორიკოსები მუდამ იბრძოდნენ სიმართლისათვის და ეს ბრძოლა მათ სისხლის ფასადაც კი უჯდებოდათ. ქართველმა ისტორიკოსებმა თავიანთი, სისხლი ჩააქციეს იმაში, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველ ისტორიაში, რომელიც რუსეთში გამოქვეყნდა, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე — 1960 წელს, როგორმე შეეტანათ ფრაზა, რომ ქართველები არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უძველესი მკვიდრი ერი, რომ I ს.-დან ბერძნებისა და რომაელების მიერ დაწერილი კავკასიის აღწერებში დამოწმებული აბსილებისა და აბაზგების ეროვნულად არაქართველებისადმი მიკუთვნება შეუძლებელია, ამის საბუთი არ არსებობს. ამ ტექსტმა საშინელი შეპასუხება გამოიწვია და საგანგებოდ დაავალეს შალვა ინალ-იფას მის უარსაყოფად აფხაზებზე წიგნის დაწერა, მათი არაქართველობის, აბსუობის დასაბუთების მცდელობით, რედაქტორად დაუნიშნეს ცნობილი ეგვიპტოლოგი(?), აკადემიკოსი კონდრატოვსკი. შალვა ინალ-იფას წიგნი მაშინვე გავაკრიტიკეთ, რაზეც დიდი რისხვა დაგვატყდა თავს, როგორ გაბედეთ წიგნის გაკრიტიკება, რომლის სამეცნიერო რედაქტორი სახელოვანი აკადემიკოსი კონდრატოვსკი არისო. ასეთ ცეცხლში ინვოდნენ ქართველი ისტორიკოსები, ბევრ მათგანს მართლაც სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა ნერვიულობის ნიადაგზეო.

6 ივლისს დარბაზში დაარიგეს კონფერენციის დადგენილების პროექტი — მიმართვა გაეროს უშიშროების საბჭოსა და მსოფლიოს საზოგადოებისადმი. დამსწრეთ სთხოვეს თავიანთი წინადადებები შეეთავაზებინათ ტექსტის დასახვეწად.

**ნათელა ფოფხაძე**

## კარდიოლოგი გვირჩევს

# გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა



როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ არტერიული წნევის მოწესრიგების მიუხედავად, გულის იშემიური დაავადების მსხვერპლი არ გავხდეთ?

— დავიკლოთ წონაში და მოვიწესრიგოთ ცხიმოვანი ცვლა. მოგვიანებით ჩვენ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ქოლესტერინისა და მისი როლის შესახებ გულის იშემიური დაავადების ჩამოყალიბებაში. ამჟამად შეგახსენებთ, რომ შებოლილი პროდუქტი, კარაქი, ერბო, ცხოველური ცხიმი, ფრინველი კანი, კვერცხი, არაყანი — მოკლედ, თითქმის ყველაფერი, რაც გემრიელია, ათეროსკლეროზული პროცესის განვითარებას უწყობს ხელს. რა თქმა უნდა, ხელაღებით უარის თქმა ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტებზე არ გამოვა და არცაა საჭირო, ყოველდღიურ დიეტაში მათი გამოყენების შეზღუდვა კი ფრიად სასარგებლოა.

— უარი ვთქვათ თამბაქოზე. ჩვენს ერთგულ მკითხველს კიდევ მრავალჯერ შევახსენებთ ნიკოტინით გამოწვეულ საშინელებებზე. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი სიგარეტის მოწევა გარკვეულად ავიწროებს ჩვენს სისხლძარღვებს, ზრდის არტერიულ წნევას. რაც უფრო სერიოზული მწეველი ბრძანდებით, მით უფრო მეტი შანსი გაქვთ, ხანგრძლივად შევიწროვებული სისხლძარღვებისა და მომატებული არტერიული წნევის გამო სტენოკარდიული ჩივილები გაგიჩნდეთ. აღსანიშნავია, რომ როცა რაგინდ სერიოზული მწეველი თავს ანებებს თამბაქოს, გარკვეული დროის შემდეგ მას ისევე ძალიან მცირე შანსი აქვს იშემიური დაავადების მსხვერპლი გახდეს, როგორც პიროვნებას, რომლესაც სიგარეტი არასოდეს მოუწევია. აქედან გამომდინარე, თამბაქოსათვის თავის დანებება არასოდეს არაა გვიანი. ეს ჭეშმარიტად ვაჟკაცური გადაწყვეტილება (საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, თუ რა ძნელია თამბაქოსათვის თავის დანებება) ყოველთვის გამოიღებს სასურველ შედეგს.

— ვერიდოთ ხშირ ემოციურ სტრესებს. აბა, ჩვენს „დალხინებულ“ ქვეყანაში სტრესს რა გამოგვილევს, მაგრამ მაინც ვეცადოთ, ზედმეტად ნუ ავიტკივებთ აუტკივარ თავს. ხომ მოგეხსენებათ, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“. ისე, თუ მაინც მოგვეძალა ნერვული დაძაბულობა, გირჩევთ ასე მოიქცეთ: განმარტოვდით დაახლოებით 10-15 წუთით. მიიღეთ მაქსიმალურად მოხერხებული პოზა (აუცილებელი არ არის, ვიწვეთ), თვალები დახუჭეთ , მოეშვით და ეცადეთ, რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ. ეს ელემენტარული მედიტაციაა.

— ზომიერი ფიზიკური ვარჯიში ყოველგვარი დაავადების პროფილაქტიკაა. რეგულარულად ფეხით სიარული და ძუნძულით სირბილი ზედმეტი ცხიმების დაწვას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, გულის იშემიური დაავადების გართულებული და სტაბილური მიმდინარეობის დროს დინამიური ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები ხელს უწყობენ იმ პატარ-პატარა სისხლძარღვების განვითარებას, რომლებიც დაავადების განვითარებამდე ე. წ. „მთვლემარე“ მდგომარეობაში არიან.

**ვაჟა აგლაძე**

მეშვიდე გვერდიდან

პოლემიკა

# შეუგნებლობა თუ «შეგნებული» შეცდომა?

## (მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსის გამო)

მიიჩნია, ბატონმა ბორისმა მეგრელების შეურაცხყოფად და „შუღლის თესვად" მონათლა და რაც ყველაზე მეტად შემაძრწუნებელია, გაზეთში განაცხადა: „ზუგდიდიდან შემომითვალეს, სამეგრელოს რეგიონის „მწერალთა კავშირის"ს შეკრებას მოვიწვევთ და ვიტყვით, რომ მურმან ლებანიძის წიგნები უნდა დაიწვასო!"

ამაზე შორს, უფსკრულისკენ სვლა წარმოუდგენელია! თუ მართლა ვინმემ, ისიც მწერალმა, ასეთი გაუგონარი რამ უთხრა მსახიობს, ამის საქვეყნოდ გამოტანა და დაწერა შეიძლებოდა?! ამით ხომ, ბატონო ბორის, თქვენ თავს ჭრით არა მურმან ლებანიძეს, არამედ იმ, ე.წ. „მწერალთა კავშირის" წევრებს.

აი, მოგონილი ბრალდების მეორე მაგალითი, რომელიც საზოგადოება „კოლხეთის" მიმართვაში წერია („მიმართვა" საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხისადმია): „... **სრულიად შემზარავია ასეულ ათასობით ადამიანის ლანძღვა იმის გამო, რომ მეგრელებმა მურმან ლებანიძის თქმით „მიჯღარკ-მოჯღარკული" საკუთარი მეგრული ენა დღემდე შეინარჩუნეს"** (გაზ. „საქართველო". 29.VI-5.VII,1999წ. ხაზი ჩემია-ა.ფ.). სადმე ამის მსგავსი თქვა მაშინ მურმან ლებანიძემ? ეს ხომ მხოლოდ ცილისწამება არაა? ეს ხომ კაცის გაწირვა და დაბეზღებაა მართლაც ასეული ათასი მეგრელი მოსახლეობის წინაშე?! პოეტს ხომ სავსებით გასაგებად უწერია: „ვაი, სირცხვილო, რუსთაველი თარგმნეთ, მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი", ანუ ლაპარაკია „ქართული ლექსის მიჯღარკ-მოჯღარკვაზე" და არა იმაზე, რომ „მეგრელებო, თქვენ გაქვთ მიჯღარკ-მოჯღარკული ენა და რატომ შეინარჩუნეთ აქამდეო". უფრო უარესი ცილისწამება და სამეგრელოს მოსახლეობაში ხელოვნურად შფოთის ჩამოგდების გამიზნული მცდელობაა მომდევნო სტრიქონებში: „...ვეფხისტყაოსანი" მსოფლიო მასშტაბის ნაწარმოებია!!! ბედნიერია ერი, რომელსაც ეს ნაწარმოები ეკუთვნის!!! და **სრულიად გაუგებარია, რატომ ეკრძალება მეგრელებს მისი ამეტყველება მეგრულად? რატომაა ამის გამო მეგრელები დუშმანები"** (ხაზი ჩემია-ა.ფ.).

როცა ამ სტრიქონებს წერდით „მიმართვის" ავტორებო, „სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მონაწილეებო", იმ სხდომისა, რომელსაც თურმე ესწრებოდნენ: მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რატომ არ აღმოჩნდა თქვენს შორის თუნდაც ერთი კაცი, რომელიც იტყოდა, რომ ამით თქვენ ხელი აიღეთ ქართული სულიერი კულტურის უდიდეს მონაპოვარზე — „ვეფხისტყაოსანზე". თავი წარმოადგინეთ არა იმ ერის შვილებად, რომელი ერის გენიამაც „ვეფხისტყაოსანი" შექმნა, არამედ, რომელიღაც სხვა ერისა, ვინც თურმე იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიო მასშტაბის ქმნილებაა". „ბედნიერია მისი შემქმნელი ერი და თქვენი „წმინდა მოვალეობაა" მისი თქვენს ენაზე თარგმნა!

გიფიქრიათ, რას იტყოდა კონსტანტინე გამსახურდია ან მისი შვილი, ზვიად გამსახურდია. მათთვის რომ ეთქვათ: თქვენ არა ხართ რუსთაველის დამბადებელი ერის მემკვიდრენიო? გაასწრებდით რომელიმე ცოცხალი?

ახლა სხვა კოლექტიური „ღია წერილის" თაობაზე, რომელსაც კვლავ ანონიმურად ხელს აწერენ „საქართველოს პარლამენტის დეპუტატები სამეგრელოდან და აფხაზეთიდან".

მე არ ვიცი კონკრეტულად, ვინ არიან ეს დეპუტატები, გარდა ბატონი ოთარ ფაცაციასი, რომელსაც, როგორც ბ. წიფურია წერს, ლექსი ჯიბეში სდებია და მისთვის წაუკითხვინებია. „საქართველოს პარლამენტის წევრები" წერენ: „რატომ? ვეკითხებით ერთმანეთს თითოეული ჩვენთაგანი, საქართველოს ერთიანობის მოსურნენი, ერის გამთლიანებისათვის მზრუნველი ადამიანები (!) მას შემდეგ, რაც „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული პოეტ მურმან ლებანიძის ლექსი წავიკითხეთ.

„თქვენ (ე.ი. ჩვენ?) დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ.

თქვენ (ე.ი. ჩვენ?) სხვა ალძარით თქვენს (ე.ი. ჩვენს) მარტივ გლეხში.

ვაი, სირცხვილო, რუსთაველი თარგმნეთ.

მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი!

ვინ არის ეს „თქვენ"... ან „ჩვენ?! აქვს კი პოეტს უფლება, რომელსაც, ვინ იცის, როგორი პრეტენზია გააჩნია, **ასე ისაუბროს საქართველოზე?"** („ალია",9 ივნისი, 1999, ხაზი ჩემია-ა.ფ.).

რატომ ცრუობთ, ბატონებო? რატომ სწამებთ ცილს პოეტს, თითქოს მას „თქვენ" და „ჩვენ" მთელ საქართველოზე ეთქვას? მას ეს საქართველოზე არ უთქვამს და გეყოფათ ის, რომ პოეტს სამეგრელოს მოსახლეობა აუმხედრეთ, მთელ საქართველოს, გთხოვთ, თავი დაანებოთ!

თქვენ (ე.ი. ქართველი პარლამენტარები სამეგრელოდან და აფხაზეთიდან) ანუ ამ კუთხეების ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ამ კითხვას კიდევ ხშირად სვამთ და „თქვენში" გულისხმობთ ხან მთელ მეგრელ მოსახლეობას, ხან — მთლიან საქართველოს, ხოლო „ჩვენში" თითქოს მწერალი საკუთარ თავს გულისხმობდეს.

მე არ ვიცი, გიპასუხებთ თუ არა მ. ლებანიძე ამ ცილისწამებაზე — მრავალგზის უკულმართულად დასმულ კითხვაზე — მე კი მინდა აშკარად გითხრათ: „თქვენში" პოეტი გულისხმობს იმათ, ვინც „ლიტერატურული საქართველო" იყიდა, ეს ლექსი წაიკითხა, სამწუხაროდ, ვერაფერი გაუგო, მერე ჯიბით ატარა, რათა ქვეყნისათვის წაეკითხებინა. წამკითხველებმა კი ტელეფონებით ურეკეთ ერთმანეთს და, ვგონებ, დიდი სიხარულითაც ამცნეთ, რომ „ქართველი" მწერალი ამას წერს „ჩვენზეო".

რა თქმა უნდა, ჩემი ეს მსჯელობა გუმანისა და ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვიდრე ხელთ არსებულ დოკუმენტურ მასალაზე დამყარებული, მაგრამ ვეცდები დავამტკიცო, რომ მასში ჭეშმარიტების საკმაოდ დიდი მარცვალია.

აბა, განვსაჯოთ: რამდენმა მეგრელმა იყიდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" და საკუთარი თვალით წაიკითხა ეს ლექსი? — ალბათ, დიდი-დიდი რამდენიმე ასმა კაცმა ხომ? ამათში, თავს სასიკვდილოდ დავდებ, არ იქნებოდა არც ერთი „მარტივი გლეხი" (მე ძალიან მომწონს ეს გამოთქმა. იგი ნიშნავს: კეთილშობილ, უბოროტო, მშრომელ, სტუმართმოყვარე, ყოველგვარი ზიზილ-პიპილების გარეშე ბრძენ მოსაუბრე სოფლის მეურნეს, ვისაც დღეს, ასეთი დუხჭირი ცხოვრების პირობებში, უამრავი საზრუნავი აქვს: ოჯახი შეინახოს, შვილებს კარგი განათლება მისცეს, მტერ-მოყვარეს პასუხი გასცეს. მას არც „ვეფხისტყაოსნის" მეგრულად სათარგმნად სცალია და არც მ. ლებანიძის სამსტროფიანი ლექსის საკითხავად).

„თქვენ" კი, ჩემო ინტელიგენტო მეგობრებო! როგორც თქვენ ბრძანებთ, თქვენს საყვარელ პოეტს, შვიდათეულ წელს გადაცილებულს, თუნდაც რამე შეშლოდა, იმის მაგიერ, რომ არ გაგეხმაურებიათ, არც მისთვის და არც თქვენი აზრით, შეურაცხყოფილ, მეგრელებისათვის გული არ გეტკინათ, პარლამენტში საათობით იკამათეთ, ორი თვეა გაზეთის ფურცლებიდან არ ჩამოდიხართ და თანაც აცხადებთ, რომ „საქართველოს ერთიანობის მოსურნენი, ერის გამთლიანობისათვის მზრუნველი ადამიანები ხართ".

გესმით თუ არა, რომ „თქვენ" — ამ ლექსზე ასეთი უკულმართი გამოხმაურების ავტორებმა — ეს ჩვეულებრივი პატარა ლექსი ნამდვილ შედევრად აქციეთ? — გაამართლეთ პოეტის ნათქვამი: „თქვენ სხვა ალძარით თქვენს მარტივ გლეხში". მართლაც და, თქვენ და თქვენი „გაფუჭებული ტელეფონი" რომ არა, ხომ არც სამეგრელოში და არც სხვაგან, მთელი საქართველოს მასშტაბით, „მარტივ გლეხს" წარმოდგენაც არ ექნებოდა, რა დაწერა, უფრო სწორად, რა მიაწერეთ მურმან ლებანიძეს?!

რამდენად გულდასაწყვეტია, რომ თქვენ არა ჰგავხართ იმ სახელოვან წინაპრებს — მეგრელ მთავრებსა და ძველი სამეგრელოს ბრწყინვალე ინტელიგენციას — რომელთაც თავი მოსწონდათ იმით, რომ „ვეფხისტყაოსანს" კითხულობდნენ, იყვნენ შვილები მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე ერისა, ახალგაზრდობას ასწავლიდნენ ამ დამწერლობაზე შექმნილ უმდიდრეს ლიტერატურას, წერდნენ „ქართულ გრამატიკებს" (ნ. დადიანის „ქართული გრამატიკის" შესახებ იხ. ჩემს წიგნში „ქართული ენათმეცნიერების ისტორია", თბ., 1995წ. გვ.563-566).

ახლა ცოტა მეცნიერული თვალსაზრისით და არა ბრმა ემოციების პოზიციიდან განვჭვრიტოთ საკითხი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული, მეგრული და სვანური (ქართველურ ენებად სახელდებული) შორეულ წარსულში ერთი ენა — საერთო ქართველური ფუძე ენა იყო. დროთა განმავლობაში გეოგრაფიულ-ტერიტორიალური, ალბათ, პოლიტიკური მიზეზებითაც, ეს ერთი მთლიანი ენა გაიყო სამ დიალექტად (ახლა მნიშვნელობა არა აქვს იმის დაკონკრეტებას, როდის მოხდა ეს). თავდაპირველად ეს დიალექტები ისევე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, როგორც დღეს ამ ენებში არსებული დიალექტები არიან. ტერიტორიალურმა გამოცალკევებამ და დროის ფაქტორმა (სვანები ძირითადად მთებში ცხოვრობდნენ, მეგრელები უფრო ბარში, მაგრამ ლიხის მთის იქეთა მხარეს) ამ დიალექტებიდან ნელ-ნელა ჩამოაყალიბა სამი დამოუკიდებელი ენა. ოლონდ, როგორც დღეს გურულმა და თუშმა (რომლებიც თითქმის ვერც უგებენ ერთმანეთს) იციან, რომ ერთი ერის შვილები არიან, ქართველებს, მეგრელებს და სვანებს არ დაუკარგავთ იმის შეგრძნება, რომ არიან ერთი ხალხის შვილები. მერე კი, დავარქვათ მას, გნებავთ, განგების ნება (თუმცა, თავის დროზე იგი მრავალ საშინაო და საგარეო პირობებით იყო შემზადებული) ამ სამ ენათაგან დამწერლობა შეიქმნა მხოლოდ ქართულ ენაზე, რასაც მოჰყვა ქრისტიანული (სამივე ქართველური ტომისათვის საერთო) რელიგიური ლიტერატურის თარგმნა და ორიგინალურ მხატვრულ თუ საისტორიო მწერლობის შექმნა.

სწორედ ქართული დამწერლობა იყო ის დუღაბი, რამაც ამ სამ ქარველთურ ტომს ერთიანი სულიერ-კულტურული არე შეუქმნა და სააზროვნო-ფსიქოლოგიურ ერთიან მოდელს დაუქვემდებარა. ქართულ ენაზე შექმნილი დამწერლობა, აქედან გამომდინარე, ყველა დადებითი შედეგით, იყო ის აუცილებელი ფუნდამენტი, რასაც დაეფუძნა აფხაზურ-მეგრულ-სვანური სამთავროების სახელმწიფო კარზე ქართული ენის დომინირება და უფრო მოგვიანებით, მთელი დასავლეთ საქართველოს სწრაფვა გაერთიანებულიყო ქართული სახელმწიფოებრივი დროშის ქვეშ. ეს უკვე ქართული ენობრივი მთლიანობა იყო, იმის პირობა, რომ, როცა ქართული ერთიანი სახელმწიფო დაიშალა და, როცა ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს, სამეგრელო ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა, ამ სამთავროს სახელმწიფო კარზე აწერინებდნენ და ასურათ-ხატებდნენ „ვეფხისტყაოსანს", ხოლო ბრძენი ლეონ დადიანის ნააზრევს სამეგრელოს ელჩი რუსეთის სამეფო კარს ასე აცნობდა: „ჩვენი მწიგნობრობა ქართულია, მხოლოდ ენაცა გვაქვს შინაურობაში სასაუბროდ" (შემთხვევით არ იყო, რომ ეს შესანიშნავი სიტყვები ქალბატონმა ციალა არდაშელიამ მისი წერილის სათაურად გამოიტანა). ძნელია უკეთესად თქვა! — „ენაცა გვაქვს შინაურობაში სასაუბროდო".

ერთი სიტყვით, ლეონ დადიანმა იცის ის, რაც სამწუხაროდ, ვერ გაიგეს, თუ არ სურთ გაიგონ XX საუკუნის ბოლოს მცხოვრებმა ინტელიგენციის ნაწილმა: ქართული ენა არის სააზროვნო და სალიტერატურო ენა მეგრელთათვის ისევე, როგორც იმათთვის, ვისაც „შინაურობაში სასაუბროდ" სხვა ენა არ გააჩნია. ლეონ დადიანმა იცის, რომ იგი არის იმ ერის პირდაპირი შთამომავალი, რომელმა ერმაც რუსთაველი შვა და „ვეფხისტყაოსანი" შექმნა. ამიტომ ეს გენიალური ქმნილება უნდა მრავალგზის გადაწერონ, მოხატონ, მაგრამ არ უნდა თარგმნონ მეგრულად. ლევან დადიანმა იცის, რომ ყოველი ერის სიდიდის უპირველესი პასპორტი დამწერლობის ქონაა და ამ დამწერლობის საშუალებით კულტურული ფასეულობის შექმნა. ამტომაც მისი პირით ელჩმა რუსებს უთხრა, რომ „იგი იმ ერის წარმომადგენელია, ვისაც მრავალსაუკუნოვანი მწიგნობრობა აქვს, თუმცა „შინაურობაში სასაუბროდ სხვა ენასაც ვხმარობთო".

ახლა პასუხი რამდენიმე კითხვაზე, რაც

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# აბსუების არააფხაზობის დამამტკიცებელი კიდევ ორი რუკა

რამდენიმე დღის წინ ინტერნეტში ძიებისას ჩემი ყურადღება XVII და XVIII ს-ის ორმა რუკამ მიიპყრო. პირველი შეადგინა ევროპელმა ჯენკინსმა 1725 წელს. ამ ლამაზ, ფერად რუკაზე სიტყვა აფსუა (Afsua) აღნიშნულია შავი ზღვის ზემოთ მდებარე აზოვის ზღვის ჩრდილოეთით. იქვე გაჭენებულ ცხენზე ამხედრებული (მონღოლივით გამოწყობილი) მამაკაცი ხატია, რაც ამ ეროვნების მომთაბარე, არამდგრად, არამკვიდრ ცხოვრების წესს აღნიშნავს.

მეორე რუკა მსოფლიოში დღემდე სახელოვანმა რუკათმხაზველმა, ჰონდიუსმა შეადგინა. ისიც ფერადი და ლამაზია. მასზე აბსუა არ წერია, მაგრამ აღნიშნულია „აკუა", რაც დღეს ცხუმის აფსუურ სახელად არის საქართველოს მიერ აღიარებული — როგორც ვხედავთ, მცდარად. ჰონდიუსმა აკუა აღნიშნა არა დღევანდელ აფხაზეთში, არამედ მისგან ძალზე შორს — ჩრდილოკავკასიის ჩრდილოეთით.

ეს ორი რუკა აშშ-ს ერთმა დაწესებულებამ გამოაქვეყნა ინტერნეტით, როგორც ლამაზი, ძველი რუკების ნიმუშები.

თუ გავიხსენებთ, რომ 1990 წლიდან თბილისში გამოქვეყნდა კიდევ ოთხი რუკა, რომელთა მიხედვით აფსუათა დასახლება, აკუა — **ცხუმში კი არ არის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილოეთით** მდებარეობს, ხოლო უძველეს, I ს.-ის ვითარების ამსახველ ფ. დიუბუას მიერ შედგენილ რუკაზე აბსოა **კასპიისპირა** ველზე მოსახლეობს მდ. ვოლგის შესართავთან, მაშინ იკვეთება აბსუა (აფსუა) ეროვნების მომთაბარე ბუნების სურათი და დინამიკაში მათი საცხოვრისი ასე აღიწერება: I ს.-ში მდ. ვოლგის დელტაში, 1561 წელს (ჯ. გასტალდის რუკა) **შუა** ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილოეთით, XVII ს.-ში ჩრდილოკავკასიაში, მაგრამ გასტალდის რუკის მონაცემზე, ოდნავ დასავლეთით (იოან იოანსონის, დე ვიტის, ჰონდიუსის რუკები), ხოლო 1725 წელს, — აფსუა ტომი აზოვის ზღვის ჩრდილოეთით ეწევა მომთაბარე ცხოვრებას.

თსუ კავკასიოლოგიის გამგემ, პროფესორმა თ. ბოცვაძემ 1994 წელს რეცენზიაში აღნიშნა, რომ თავად იზიარებდა მრავალი მეცნიერის შეხედულებას, რომ კასპიისპირეთში ჩასვლამდე აბსუები ჩრდილოეთ ურალში ცხოვრობდნენ *(თსუ ბეჭდით დამოწმებული ეს რეცენზია მე მაქვს).*

ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით ისინი ჩრდილოეთ ურალელი ვოგულებისა და ოსტიაკების ტომებს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა საცხოვრისის ამსახველი რუკა გაზეთმა „საქართველომ" (№59) შარშან გამოაქვეყნა ქ. პარიზში დაბეჭდილი წიგნიდან. ეს ყოფილა მათი ისტორია! რა შუაშია აქ აფხაზეთი?

გეკითხებით, კიდევ რამდენ საბუთს ითხოვენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო ორგანიზაციები — იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს აბსუების აფხაზებთან მცდარად გაიგივებას?

**ნათელა ფოფხაძე**

P.S. ცოდნის წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცდარი, ფალსიფიცირებული შეხედულებების მხოლოდ მსხვრევასაც კი, თუნდაც წინ სხვა მხრივ ნაბიჯის გადადგმა ვერ შევძლოთ — წერდა XVII ს.-ის გამოჩენილი რუკათმხაზველი, ჟან ბატისტ ბურგუნიონი ქ. ანვილიდან.





მერვე გვერდიდან

აფხაზეთი

# როგორ დავკარგეთ გაგრა?!

## ნაომარი ოფიცრის მონათხრობი

აქეთ-იქით ტრაქტორივით. იმავე დღეს მტერმა კოლხიდა ნაგვართვა. ჩვენ გაგრისაკენ დავიხიეთ და ქალაქში გავმაგრდით. მებრძოლებში ნელ-ნელა პანიკამ დაისადგურა. მაშველი ძალა არსაიდან ჩანდა. შტაბმა დაკარგა ყოველგვარი მართვის სადავეები, ყველაფერი აირია. მოსახლეობა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა განთიადის მხარეს. ვინც მოასწრო, თავი გადაირჩინა. ამასობაში დაღამდა. ჩვენ გავნაწილდით მთელს ქალაქში. დავიკავეთ ჩვენ-ჩვენი პოზიციები. ჩვენი მეთაური თამაზ მეფარიშვილი ერთი წუთით არ გვაკლებდა ყურადღებას. ის ხან ვისთან მიდიოდა, ხან ვისთან, ამხნევებდა მებრძოლებს. რწმენას უნერგავდა, რომ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებდით.

სოხუმის შტაბიდან მოვიდა ცნობა, რომ ღამის ოთხ საათზე ჩვენი ავიაცია და ვერტმფრენები დაბომბავდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. მერე კი ჩვენ გავივლიდით და მთელს ტერიტორიას კონტროლზე ავიყვანდით. მოგვატყუეს! ავიაცია არსაიდან არ გამოჩნდა, მთელი ღამე ამაოდ ველოდით. თურმე გვატყუებენ და განწირულები ვყავართ მთავრობას და სარდლობას!

დილით, დაახლოებით 8 საათზე მტერმა იერიში დაიწყო გაგრაზე. ბრძოლები მიმდინარეობდა ყოველი მიმართულებით. შემოგვიტიეს ტყიდან, ზღვიდან და პირდაპირ გზიდან, ქალაქი თითქმის ალყაში მოექცა. მაშველი ძალა კი არა და არ გამოჩნდა. აშკარად ვგრძნობდით, რომ სამარცხვინოდ ვაგებდით ბრძოლას. ჩვენი სამხედრო ტექნიკა უკვე უკან იხევდა. მას მიჰყვებოდა ქვეითი ჯარიც. ჩვენი ბატალიონი ერთ-ერთ სასტუმროში გამაგრდა. მე და კიდევ ორმა თანამებრძოლმა ვერ მოვახერხეთ სასტუმროში შესვლა. ასე მოვწყდით სამი კაცი ბატალიონის პირად შემადგენლობას.

გაგრა უკვე ნელ-ნელა დაიცალა ჩვენი ხალხისაგან და თანდათანობით მტრის ხელში გადავიდა. ჩვენ დავიხიეთ განთიადისკენ, საითაც ყველა გარბოდა. გაგრას რომ გავცდით, ტყეს შევაფარეთ თავი. ტყე-ტყე ისევ შევედით ქალაქში. ჩვენი ბატალიონის მებრძოლები არცერთი არ ჩანდნენ. ტყის სიღრმიდან შევძელით ბრძოლის დანახვა. ვნახეთ, რომ შეტევა ერთადერთ შენობაზეა, ეს შენობა ის სასტუმრო იყო, რომელშიც ჩვენი ბატალიონი იყო გამაგრებული.

დაყოვნება არ შეიძლებოდა. მიშველება იყო სასწრაფოდ საჭირო. ტყიდან გამოვცვივდით და პირდაპირ მივიტანეთ იერიში იმ კუთხეზე, რომელი მხრიდანაც ყველაზე უფრო ინტენსიური სროლა იყო. გადამთიელები დაიბნენ და მოკურცხლეს. 4 მებრძოლი ადგილზე დარჩა ჩვენს მიერ ჩაცხრილული.

ტანკი ე-72 პირდაპირი დამიზნებით ესროდა სასტუმროს. გამაყრუებელი იყო მის მიერ ნასროლი ჭურვების აფეთქების ხმა. ჩვენმა მებრძოლმა გია ჩხეიძემ ყუმბარმტყორცნი ესროლა ტანკს. ჭურვი პირდაპირ წინა მხრიდან მიასკდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო ტანკის ჯავშანს, მაშინ მე გამოვართვი ყუმბარმტყორცნი და ვცადე უკანა მხრიდან შემომევლო ტანკისთვის. მოკლე-მოკლე გადარბენით მივაღწიე იმ ადგილამდე, საიდანაც კარგად შემეძლო ნიშანში ამოღება. ვესროლე და მოხვდა უკანა მხარეზე, მაგრამ ვერც ამან ავნო რამე. ჭურვმა მხოლოდ ოდნავ შეარყია ტანკი. მაშინ შემოაბრუნა ლულა და გაისროლა. ჩემს ბედზე ჭურვი შენობას მოხვდა, რომელსაც მე ამოვეფარე. აფეთქების ტალღამ ადგილიდან მომწყვიტა და იქვე თხრილში ჩამაგდო. თვალზე წითელი ბინდი გადამეფარა. მერე გრძნობა დავკარგე, გონს რომ მოვედი, უკვე ტყეში აღმოვჩნდი. ჩემს თანამებრძოლებს სამშვიდობოს გავუყვანივარ.

ბრძოლის ველი ჩვენს ქვემოთ იყო. ყველაფერს კარგად ვხედავდით, თუ როგორ ბომბავდა მტრის ტანკი სასტუმროს და როგორ ინგრეოდა ეს ლამაზი შენობა. თავი მიბრუოდა. წყალი მწყუროდა, მაგრამ სად იყო. ყველას ჩვენი ბიჭების დარდი გვკლავდა. ვწუხდით, რომ ამ მძიმე წუთებში მათთან არ ვიყავით. ტყვია-წამალიც გაგვთავებოდა და აწი ვერანაირ შეტაკებას ვერ გავუძლებდით. უცებ ცა მოიქუფრა და სადღაც იქუხა ძლიერად, მერე მოჰყვა კოკისპირული წვიმა და სეტყვა. სულ გავიწუწეთ, მაგრამ დასველებას ვინღა ჩიოდა. ჩვენს გულსა და გონებას გაგრის დაკარგვა და ჩვენი ბიჭების ბედი ამძიმებდა. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით და ამ დროს მოფრინდნენ ჩვენი თვითმფრინავები და ვერტმფრენები. მათ უაზროდ ჩამოყარეს ბომბები იმ ადგილებში, სადაც უკვე მტერი არ იმყოფებოდა. ასე მოიხადეს მოვალეობა და გაუჩინარდნენ. იმედის ნაპერწკალი, რომელიც მათი გამოჩენით დაგვეუფლა, ისევე ჩქარა ჩაქრა. ჩაქრა საერთოდ ყოველგვარი იმედის ნაპერწკალი! მივხვდით, რომ ყველამ ერთდროულად გაგვწირა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვითათბირეთ, რომ ისევ გზაზე გამოვსულიყავით. ჩამოვედით და შეგვხვდა შტაბის უფროსი მიხეილ მარინაშვილი, რომელიც გამორბოდა მარტოდმარტო. ჩვენი დანახვა გაუხარდა და გვითხრა, ყველაფერი მორჩა, დავმარცხდით და თავს უშველეთო. ამის თქმა იყო და სირბილი გააგრძელა. ჩვენ არ ვიცოდით რა გვექნა, საიც წავსულიყავით. ჩვენი ბიჭების ვერაფერი გავიგეთ. სასტუმროს დაბომბვა კი გრძელდებოდა. გულგატეხილები გავუდექით გზას განთიადისაკენ. ჩაფიქრებული და თავჩაღუნული მივყვებოდით გზას. თითოს თითო მჭიდი ავტომატის ტყვია გვქონდა, ეს იყო მთლიანად ჩვენი თავდასაცავი საშუალება. ამ დროს იჭექა სნაიპერის იარაღმა და გია ჩხეიძეს ტყვიამ ყურთან ახლოს გაუარა. არ იყო ხიდი დანაღმული, ან ვიღაცამ გადაჭრა მავთული.

ჩვენ ტყეს შევაფარეთ თავი. ზოგი ხიდის ქვეშ გაძვრა და ზღვისკენ დაეშვა. ასე ვაივაგლახით ძლივს გავედით სამშვიდობოს. ლესელიძეში რომ ჩავაღწიეთ, ხალხის უდიდესი ნაწილი უკვე გადასული იყო საზღვარზე. ზოგი მაშინ მიდიოდა. ჩვენ ისევ სალხინოში წავედით, მაგრამ იქ გაჩერებას უკვე არავითარი აზრი არ ჰქონდა და გადავწყვიტეთ საზღვარზე გადასვლა. იარაღები და სამხედრო ფორმები ახლო-მახლო ტყეში ჩავფლეთ, სამოქალაქო ტანსაცმელი ჩავიცვით და რუსეთის საზღვარი გადავჭერით. ფეხით ჩავედით ადლერში, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა, მოელოდნენ თბილისიდან ჩამოსულ სპეციალურ რეისებს. მალე ჩამოფრინდნენ თვითმფრინავები და ჩვენც ერთ-ერთს გამოვყევით თბილისში. თბილისის აეროპორტში დავეშვით ღამის ორ საათზე. იქ უამრავი ხალხს მოეყარა თავი. ყველა თავისიანს ეძებდა — ზოგი ცოცხალს და ზოგიც მკვდარს. თვითმფრინავიდან რომ გადმოვედი, გული ამიჩუყდა და ცრემლები ვერ შევიკავე. რამდენიმე დღის წინ ამ ადგილიდან 80 კაცი წავედით, ახლა



მადლობა უფალს, კიდევ ერთხელ გადავრჩით.

საღამო ხანი იყო, როცა განთიადში ჩავაღწიეთ. გაგრიდან გაქცეული ხალხი იქ მოგროვილიყო. იყვნენ მებრძოლებიც. იმ ღამეს იქ გავათენეთ. მეორე დღეს ჩამოფრინდნენ ვერტმფრენებით ბატონები: ე. შევარდნაძე, ნ. ნათაძე და მაშინდელი გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქტიშვილი. მათ ჩამოსვლას ხალხი სიხარულით შეხვდა. ე. შევარდნაძემ თავისი ჩვეული დაპირებებით ხალხი დაამშვიდა. მან აღუთქვა მათ, ერთ დღეში გაგრას ისევ დავიბრუნებთო. იქვე იყო ბორის კაკუბავაც. ამ დაპირების მერე მოსულები ისევ უკან გაფრინდნენ. მის მერე დაპირება დაპირებად დარჩა და მომდევნო დღეებში ერთიმეორის მიყოლებით ჩაბარდა მტერს განთიადი და ლესელიძე. იმ ადგილებში ფაქტიურად ბრძოლები არც ყოფილა. მთავარი ძალა და ენერგია გაგრაში დაიხარჯა.

ჩვენ შევედით ლესელიძის იქით, უკვე ბოლო სოფელ სალხინოში, სადაც ცოტა ხანი შევისვენეთ და ისევ უკან წამოსვლა გადავწყვიტეთ. გავიგეთ, ყარყარაშვილი ალყიდან გამოვიდა და გაგრასთან, დიდ ხიდთან არისო გამაგრებული „თეთრი არწივის" გადარჩენილი მეომრებით.

ხიდთან მართლა დაგვხვდა გენერალი გია ყარყარაშვილი თავისი მცირერიცხოვანი ჯგუფით. მას რის ვაივაგლახით დაეღწია თავი მტრის ალყიდან. იქვე იყვნენ მხედრიონელებიც მცირე ჯგუფით. ყარყარაშვილმა შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ტყვია-წამალი არ გვქონდა და ეს ვერ მოხერხდა. მძლეთამძლე ტანკს უკვე მოემთავრებინა გაგრაში თავისი გასაკეთებელი საქმე და მიიწევდა წინ, განთიადისაკენ. ჩვენ გვითხრეს, ხიდი დანაღმულიაო და როგორც კი ტანკი ზედ შედგებოდა, უნდა აფეთქებულიყო. ამის იმედით ყველანი ხიდის მეორე მხარეზე ჩავსაფრდით, რომ აფეთქებისა და ტანკის ჩავარდნის მერე ფეხოსნები გაგვენადგურებინა და ისევ გაგრის ხელში ჩასაგდებად გვემუშავა. დიდი ლოდინი არ დაგვჭირვებია. მალე ტანკიც გამოჩნდა, მაგრამ ჩვენი იმედი აქაც არ გამართლდა — ხიდი არ აფეთქდა. ტანკმა მშვიდობით გამოიარა. ან საერთოდ კი სამადსამი ვბრუნდებოდით. არაფერი ვიცოდით, მკვდრები იყვნენ თუ ცოცხლები.

ყველა ჩვენ გვეხვეოდა და ჩამოსვლას გვილოცავდნენ, მაგრამ ჩვენთვის ეს ჩამოსვლა მისალოცი კი არა, მისასამძიმრებელი იყო: დამარცხებული მეომრები ვბრუნდებოდით დედაქალაქში.

ასეთი იყო გაგრის დაკარგვის პროცესი. ასე დაიწყო აფხაზეთის მთელი ტერიტორიის დაკარგვა. ასე შევრცხვით სამშობლოს წინაშე რიგითიდან დაწყებული და მთავარსარდლით დამთავრებული, მაგრამ ეს დამარცხება და დამცირება არ გვაკმარეს, იმის ნაცვლად, რომ გონს მოვსულიყავით და ერთ მუშტად შეკრული დავმდგარიყავით მტრის წინაშე, ერთმანეთს დავერიეთ და ერთმანეთის ხოცვა დავიწყეთ. იყო შემთხვევები, როცა აფხაზეთიდან მომავალ მეომრებს ანიარაღებდნენ, სცემდნენ და ისე უშვებდნენ შეურაცხყოფილებს. ამას ის ხალხი აკეთებდა, ვინც ეროვნულ გვარდიას იყო შეფარებული და ჩირქს სცხებდა მას თავისი მოქმედებით. ერთი ჩემი მეგობარი მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოდან ჯემალ გაბულდანი გაგრაში დაიღუპა სნაიპერის ტყვიით. მისი გადმოსვენების დროს დახვდნენ სამეგრელო-სვანეთის გზაგასაყართან და ის მიკროავტობუსი, რომლითაც მიცვალებულს მიასვენებდნენ, გააჩერეს, მიცვალებული თავისი გამცილებლებიანად ძირს ჩამოყარეს და მიკროავტობუსი თვითონ წაიყვანეს.

გაგრის დაკარგვის მერე უკვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ მას მთელი აფხაზეთი მიჰყვებოდა, მაგრამ ხელისუფლება, თვით პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ყოველდღე ცრუ დაპირებებით ატყუებდნენ მოსახლეობას, რომ ეს ომი ღირსეულად უნდა დამთავრებულიყო. თურმე რა ღირსება ჰქონიათ დღევანდელ პრეზიდენტს და მის ხელისუფლებას, ეს უკვე კარგად გამოჩნდა ამ 6 წლის განმავლობაში! ცხოვრების დონე დღითიდღე უარესდება და აფხაზეთის დაბრუნების იმედიც თანდათანობით ქრება. ჩვენი ხელისუფლება და პრეზიდენტი სხვა, პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვით არიან დაკავებულნი და სრულიადაც არ აინტერესებთ ის, თუ რა მდგომარეობაში არის დღეს საქართველოს მოსახლეობა. ვერ მორჩნენ და არ მობეზრდათ ამდენი ცრუ დაპირებები!

პასუხი არაფერზე არავინ არ აგო მაში, როცა დაიკარგა საქართველოს ულამაზესი კუთხე, დაიხოცა ათასობით ადამიანი, თავისივე ქვეყანაში ლტოლვილად იქცა ასიათასობით კაცი. პრეზიდენტი ე. შევარდნაძე კი ურცხვად და ჯიუტად მაინც არ თმობს თავის პოსტს. მისი მიზანი მხოლოდ ისაა, რომ პრეზიდენტის სავარძელი როგორმე შეინარჩუნოს. სხვა ყველა და ყველაფერი წყალსა და მეწყერს წაუღია! ამას ე. შევარდნაძისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ე. შევარდნაძე გაგრის დაკარგვის შემდეგაც ყოველდღე თავისი გამოსვლებით ატყუებდა აფხაზეთის მოსახლეობას და მთელ საქართველოს, რომ სოხუმი საიმედოდ იყო დაცული და ვერავინ ვერაფერს დააკლებდა. ამ დაიმედებით ხალხი მშვიდად იყო და ისინიც კი დაბრუნდნენ, ვინც ადრე იყო აფხაზეთიდან თავის გადასარჩენად გამოსული. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც სწავლა დაიწყეს, უამრავი სტუდენტი ჩავიდა სოხუმში. ხელისუფლებამ ისე დახატა ვითარება, თითქოს არაფერი საშიშროება არ ყოფილიყო საერთოდ, მაგრამ 1993 წლის 27 სექტემბერს გამოჩნდა, რომ ყოველგვარი დაიმედება პრეზიდენტისა ფუჭი იყო. მტერმა სოხუმი აიღო, მოსახლეობა კოდორის ხეობით სვანეთის მთებსა და უღელტეხილებს მიაწყდა. მოსახლეობას დამარცხებული ჯარი მიჰყვა. ბევრმა ვერ გაუძლო შიმშილს, სიცივეს, ტანჯვას ამხელა გზაზე და გზაშივე დაიღუპა, უმეტესად ქალები და ბავშვები.

ჩვენი მთავრობისა და პრეზიდენტის ბრალი ისიც არის, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს სოხუმიდან გამოდევნილი ხალხის მშვიდობიანი ევაკუაცია და სამშვიდობოზე გაყვანა. ახლა არ იციან, ვის დააბრალონ საკუთარი დანაშაული და ვისზე გადატეხონ ჯოხი.

აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ დაიწყო ქართული ჯარის სულიერი და მორალური დაცემა. ჩვენმა მთავრობამ და მოსახლეობამ ამრეზილად დაუწყეს ყურება სამხედროებს. სამხედრო ნაწილებში ნელ-ნელა დაისადგურა უდისციპლინობამ, დეზერტირობამ, კუთხური ნიშნის მიხედვით ერთმანეთის ჩაგვრამ. ამ პერიოდში შეიცვალნენ სამხედრო მინისტრები — თენგიზ კიტოვანის ადგილზე დაინიშნა გია ყარყარაშვილი. ამ ორივე მინისტრმა საკმაოდ დიდი ომები გადაიტანეს ჯერ თბილისში, ისინი ხომ სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა და ეროვნული მთავრობის დამხობის ინიციატორები იყვნენ. შემდეგ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მოუწიათ ძალების მოსინჯვა, მაგრამ მტერთან ვერ აღმოჩნდნენ ისეთი ყოჩაღები და გულადები, როგორიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი მინისტრობის დროს ჩაბარდა სამაჩაბლოცა და აფხაზეთიც მტერს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში მათ ხელისუფლებამ არ შეუწყო ხელი და რა უნდა ექნათ.

რაც შეეხება ჯარის არსებობასა და პირობებს, უნდა ითქვას, რომ კიტოვანისა და ყარყარაშვილის მინისტრობის დროს ქართულ არმიაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე ნადიბაიძის მინისტრობის პერიოდში. აი, ზუსტად ნადიბაიძემ შეუყენა ქართული ჯარის აღმშენებლობას წყალი. აბა რა იქნებოდა, ადამიანი, რომელსაც გვარის მეტი არაფერი შერჩენია ქართული, ჯარს და თანაც ქართულს რანაირად ააშენებდა? ის კი არა, რაც იყო, ისიც ბოლომდე დაშალა. ამიტომაა, რომ დღევანდელ სამხედრო მინისტრს ასე გაუჭირდა ქართული არმიის ფეხზე დაყენება.

ყოველმა კაცმა თავისი საქმე უნდა აკეთოს სიყვარულითა და ერთგულებით. სხვანაირად ჯარს კი არა, საერთოდ არაფერს არ მოევლება. ჩემი ღრმა რწმენით, თუ ხელისუფლება მოინდომებს, არც ჯარის შექმნა გაგვიჭირდება და არც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მონდომებას ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. ისიც ფაქტია, რომ ისტორიას არ ახსოვს, ომით წართმეული ტერიტორია ვინმეს მოლაპარაკებებით დაებრუნებინოს. ეს ხომ სისულელეა და ამ სისულელეს გვიმტკიცებს ჩვენი პრეზიდენტი მთელი ბოლო 6 წლის განმავლობაში. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ყველა მიხვდა, რომ ეს აბსურდული მოლაპარაკებები სხვა არაფერია, გარდა ხალხის მოტყუებისა და დროის გაწელვისა. ამ აბსურდულობას ბოლო არ უჩანს და არც გამოუჩნდება მანამ, სანამ ჩვენს ქვეყანას ღირსეული მმართველი არ გამოუჩნდება.

ჩვენი სამშობლოს გასაჭირი ყოველი ქართველის გულსატკივარი უნდა იყოს და არა ისე, რომ ზოგი იბრძვის და ზოგს კი საერთოდ არაფრად მიაჩნია ის, თუ რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი დღეს საქართველო. საბედნიეროდ, ასეთი არამზადები არც ისე ბევრი არიან და ქართველი ხალხი მალე იტყვის თავის სიტყვას.

ჩვენი ქვეყანა უარეს მდგომარეობაშიც ყოფილა, მაგრამ ქართველი კაცი ბრძოლას არასოდეს არ წყვეტდა. ჩვენი მეფეები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ დაკარგული ტერიტორიები დაებრუნებინათ. ისე აიძულებდნენ მტერს, რომ ბოლოს და ბოლოს გაქცეულიყო. ჩვენი ხელისუფლება კი ყველაფერს უკულმა აკეთებს. ამხელა ტერიტორიები დავკარგეთ და ვითომ ამქვეყნად არაფერი მომხდარიყოს, ისე ურცხვად გამოდიან ტელევიზიითა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით, რომ თითქოს მართლა ყველაფერი რიგზე ჰქონდეს ჩვენს ქვეყანას. უთავბოლო და უაზრო მოლაპარაკებებს არ წყვეტენ მტერთან ხან სად და ხან სად. თან ყოველი მოლაპარაკების წინ დიდად გვაიმედებენ. იმას კი არ ხვდებიან, რომ მათი ბითური დაპირებებისა უკვე პატარა ბავშვსაც არ სჯერა, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ ხალხი კიდევ ერთხელ შეცდომაში შეიყვანონ. აბა რას ნიშნავს ეს გაუთავებელი უაზრო და უშედეგო მოლაპარაკებების სერიალები? ნუთუ ბოლო არ უნდა ჰქონდეს ამ საქმეს?!

1991 წლის დასაწყისში შეიქმნა ეროვნული გვარდია. ეს იყო პირველი სამხედრო შენაერთი საქართველოში. ხალხი სიხარულით აღივსო. იმედი ჩაესახათ, რომ გვარდია დაიცავდა ქვეყანას მტრისაგან. გვარდიაში ნებაყოფლობით მიდიოდნენ სამშობლოსათვის გულანთებული ვაჟკაცები. ეროვნული გვარდია თანდათანობით ძლიერდებოდა და ფართოდ იშლებოდა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. 1991 წლის 26 აპრილს პირველმა გვარდიულმა შენაერთმა ფიცი მიიღო თბილისის ეროვნულ სტადიონზე, ხოლო ამავე წლის 26 მაისს ისევ სტადიონზე ჩატარდა სამხედრო აღლუმი.

ამ ორივე ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ხალხი სიხარულისაგან ტიროდა. მათ კიდევ არ სჯეროდათ, რომ ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენის მომსწრენი გახდნენ. ეროვნულ გვარდიაში სამსახური ელვის სისწრაფით გახდა პრესტიჟული. იგი ძირითადად ეროვნული მოძრაობიდან მოსული ხალხით კომპლექტდებოდა. ხალხის მხრიდანაც ვგრძნობდით სიყვარულს და ხელისუფლებისგანაც. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა — მალე გაჩნდა ეროვნულ გვარდიაში ისეთი სიტუაცია, რომ იგი ორ ბანაკად დაიყო. შემდეგ მოხდა სამხედრო გადატრიალება და ხელისუფლების შეცვლა, პრეზიდენტის გაქცევა და მთელს საქართველოში ურთიერთდაპირისპირება, ძმებს შორის სისხლისღვრა, მერე — ტერიტორიების დაკარგვა და ქართული ჯარის დაშლის პირამდე მიყვანა.

აი, ეს მოჰყვა იმ ავადსახსენებელ სამხედრო გადატრიალებას, რომელიც მოხდა 1991-92 წლის დეკემბერ-იანვარში, რაზედაც პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ხმას არ იღებს და ხალხს ართობს სხვა, რაღაც მეორეხარისხოვანი საქმეებით და ცარიელი დაპირებებით.

ჩემი ღრმა რწმენით, შემიძლია ერთი დასკვნის გაკეთება: სანამ საქართველოს მართავენ ედუარდ შევარდნაძე და მისი გარემოცვა, მანამ საქართველოს საქმე სულ უკან-უკან წავა და თუ ეს ხელისუფლება დროზე არ მოვიცილეთ თავიდან, დღევანდელი დროც მალე სანატრელი გაგვიხდება...

**მაიზერ გელოვანი,**
**ეროვნული არმიის გადამდგარი ოფიცერი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების მონაწილე, მებრძოლთა კავშირის წევრი, მედლის „საბრძოლო დამსახურებისათვის" კავალერი.**

მეცხრე გვერდიდან

# შეუგნებლობა თუ «შეგნებული» შეცდომა?

## (მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსის გამო)

ლექსის ორმა სტრიქონმა, იქნებ მართლა აღძრას უბირ მკითხველში და არა იმათში, ვისაც თავი ინტელექტუალური ელიტის წევრად მოაქვთ, ანუ მწერლებში და პარლამენტარ-საზოგადო მოღვაწეებში.

1. „... ქართულთან მეგრულს ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს".

თუ ამ ტაეპის აზრს ისე გავიგებთ, როგორც ბატონმა ბორის წიფურიამ ენგურის მიმართ ნათქვამი სამეგრელოს შეურაცხყოფად მიიღო, აქაოდა ენგური ანკარაა, სასმელად ვარგისი წყალია და, ალბათ, იგულისხმება, თითქმის მუდამ მღვრიე მტკვარს მასთან შედარებით საქებარი არა აქვს რაო, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მდინარეები, საერთოდ უენონი არიან და მ. ლებანიძემ თავიდანვე შეცდომა დაუშვა, როცა მათ, რაც არა ჰქონდათ — „ხმის ამოღების უფლება" — ის წაართვა.

არა, ბატონებო! ლექსში მტკვარი საქართველოს დედა-მდინარედ (თუ შეიძლება ითქვას) მთლიანი საქართველოს სიმბოლოდაა წარმოდგენილი (იგი ხომ მთელ საქართველოს, დაწყებულს თურქეთის საქართველოთი და დამთავრებული თამარის საქართველოს საზღვრით, გადაკვეთს), თანაც მასზეა გაშენებული დედაქალაქი თბილისი. აი, ამიტომ არ ამოეღებათ მასთან ენა არც რიონს, ჭოროხს, ენგურს თუ არაგვს. მაგრამ სხვაც საინტერესოა: ამ შედარებამ რატომ არ ალაშფოთა რიონისა და ჭოროხისპირელები, ივრისა და არაგვისპირელები, რატომ არც ერთმა მათგანმა ეს შედარება თავიანთ შეურაცხყოფად არ მიიღეს?

რაც შეეხება დასმულ კითხვას, მასზე შესანიშნავი პასუხი გასცა ბრძენმა ლევან დადიანმა, რომელმაც ელჩს დააბარა, რომ რუსებისთვის ეთქვათ: მეგრული მათ შინაურობაში სასაუბროდ აქვთ, თორემ სინამდვილეში ისინი წარმომადგენლები არიან იმ დიდი ერისა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი დამწერლობისა და ლიტერატურის მქონე ქართული ენა აქვთ.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში პოეტს, როცა ლექსის ევფონიის კარნახით დაწერა: „ქართულთან მეგრულს ხმა არ ამოეღებაო", რაც არა მგონია, საეჭვო დებულება იყოს.

2. არანაკლები ვნებათაღელვა გამოიწვია იმ ტაეპმა, რომელშიაც ნათქვამია: „... მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი", თანაც ისე გადააბრუნეს ეს ნათქვამი, თითქოს პოეტს ეთქვა: „მიჯღარკ-მოჯღარკული მეგრული ენა რატომ შეინახეთო".

რას შეეხება ეს „მიჯღარკ-მოჯღარკვა"? მეგრულ ენას? — რა თქმა უნდა, არა! ლაპარაკია რუსთაველის შეუდარებელი ლექსის თარგმანზე. მართალია, იქნებ სჯობდა სხვანაირად თქმულიყო და, დარწმუნებული ვარ, ამ თარგმანზე რომ მურმან ლებანიძეს რეცენზია დაეწერა, სრულიად სხვანაირად იტყოდა, თუმცა აზრი მაინც იგივე იქნებოდა, რადგან ამ გამოთქმის აზრი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება, მხატვრული ქსოვილი მეგრულ თარგმანში დამახინჯდა, დაიკარგა, მიიღრიც-მოიღრიცა, პოეტურად თუ ვიტყვით: — „მიიჯღარკ-მოიჯღარკა" და ასე მოუვიდა „ვეფხისტყაოსანს" არა მხოლოდ 83 წლის ასაკში მყოფი კაკა ჟვანიას თარგმანში, არამედ ყველა იმ თარგმანშიც, რომლებიც ათეულობით უცხოურ ენებზე შესრულდა. მათ შორის უგანათლებულესი შალვა ნუცუბიძის რუსულ თარგმანშიც და ეს არა იმიტომ, რომ რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული თუ რომელიმე სხვა ენა უვარგისია, არამედ იმიტომ, რომ ასეთი გენიალური პოეტური ქმნილების დედანთან თუნდაც მიახლოებული თარგმნა აბსოლუტურად შეუძლებელია. აბა, წარმოვიდგინოთ, შეიძლება ადექვატურად აჟღერდეს რომელიმე ენაზე ეს ტაეპები: „ვარდი გააპს, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალი", „გიშრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია", „ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა დანასა" და უთვალავი სხვა მარგალიტი? და რადგან ამ მარგალიტების თარგმნა „მიჯღარკ-მოჯღარკვის" გარეშე არცერთ ენაზე არ შეიძლება, ვისაც ბედნიერება აქვს, იგი დედანში წაიკითხოს (და ასეთი ბედნიერება აქვს დღეს ყველა მეგრელს) უნდა ეცადოს, ეს ბედნიერება არ მოიკლოს, მით უფრო, როცა იცი, რომ ეს „მიჯღარკ-მოჯღარკული" სიტყვა დუშმანმა შეიძლება საქმედ აქციოს.

ამიტომაც იყო, რომ ქალბატონი ციალა არდაშელია და ბატონი კალისტრატე სამუშია, ღვაწლმოსილი მკვლევარი, მეგრული ფოლკლორის უბადლო მცოდნე და სამი ტომის გამომცემელი (მეოთხე ტომი მზად ჰქონია, ბარაქალა მას!), სასტიკი წინააღმდეგნი არიან „ვეფხისტყაოსნის" მეგრულად თარგმნისა.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ვინმეს თავის შესაქცევად, როგორც შოთა იტყოდა „ამხანაგთა სათრეველად", როგორც გატაცება, „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმების მეგრულად თარგმნა ეკრძალებათ? — ღმერთმა დამიფაროს ასეთი აზრებისაგან! მაგრამ „ვეფხისტყაოსნის" თარგმნისათვის ოფიციალური სახის მიცემა და, მით უმეტეს, მისი ბეჭდურად გამოცემა-გასაღება არა მხოლოდ შეცდომაა, არამედ დანაშაულია სწორედ დღეს, როცა ყოველ მხარეს ამდენი მტერია ჩასაფრებული და ჩვენს გახლეჩა-დაცალკევებას მოითხოვს. მაგრამ, რაც მთავარია, საერთოდ ასეთი მცდელობა უპირველესად სწორედ არა მხოლოდ სამეგრელოს მოსახლეობის, არამედ სრულიად საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული: ჩვენს მტერსა და ავის მოსურნეს მოსვენებას არ აძლევს თხუთმეტსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე ერის პირისპირ დგომა, როცა მათი დამწერლობის შემქმნელები და მწერლობის საფუძვლის ჩამყრელები ჯერ კიდევ გუშინ იყვნენ ცოცხლები. მათ უნდათ მეგრელების სახით გვერდით ჰყავდეთ ერი, რომელსაც დამწერლობა ჯერაც არ შეუქმნია.

მე საგანგებოდ ავუარე გვერდი ამ პატარა ლექსთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებში აშკარად თუ ფარულად წამოყენებულ პოლიტიკურ ბრალდებებს.

იმის გამო, რომ აფხაზეთის ომმა, მერე კი ათასობით დევნილმა, რომელთა უმრავლესობამ ძირითადად თავი სწორედ სამეგრელოს რაიონებს შეაფარა და ისედაც დუხჭირი ყოფა ამ მოსახლეობას კიდევ უფრო დაუმძიმა, ჩვენ დანარჩენი საქართველოს მცხოვრებნი ყოველნაირად ვცდილობთ გავისიგრძეგანოთ ეს მდგომარეობა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერს საზღვარი აქვს. ყველამ უნდა გაიგოს, რომ დღეს თითქმის ერთნაირად გვიჭირს საქართველოს შვილებს და უნდა ვცადოთ ამ მდგომარეობის არა კიდევ უფრო დამძიმება და არაფრისგან პრობლემის შექმნა, არამედ შეძლებისდაგვარად ჭრილობის დაამება, ზედ სალბუნად დადება და ურთიერთდათმობა.

სამწუხაროდ, სრულიად საწინააღმდეგოდ ვიქცევით. აბა, შეიძლება ასეთი დაუოკებელი ბოღმითა და სიძულვილით წერა ერთ გამორჩეულ და საყვარელ ქართველ პოეტზე. მერედა, მოღალატე და მტერი თავის თავს იმავე მტრის ძმად აცხადებდეს, სადმე გაგონილა?

ლექსში ხომ ასეთი სტრიქონებიცაა?

*„აღარ ვაგრძელებ ამაზე სიტყვას,*
*ვართ ჩვენ ორი ძმა ხომ ერთი ერის*
*საჭირო გახდა და ერთხელ ითქვა*
*საჭიროება ნუმც გვექნეს მეტი.*

რაო! ჩემო ძმებო, მეგრელებო, რაც გითხარით, ამის საჭიროება იყო და არ შემეძლო არ მეთქვა. აწი ასეთის თქმა ნურასდროს ნუ დაგვჭირებოდესო. ამ სტროფში ხომ მობოდიშებაც კია იმის გამო, რომ იძულებული ვიყავი თქვენთვის მწარე სიმართლე მეთქვა, ხოლო ასე გითხარით იმის გამო, რომ ჩვენ ძმები ვართ და ვალდებულები ვართ ერთმანეთს პირში ვუთხრათ საქებარიცა და საძრახიც.

**ჩემო მეგობრებო! რატომ არც ერთმა თქვენთაგანმა არაფერი თქვით ამ სტრიქონებზე. მართლა ასე დაგაბრმავათ ბოღმამ, რომ ლექსში მხოლოდ ცუდი დაინახეთ? და არა ის, რაც შიგ წერია.**

ვიმეორებ, ჩემი გულისტკივილი და ამდენად ეს წერილიც მიმართულია მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც ვალდებული იყო, ვიდრე არაფრის გამო აურზაურს ატეხდა და „მარტივ გლეხს" უკუღმართ ცნობებს მიაწვდიდა, მეტი დაფიქრება გამოეჩინა და არა ლოზუნგებით, არამედ ნამდვილი საქმით დაემტკიცებინა, რომ ერის გამთლიანებისათვის იბრძვის.

P.S. სამწუხაროდ, ია სულაბერიძის მშვენიერი წერილი („ლიტერატურული საქართველო" №24) არ წამიკითხავს, თუმცა ეს უკეთესიცაა, როცა ორი ავტორი ერთნაირ აზრს გამოთქვამს, ეს ამ აზრების ჭეშმარიტებაზე მეტყველებს.

ა.ფ.

პოზიცია

ზაურ მოლაშხია

# სიძულვილით სიყვარულს ვერ მოიმკით!

## (მ. ლებანიძის ერთი ლექსის გამო)

მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსმა თუ პასკვილმა საქართველოში ბევრი გააოგნა. ამ ცილისმწამებლური ე. წ. გარითმული „ნაწარმოებით„ აღშფოთებულმა მეგობარმა პოეტმა, კუთხით რაჭველმა, შეხვედრისთანავე მითხრა: „მ. ლებანიძის ლექსის გამო, როგორც რაჭველები, მე გიხდი ბოდიშს".

ასე მგონია, იმ პატიოსანი კაცის სიტყვებში კეთილ რაჭველთა გულისხმაც იყო ჩაქსოვილი...

მ. ლებანიძე თავისი ლექსით მეგრული ენის მსჯავრმდებლად მოგვევლინა. აბა, მოვუსმინოთ: — „აგრეთვე ენას, ქართულთან მეგრულს, ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს". ჯერ ერთი: — რა ხმის ამოღებაზეა ლაპარაკი? მეგრულმა როდის უთხრა ქართულს — სადაც მე ვარ, იქ შენ გაჩუმდიო? მეორე: — ვინ წაართვა მეგრულს ხმის ამოღების უფლება?

„თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ". — წერს მ. ლებანიძე. ნეტავ ასეთი რა საშინელებანი ჩავიდინეთ მეგრელებმა? (მნიშვნელობა არა აქვს, ლექსს რა სათაური ექნებოდა, მთავარია, მეგრულს ხმის ამოღების უფლება არა ჰქონია). სად და როდის შევეკარით მეგრელები დუშმანს? როდის ვუღალატეთ სამშობლოს? რით დავიმსახურეთ ასეთი საშინელი ბრალდება ქუჯის შთამომავლებმა? სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, იქნებ იმით, რომ სამაჩაბლოში ვიბრძოდით საქართველოს ერთიანობისთვის? იქნებ იმით, რომ სხვებთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დროშა ავაფრიალეთ? ან იქნებ იმით, რომ აფხაზეთში ომის დაწყებამდე მრავალგზის გადაგვთელეს, გაგვძარცვეს, დაგვხოცეს, სულში ჩაგვაფურთხეს, ერთ-ერთი პირველი დევნილები თუ ლტოლვილები სამეგრელოდან დაიძრნენ სხვადასხვა მიმართულებით და, მაინც ჩვენი კუთხის შვილები, სხვაზე არანაკლებნი, დაეცნენ აფხაზეთის გამო საქართველო-რუსეთის ომში?

შეიძლება ზოგიერთმა გულნაწყენმა მკითხველმა მოგვაძახოს: — რა საჭიროა ასეთი განგაშის ატეხა ჩვეულებრივი ლექსის გამოო: კი, ბატონო, მ. ლებანიძის ადრინდელ, საუკეთესო ლექსებთან შედარებით, ეს „ქმნილება" მართლაც არაფრით გამოირჩევა, ოღონდ მასში ჩადებული აზრია შემაზრზენი და პროვოკაციული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ავტორი საქართველოში ცნობილი პოეტია, მაშინ ღირს მასზე ბევრი ლაპარაკი. რადგან ავი სიტყვა სარეველასავით ძნელად ამოსაძირკვიცაა და გადამდებიც! აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ანტიმეგრული ადრეც „შემთხვევით" გაპარვა პოეტს. რა თქმა უნდა, მ. ლებანიძეს ვერავინ დასწამებს არაპატრიოტობას, პირიქით, როგორც სხვას, უწინ მეც მხიბლავდა მისი პატრიოტიზმი, მოუსყიდველობა, კარიერისადმი გულცივობა (მას ჟამსა შინა ასე ჩანდა!), მაგრამ ანტიმეგრული, გინდა, არ გინდა, საბოლოო ჯამში, ანტიქართულიცაა! ალბათ, გახსოვთ, ოთხმოციანი წლების დასასრულს „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა მ. ლებანიძის ლექსები ციკლიდან: „ჩეხური დღიური", სადაც პოეტი სხვათა შორის ამბობს: როგორც მეგრელის გასწრაფებულ ლაპარაკს ვერ გაიგებს კახელი, ასევე რუსი — ჩეხურსო. კი ბატონო, სწორია, რომ მეგრელის „გასწრაფებულ" ლაპარაკს ვერ გებულობს კახელი, როგორც დანარჩენი საქართველო, ამის გამო მათი რუს-ჩეხთან გაიგივება, თუ არის ნეტავ, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნებისთვის ხელსაყრელი? (სხვათა შორის, იმ დროს, იმავე გაზეთში დაიბეჭდა ერთ-ერთი მწერალ-პროფესორის (ამჟამად პატიმრის) მოთხრობა, სადაც ნათქვამია: „მეგრელი კოჩი" იგივეა, რაც ოსი ან აფხაზიო") — მეგრელები მაშინაც გავჩუმდით. დრო იყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და კინკლაობას გაჩუმება ვარჩიეთ. და, მაინც „დუშმანს სიტყვა ჩვენ ვუქციეთ საქმედ"?

„ვაი სირცხვილო, რუსთველი თარგმნეთ,—
მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი!"

აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხულიო, — წამოიძახებს გულუბრყვილო მკითხველი. მაგრამ სწორედ ამ სტრიქონების ზემოთ არის ჩვენთვის გამოტანილი საშინელი ვერდიქტი: „თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ". ბატონმა მურმანმა, ლექსის ოსტატმა, კარგად იცის, სად და როგორ დაწეროს ესა თუ ის სტრიქონი.

ბარემ აქვე ვიკითხოთ: რატომ „ვაი, სირცხვილო?" „ვეფხისტყაოსნის" ცალკეული ადგილების ხალხური ვარიანტებიც გამიგონია მეგრულად. ვინ იცის, როდინდელი? ან რატომ უნდა დავმალოთ ის, რომ მეგრულ ენაზე შედევრებიცაა შექმნილი? მაშინ, მოდით, ამოვშანთოთ ეს მეგრული ენა! ამით ქართული მოიგებს ვითომ?!.

1991-92 წ. დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ყოველივე მეგრულის ლანძღვა-გინება ერთგვარ მოდად რომ იქცა, გალიზიანებულ-შეურაცხყოფილმა, მაშინ პირველად დავწერე ლექსები მეგრულ ენაზე და, წარმოიდგინეთ, როგორც მცოდნეებმა მითხრეს, „მოჯღარკული" კი არა, საკმაოდ კეთილხმოვანი გამომივიდა თურმე!

თუ რა იგულისხმება „მიჯღარკ-მოჯღარკულში", დიდი გულთმისნობა არაა საჭირო, — ეს მეგრული ენაა!

დროა ვიკითხოთ, საიდან ამგვარი სიძულვილი მეგრული ენისა? თბილისში ზოგ-ზოგნი მეგრულს რომ გაიგონებენ, უკეთეს შემთხვევაში, ცხვირს აიბზუებენ ხოლმე. მაშინ, როცა არ ეხამუშებათ სომხური, აზერბაიჯანული, ქურთული, რუსული და სხვ.

„ვართ ჩვენ ორი ძე ხომ ერთი დედის"-ო, — ბრძანებს მ. ლებანიძე. თუ ერთი დედის ორი ძე ვართ, მაშინ, მისი ლექსის მიხედვით, რა გამოდის, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, ჩემი (ე. ი. მეგრულის) „წილი" დედის ენა „მიჯღარკულ-მოჯღარკულია", ხოლო მისი „წილი" დედისა — კეთილხმოვანი? ან იქნებ ჩემი „წილი" დედის ენა იმდენად ასაკოვანია, რომ ბატონი მურმანის ყურთასმენას ეხამუშება იგი? მარტო რომ ეხამუშებოდეს, ვინ ჩივის, ხმის ამოღების უფლებასაც არ მაძლევს!

როგორც ვხედავთ, „ორი ძედან" პრივილეგირებული გამხდარა ერთ-ერთი და მეორეს ხმის ამოღებას უკრძალავს, კატეგორიულად აცხადებს: „უფლება არ აქვს". მორჩა და გათავდა! თუ არადა, დიდი ილია თვით ლაბას როგორი თანაგრძნობით მიმართავს: — „ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ!" „შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?! ეგ, ჩემო ლაბავ ნუ შეგშურდება". — თვით პირუტყვსაც რამხელა სიყვარულითა და თანალმობით ელაპარაკება ბრძენკაცი. თუმცა დიდი კაცი ყველაფერში დიდია!

მურმან ლებანიძე მეფის ნავში კი არა, თითქოს იმპერატორის ტახტზე იჯდეს, ისე მრისხანედ ბრძანებს: — „ქართულთან მეგრულს ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს".

ცოტა ხომ არ დააგვიანდა ბატონ მურმანს? ერთი სამი ათასი წლის წინ რომ ებრძანებინა ეს „ბრძნული" სიტყვა, იქნებ კოლხეთის მეფე აიეტს ყურად ელო მისი დიდბატონური რჩევა და არ ემეტყველა მეგრულად?

აწი, არ ვიცი, რა ეშველება ამას!

ქართული ენის გვერდით მეგრული ენის (აგრეთვე სვანურის) ზოგადი კურსი რომ ისწავლებოდეს, მაშინ არამეგრული წარმოშობის ქართველი მეგრულ ენას არ აღიქვამდა როგორც უცხო ენას (ეს მოსაზრება უფრო ვრცლად ბევრჯერ გამოითქვა პრესაში და ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებ). ქართველ ბავშვს ეცოდინებოდა, თუ რა მიმართულებაშია ერთმანეთთან: ჯუმა, ჯიმა, ძმა; სა-სუმ-ელი, ო-შუმ-ალი; სასთუმა-ლი, ორ-თუმა-ლი; ეცოდინებოდა, რომ „თვე" „თუთა"-დან (მთვარე) მომდინარეობს და სხვ.

მეგრული ენის ზოგადი კურსის სწავლება ჯერჯერობით თუ ვერ ხერხდება, ჩემი აზრით, მეგრული ენის თვითმასწავლებელი მაინც უნდა გამოიცეს არამეგრული წარმოშობის ქართველი ბავშვებისათვის. შეიძლება ზოგიერთმა ტვინნაღრძობმა სეპარატისტობა დამწამოს, მაგრამ ვინც მე ოდნავ მაინც მიცნობს, ის ვერ დაიჯერებს ჩემში პარტიკულარიზმის არსებობას. ერთი რამ ცხადია, თუ ვიქნებით რეალისტები და თუ მომავალი გვიწერია, ბავშვებმა უნდა იცოდნენ ქართველურ ენათა ის ძირფესვი, საიდანაც აღმოცენებულა ქართული ენა.

სამწუხაროდ, სამმა ცნობილმა ქართველმა სხვადასხვა სამი „გამორჩეული" ეპითეტით შეამკო მეგრული ენა:

1. ავენოვანი
2. წამხდარი ქართული
3. მიჯღარკ-მოჯღარკული

პირველი ეპითეტს მესამე ეპითეტისაგან სამი საუკუნე აშორებს. ხომ თვალსჩინო პროგრესია? სამი საუკუნის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გავიგეთ, რომ არ არსებობს და არც არსებობდა „ავენოვანი" ხალხი. არადა, რაღაც ხომ უნდა გვეწოდებინა მეგრული ენისთვის? რაღაც ახალი ეპითეტით ხომ უნდა შევხვედროდით ოცდამეერთე საუკუნეს? ამ მხრივ, ჯერჯერობით, ყველაზე უკეთ იმარჯვა ცნობილმა პოეტმა მ. ლებანიძემ — „მიჯღარკ-მოჯღარკულიო". აქ თავს ვერ შევიკავებ შეძახილისაგან: ბარაქალა, ბატონო მურმან, ბარაქალა! ამით „თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ!"

სიძულვილით არ შეიძლება სიყვარული მოიმკოთ!

**მინაწერი:** ა. წ. (№24) „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა ია სულაბერიძის წერილი „...ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!" ავტორი დასაწყისშივე გვამცნობს: იმერელი ვარ, მეგრელი რომ ვყოფილიყავი, ჩემი ნათქვამი სულ სხვაგვარად გაიჟღერებდაო. და ამის შემდეგ ავტორი „გვმოძღვრავს", თუ როგორ უნდა გავიგოთ მ. ლებანიძის ლექსის ესა თუ ის სტრიქონი.

განსაკუთრებით „მახვილგონივრულია" წერილის შემდეგი აბზაცი — „რაც შეეხება „სახელგანთქმული" აკაკი ელიავას მიერ ბატონი მურმანის ლექსის ტექნიკური მხარის დაწუნებას, ამაზე მე ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები" მახსენდება: „შემისწორა ქართული გულოიანმა..." აქ „ქართველთან" მიმართებაში „მეგრელი" და „სომეხი" ერთ სიბრტყეზეა დანახული. ავტორს, რა თქმა უნდა, არ სურდა ეს პირდაპირ ეთქვა, მაგრამ მის ქვეცნობიერში რაც იყო მოცემული, ხედავთ, როგორ „გაიჟღერა".

დაბოლოს, ია სულაბერიძე იქვე წერს: „ლექსის ადრესატებმა უნდა მოიხადონ ბოდიში ჯერ სამეგრელოსა და საქართველოს წინაშე, ხოლო შემდეგ ბატონი მურმანის წინაშე"... მინდა ამ სიტყვების ავტორს ვკითხო: ჯერ ერთი, როდის შემდეგ გახდა მისთვის „სამეგრელო" და „საქართველო" სხვადასხვა ცნება? ეს იმერელს კი არა, მეგრელს რომ დაეწერა, როგორ გაიჟღერებდა ნეტავი? მეორე: „სამეგრელო" და „საქართველო" ისეთი ვიწრო ცნება არ გახლავთ, რომ ისინი ერთ კაცს გავუტოლოთ! ვინც გინდა იყოს იგი!

დავითს და ნინოს გულოცავთ ქალიშვილის, ანა დოლიძის დაბადებას. ვუსურვებთ პატარა ანას ყველა ამქვეყნიურ ბედნიერებას და სიკეთეს, გაზრდილიყოს ისეთი კარგი ქართველი, რომ მისით ეამაყოს მშობლებსა და ახლობლებს.

პატივისცემით გია თვალავაძე, ბონდო მაცაბერიძე.

# ეროვნული გამარჯვების ტოლფასი



დღეს ეკონომიკური განვითარების მხრივ ძალზე ცოტა რამ თუ გვაქვს საამაყო ქართველებს, მაგრამ მაინც გვაქვს. ეს პირველ რიგში ეხება ქართული ლუდის წარმოების აღორძინებას, კერძოდ, ფირმა „ყაზბეგის" საქმიანობას.

ცნობილმა ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ, ამ საოცრად გაბედულმა კაცმა, იმ დროს და ისეთ ვითარებაში დაიწყო ამ დიდ საქმესთან შეჭიდება, როცა საქართველოს ბაზარი უკვე დაპყრობილი ჰქონდა უცხოური წარმოების როგორც მდარე, ისე მაღალი ხარისხის ლუდის მწარმოებელ ფირმებს. არსებობდა მცირეოდენი ფინანსური რესურსები, დიდი მონდომება და საკმაო ინტელექტუალური პოტენციალი. ამ უიმედო სიტუაციაში ყველა ადამიანი ალბათ ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ გოგი თოფაძეს მეტად შეუპოვარი ხასიათი აღმოაჩნდა. და დაიწყო ნელა, შეუმჩნევლად, თანდათანობით. იყო პირველი წარმატებები, შეცდომებიც, მაგრამ დიდმა მონდომებამ და გარჯამ, რაც ასე გვაკლია ყველაფერში ქართველებს, მაინც თავისი გაიტანა. კონსტანტინე გამსახურდია წერს, რომ „სახელი სიკვდილსა ჰგავს ერთ რამეში — როცა საჭიროა თვად მოგაკითხავს იგი". და მოაკითხა სახელმა თოფაძეს — იგი ყველასათვის ცნობილი და პოპულარული პიროვნება გახდა. ლუდმა „ყაზბეგმა" პატიოსანი კონკურენციის პირობებში დაამარცხა და საქართველოს ბაზრიდან განდევნა არა მარტო უხარისხო, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმული ლუდის მწარმოებელი ფირმების „ჰაინეკენის", „ბუდვაიზერის" და სხვათა ასევე კარგი, მაგრამ ძვირადღირებული პროდუქცია და მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ბაზარზე. ისე არ გაგვიგოთ, რომ ლუდს საუკეთესო ქართულ ღვინოებზე წინ ვაყენებდეთ, მაგრამ ჩვენი აზრით, ფირმა „ყაზბეგის" და გოგი თოფაძის წარმატება არის დიდი ეროვნული გამარჯვება და აი, რატომ: პირველი, ეს არის საქართველოს გაღატაკებული ბიუჯეტის შევსების რეალური წყარო; მეორე, წარმოების ამუშავებასთანაა დაკავშირებული ხალხის დასაქმებაც, სამუშაოსა და შრომას მოწყურებული ხალხისათვის პატიოსანი შრომით ნორმალური ცხოვრების და არა არსებობის პირობების შექმნა. თუ ასეთი წარმოებანი მრავლად იქნება, შრომის ე.წ. ველური ბირჟები დაცარიელდება და ხალხი თავის თავსაც მიხედავს და ოჯახსაც.

თოფაძის წარმოებასა და ინფრასტრუქტურაში უკვე ათი ათასამდე კაცია დასაქმებული და მათი რიცხვი სულ უფრო მატულობს;

მესამე, გოგი თოფაძემ და ლუდმა „ყაზბეგმა" დაამტკიცეს, რომ ქართველ კაცს და ქართულ პროდუქციას უმწვავესი კონკურენციის პირობებში შეუძლია მსოფლიო სტანდარტებთან და გრანდებთან არათუ გატოლება, არამედ გამარჯვება;

მეოთხე, ამ მოვლენას დიდი ფსიქოლოგიური ასპექტიც გააჩნია — ამგვარი წარმატება ქართველ კაცს უბრუნებს საკუთარი თავის რწმენას, ლუდი „ყაზბეგი" ქართველი კაცის სიამაყის საგანი და საქართველოს ერთგვარი სავიზიტო ბარათიც გახდა;

მეხუთე, ეს არის ნამდვილი და სერიოზული ნაბიჯი რეალური ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისაკენ, საკუთარი ძალებით ქვეყნის აღორძინებისაკენ;

დღეს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები, ვიდრე ამა თუ იმ ქვეყანას კრედიტს ან ტრანშს გამოუყოფენ, მთელი რიგი პირობების შესრულებას თხოვენ, რაც ხშირად ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს.

ამიტომაც არის აუცილებელი ქართული ეკონომიკის და წარმოების ამოქმედება, რომ ქვეყანამ თავისი გზით იაროს და სხვისი კარნახით არ იმოქმედოს.

მეექვსე, „ყაზბეგის" წარმატება იმის კარგი მაგალითიცაა, თუ როგორ უნდა დაძლიოს პიროვნებამ და მთელმა ხალხმაც სხვისი მოიმედეობისა და „უანგარო დახმარების" განწყობილება, რაც ხშირად გაგვაჩნდა ქართველებს და ყალბ ილუზიებს გვიქმნიდა. ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ — მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც".

და მართლაც, საქართველოში ამისათვის ხომ თითქმის ყველა პირობა არსებობს. როგორც დიდი ილია ამბობდა: „ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. ოღონდ, ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთათქმას ბატონად ნუ გაიხდი, იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ". ყველაფერ ამას მხოლოდ ჭკვიანური ორგანიზაცია სჭირდება.

საქართველო ხომ არც ისე პატარა ქვეყანაა, როგორც ხშირად ვუწოდებთ, მისი ტერიტორია თითქმის უტოლდება ბალტიისა და ნიდერლანდებისას ერთად აღებულს. საჭიროა მხოლოდ ხელისუფლებისა და ხალხის გონივრული ქმედება ისე, როგორც ეს გაკეთდა ისრაელში, რომლის ხალხმა უდაბნოში დიდი და ძლიერი ქვეყანა შექმნა.

ქართული ეკონომიკის განვითარებას და ფეხზე დადგომას სახელმწიფოს გონივრული ხელშეწყობა სჭირდება. აუცილებელია საგადასახადო სისტემის სრულყოფა, მტკიცე და ნათელი კანონმდებლობის შექმნა, მაკონტროლებელი ორგანოების რიცხვის შემცირება და მათი ქმედუნარიანობის ამაღლება, ქვეყნის დამაქცევარი კორუფციის აღმოფხვრა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიქმნას ქვეყანაში დოვლათი და სოციალური უსაფრთხოება, საექსპორტო პროდუქცია. ისევ ნიკო ნიკოლაძეს მოვუსმინოთ: „როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა. უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით". და მართლა დღეს, ოფიციალური მონაცემებით, იმპორტი 5-ჯერ აღემატება ექსპორტს და ესეც არის მიზეზი ქვეყნის დაკაბალებისა და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნისა.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ სწორედ „ყაზბეგის" თავკაცი გოგი თოფაძე ჩაუდგა სათავეში ახალდაარსებულ პოლიტიკურ მოძრაობას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს". მასმედიის საშუალებებით ვგებულობთ, რომ ეს მოძრაობა დღითიდღე იზრდება და ძლიერდება ინტელექტუალური ხალხით, უბრალო მშრომელებით და ა.შ.

ჩვენ დაგვაინტერესა მოძრაობის პროგრამამ და მისი გაცნობის შემდეგ აი, რისი თქმა ჩავთვალეთ საჭიროდ:

პირველი, რომ მოძრაობას გააჩნია სრულიად ახალი, ორიგინალური პროგრამა. მოძრაობის უმთავრესი ორიენტირი ზუსტადაა განსაზღვრული — ეროვნული ეკონომიკის, მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილის — მრეწველობის პრიორიტეტული განვითარების გზით ხალხის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი დასაქმება. მრეწველობის და მასთან დაკავშირებული დარგების (უპირველესად სოფლის მეურნეობის) აღორძინება შექმნის საფუძველს და პირობებს ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობისათვის, რეალური დამოუკიდებლობისათვის, საგარეო ვალის გასტუმრებისათვის და იმისათვისაც, რომ ღირსეულად იცხოვროს საქართველოს ყველა მოქალაქემ, რომლებსაც სურთ პატიოსანი შრომით უზრუნველყონ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა და ამავე დროს პირნათელი იყონ საკუთარი სინდისისა და საზოგადოების წინაშე.

ამრიგად, მოძრაობამ იპოვა მთავარი ღერძი, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა და ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან რეალური გამოყვანა. ამას ემსახურება მათი ლოზუნგიც — შრომის მაქსიმალური ნაყოფიერება — მაქსიმალური მოგება — მაქსიმალურად სამართლიანი განაწილება.

პროგრამაში ჩადებულია ისეთი მნიშვნელოვანი იდეური პრინციპები, როგორიცაა — პრაგმატიზმი, პოლიტიკური რეალიზმი, ზომიერება, თანმიმდევრულობა, განახლება.

საინტერესოა მათი ეკონომიკური დევიზიც — კერძო საკუთრება ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია და საზოგადოებრივი რეგულირება ყველგან, სადაც ეს აუცილებელია.

პარტია მხარს უჭერს ღია, გახსნილ, ხალხის წინაშე პასუხისმგებელ პოლიტიკას, როდესაც თითოეული სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობა შეფასდება პირველ რიგში ხალხის მიერ, იმისდა მიხედვით, თუ რისი გაკეთება შეძლო მან ხალხისა და ქვეყნისათვის, ეროვნული და სოციალური თანხმობის მიღწევისათვის. პარტიის ამოცანაა ქვეყანაში კანონიერების რეალურად დამკვიდრება — ქვეყანას კანონები უნდა მართავდნენ და არა ხელისუფლების წარმომადგენელთა სურვილები.

ხელისუფლების ფლობა პირადი კეთილდღეობის, ანგარებითი ინტერესების დაკმაყოფილების, შეუზღუდავი გავლენისა და პრივილეგიების მოპოვების უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის. ამის გამო ცდუნება თითოეულისათვის ძალიან დიდია, ხოლო ხელისუფლებით გამოცდა კი მორალური თვისებების ყველაზე მძიმე შემოწმებაა. ბევრი ე.წ. პოლიტიკოსი, როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში, ფიქრობს, რომ მთავარია მიხვიდე ხელისუფლებაში, დაეუფლო მას, მაგრად ჩასჭიდო ხელი, ხოლო რაც შეეხება მის მართვას, ეს როგორც გამოგივა, როგორც მოგესურვება და როგორც მოახერხებ. ამიტომაც პოლიტიკური კულტურის და სოციალიზაციის მაღალი დონე ხშირად ხელსაყრელი არ არის ხელისუფლების მფლობელთათვის, რადგან ასეთ საზოგადოებას უნარი შესწევს კრიტიკულად გააანალიზოს და სამართლიანად შეაფასოს პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები, მართვის უუნარობა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და კორუმპირებულობა. ეს კი გაცილებით უფრო საშიშია ხელისუფლებისათვის, ვიდრე მათი ლანძღვა-გინება სკანდალურ გამოცემებში, ისტერიული მიტინგობანა ან მუშტი-კრივი ხელისუფლების სტრუქტურებში.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არჩევნებში ამ მოძრაობის გამარჯვება საქართველოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ იქნება გამოყენებული. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ თოფაძე ერთ-ერთი მაგალითია, რომელიც პატიოსანი გზით გამდიდრდა და არა კორუფციით და ხაზინის ქურდობით და ისიც, რომ ამ წარმატებულ ბიზნესმენს საკმარისი ქონება ჰქონდა, რომ წყნარად ეცხოვრა, მაგრამ მან თუ თავი აიტკივა ზედმეტად, ეს იმის გამოც, რომ ბატონ გოგის კარგად ესმის — ვერ იქნები სრულად ბედნიერი, როცა შენი ერი, ხალხი მშიერი და უბედურია, დაკარგული აქვს ხვალინდელი დღის რწმენა და ხსნას მხოლოდ ზეცაში ეძებს.

ვაჟკაცი მაშინ იქნები, თუ ამ ხალხს დაეხმარები და ამქვეყნიურობისაკენ შემოაბრუნებ, აამოქმედებ და ქვეყნის სამსახურში ჩააყენებ.

როგორც ადამიანმა, ისე ერმა სიკეთისაკენ გადადგმული ნაბიჯი უნდა დააფასოს და წაახალისოს. ჩვენ გვჯერა, რომ გოგი თოფაძე და ეს მოძრაობაც ძლიერ დააფასებს ქართველი ხალხის მასიურ მხარდაჭერას და ნდობას, როგორც ქართული ლუდის „ყაზბეგის", ასევე ამ მოძრაობის მიმართაც და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში არ გადაუხვევს ხალხისათვის მიცემულ ვაჟკაცურ პირობას — მრეწველობის აღორძინებით გადაარჩენს საქართველოს, მის მეცნიერებასა და კულტურას.

ხელისუფლება კი ღრმად ეროვნული უნდა იყოს, ისევე, როგორც ყველაფერი საზოგადოებაში: ინტერესი, პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, მეცნიერება, განათლება, იდეოლოგია. ღმერთის მიერ ადამიანთა მოდგმის გარჩევის ყველაზე კეთილსა და უმტკივნეულო ფორმას ხომ ეროვნება წარმოადგენს. თუ ამის ნიველირება მოხდა უცხოურის უკრიტიკოდ მიღების ხარჯზე, ჩვენ ვიქნებით არა ერი, არამედ უსახო მასა, გინდა ბრბო.

თუ ერი ვართ, შავის და თეთრის გარჩევაც უნდა ვისწავლოთ. სიკეთისა და მიღწეულის არდანახვა უსამართლობა და უმადურობაა.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა და შეფასება ენიჭება საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა უამრავი პრეტენდენტიდან რამდენიმე საუკეთესოს არჩევაა საჭირო.

ვისაც ავირჩევთ — ისე ვიცხოვრებთ კიდევაც.

**ირაკლი რეხვიაშვილი**
პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
**ვაჟა შუბითიძე**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №№15,18,19,20,22,23,25

# ჰიტლერის ანდერძი, ანუ „საუბრები ბუნკერში"

„ანდერძში" ჰიტლერი ლაპარაკობს ნაციონალ-სოციალიზმის ისტორიულ დამსახურებაზე გერმანელი ხალხის „რასობრივი სიამაყის" გრძნობით აღზრდაში. „უნდა აღვნიშნო, — ამბობს იგი 13 თებერვლის ჩანაწერში, — რომ მე სავსებით თავისუფალი ვარ რასობრივი ცრურწმენისაგან. ნებისმიერ შემთხვევაში არასასურველია რასების შერევა. ამ მიმართულებით ზოგიერთი წარმატებული შემთხვევის გამოკლებით, რომლებსაც მე ვაღიარებ, რასების სისტემატურ შეჯვარებას არასოდეს მოჰქონდა კარგი შედეგი. რასობრივად სუფთად ყოფნის სურვილი — ერის სიცოცხლისუნარიანობისა და ჯანმრთელობის მაჩვენებელია. საკუთარი რასით სიამაყე სულაც არ ნიშნავს სხვა რასების ზიზღს. ჩინელებს ან იაპონელებს მე არასდროს ვთვლიდი არასრულფასოვნებად ჩვენთან შედარებით. ეს ხალხები უძველეს ცივილიზაციებს მიეკუთვნებიან და მე ვაღიარებ, რომ მათი წარსული აჭარბებს ჩვენსას. მათ ისეთივე უფლება აქვთ იამაყონ თავიანთი წარსულით, როგორიც ჩვენ გვაქვს ვიამაყოთ იმ ცივილიზაციით, რომელსაც მივეკუთვნებით. უფრო მეტიც, მე ვთვლი, რომ რაც უფრო მტკიცენი არიან ჩინელები და იაპონელები თავიანთ რასობრივ სიამაყეში, მით უფრო გაადვილდება მათთან საქმის მოგვარება.



გერმანელებს ძირითადში არ გააჩნიათ რასობრივი სიამაყე. ამის მიზეზი ისაა, რომ ბოლო სამი საუკუნის მანძილზე ქვეყანას ხრავდა შინაგანი წინააღმდეგობანი და რელიგიური ომები, გერმანელებზე ზემოქმედება მოახდინა სხვადასხვა უცხოურმა მოვლენამ, მაგალითად ქრისტიანობამ. ქრისტიანობა არაა ბუნებრივი რელიგია გერმანელებისათვის, ეს იმპორტირებული რელიგიაა, რომელიც არ იწვევს ჭეშმარიტ გამოძახილს მათ გულებში და უცხოა ერის შინაგანი სამყაროსათვის. როდესაც გერმანელს ეუფლება ეროვნული სიამაყე, როგორც ეს ხანდახან ხდება და თანაც ძლიერ აგრესიულ ფორმაში, ეს სხვა არაფერია, თუ არა საკომპენსაციო რეაქცია არასრულფასოვნების კომპლექსზე, რომლისგანაც იტანჯება გერმანელთა უმრავლესობა. თითქმის არ ღირს იმის თქმა, რომ ეს არ ეხება პრუსიელებს. ფრიდრიხ დიდიდან მოყოლებული, პრუსიელები ფლობდნენ მშვიდ და უბრალო სიამაყეს, რაც ისეთი ერის დამახასიათებელი ნიშანი იყო, რომელიც თავის თავში დარწმუნებული იყო და სხვის თვალში არ საჭიროებდა რაიმე მოჩვენებით თვითდამკვიდრებას. ამ თვისებების წყალობით პრუსიელებმა შექმნეს გაერთიანებული გერმანია. ნაციონალ-სოციალიზმი შეეცადა მთელი გერმანელებისათვის მიენიჭებინა ის სიამაყე, რომელსაც აქამდე ჩვენ შორის მხოლოდ პრუსიელები ფლობდნენ.

ასევე ავსტრიელებსაც აქვთ სიამაყე თავიანთ სისხლში, რაც ძალიან წააგავს პრუსიელების სიამაყეს. ავსტრიელების სიამაყე წარმოშვა იმან, რომ ასწლეულების მანძილზე მათზე არ ბატონობდა არც ერთი სხვა ხალხი, პირიქით კი იყო, ხანგრძლივი დროით ისინი ბრძანებებს გასცემდნენ და მათ ემორჩილებოდნენ. მათ აქვთ ბატონობისა და ძალაუფლების დაგროვილი გამოცდილება და ეს აიხსნება ქვეყნის თავისებური კლასიციზმით, რომელსაც ყველა ანგარიშს უწევს.

**მოამზადა გოგი ბეჟუაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

# სატირისა და იუმორის კუთხე

### იავნანა
*(პოლიტიკურ-ეკონომიკური ვარიანტი)*

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
სამშობლოდან მტერმა ხელი
დაგვაბანინაო.
ვისაც ვუხმეთ, ვუმეგობრეთ
ყველამ გვაგინაო,
აღარც ბიუჯეტი გვაქვს და
აღარც ხაზინაო.
ჩვენი განძი, ჩვენმა, უცხოს
გაატანინაო,
შინა მტერი გვეყოფოდა
რად გვინდოდა სხვაო?
გასაყიდი დაგვრჩა მხოლოდ
მწვერვალი და ზღვაო,
გაიყიდა საქართველო,
როგორც ბეკოს თხაო.
გაიღვიძე, საქართველოვ,
შენ პაწაწინაო!
ასე ტკბილად, უდარდელად
რამ დაგაძინაო?!
როდის ჰყავდა საქართველოს
უცხოელი „ძმაო"?!
ვინაც შესძლო უნამუსოდ
გვანგრია და გვწვაო.
მეხთატეხა გვემუქრება,
იქუფრება ცაო,
გაიღვიძეთ, ქართველებო,
ამოიღეთ ხმაო!

### გამაგებინეთ, ვინ არის დღეს საქართველოს პატრონი?!

კლიტეს აღებენ „ტყეპროექტს",
უპურისფულოდ დაგვტოვეს,
ნეტავ პრეზიდენტს, მთავრობას
ნაკლადა ჰქონდეთ მარტო ეს.
ყავლი გასვლია მეტყევეს
და მით უმეტეს ტყისმცველებს,
დღეს თუ ხვალ, ალბათ, ქართულ ტყეს
მთლიანად თურქებს მისცემენ.
უპატრონოა ქვეყანა,
ტყეს შეესივნენ ნაჯახით,
აყვავდა უცხო ტომელი
ქართველი კაცის ნაჯაფით.
სამკურნალწამლო ბალახებს
ვილაც ტონობით „ასალებს",
ერთ მრავალძარღვას არ ტოვებს
ძირმაგარაზე დასადებს.
როგორც იტყვიან, კაი მთქმელს
სჭირდება კარგი გამგონი,
გამაგებინეთ, ვინ არის
დღეს საქართველოს პატრონი?!

### თავხედისაა ცხოვრება

გაყოფილია ქვეყანა
თავხედებად და ბრიყვებად,
რატომღაც ხალხი ამ „პრინციპს"
თავჩაღუნული მიჰყვება.
თავხედისაა ცხოვრება,
ვის უნდა შენი ნამუსი!
ბრიყვო, ეგ შენი ბრალია,
თავხედი წინ რომ გაუშვი.
არ გაპატიებს თავხედი
კეთილშობილურ მოქცევას,
თავისას გაინაღდებს და
შენ ბალახივით მოგცელავს.
თავხედი ხალხის სახელით
იბრძვის საკუთარ სკამისთვის,
ჩაჯდება სავარძელში და
პურს არ იმეტებს ხალხისთვის.
ნათქვამია და სწორია,
თუ სალი თვალით დავხედავთ,
ბედნიერია კაცი, რომ
თავხედად დაიბადება.

### კომუნისტური აღსდგა დიქტატურა

კომუნისტური აღსდგა დიქტატურა,
ვინმე აღუდგება ამ დიქტატს თუ, რა?
კომუნისტურად გრძელდება ტაშისკვრა,
რეპრესიები, ტერორი, კაცისკვლა.
კომუნისტურით ვინც ხვეჭდა მანდატით,
მშიერ-მწყურვალი არც ახლა არ დადის,
აქვთ ძარცვის ნიჭი, შნო და უნარი,
სული თავხედური, გაუხუნარი.
ძარცვას არ თაკილობს არც ქალი, არც კაცი
და თავზესაყრელად იშოვეს ნაძარცვი.
სხვა ქვეყნის განგსტერები, ჩვენებთან ნოლია,
თურმე, რამდენი მძარცველი გვყოლია.
კაცი რომ საკუთარ სამშობლოს გაჰყიდის
ის დათმობაზე არასდროს არ მიდის,
ცხოვრობს მარტოდენ თავის თავისთვის
და მეთაურის მაღალი სკამისთვის.
.........................
ომმა ყველაფერს მოჰფინა ნათელი,
უმსგავსო, ბევრი გვყოლია ქართველი.

### ვაჟასებურად

ყმაწვილი ვნახე კაიფში,
თავის თავს ეომებოდა,
დარჩენილიყო აჩრდილი,
ფეხზე ვეღარა დგებოდა.
მარჯვენში შპრიცი ეჭირა,
მარცხენში ჰქონდა გაჩრილი,
ნეტავ, რაისთვის უნდოდა?
ყვავილზე იყო აცრილი.
შევატყე არაკაცურსა
რასმე ცუდ საქმეს შვრებოდა,
მემრე თვალები მილულა,
ალბათ, თუ ეამებოდა.
ეს სახუმაროდ, ვაჟებო,
აღარც მე არ ვარ არიფი,
ქვეყანა თავზე გვექცევა,
რა დროისაა კაიფი.
წარმოიდგინეთ, წინაპრებს,
ვისაც მახვილი ეჭირათ,
ყველას რომ თქვენებურადა,
ვენაში შხამი ეჩხირა,
ეს ჩვენი მამულ-დედული
ვის უნდა გადაერჩინა.
მე ვიტყვი, თუმცა კაი მთქმელს
სჭირდება კარგი გამგონი,
მაგ „თვითდაკეჭნას" შეეშვით
მაგას მოუკვდა პატრონი.
ქართველო, ხელი ხმალს იკარ!
რა დროს ნემსი და შპრიცია,
სანამდე მთელი სამშობლო
სხვებისთვის არ მიგვიცია.

*ნიკოლოზ იოსებიძე*

### განცხადებები

შეიქმნა „აღორძინების" ალტერნატიული პარტია „გაღორძინება". პარტიის ძირითადი კრედოა: ხაზინისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ღლეტვა, კრედიტების, ინვესტიციების სახლში გაზიდვა და ბარ-რესტორან-კაზინო-ბორდელებში ხარჯვა, ცოლ-შვილის გასუქება-გაზულუქება, საზოგადოების (ანუ ბრბოს) ფეხებზე დაკიდება და სხვა ღორული საქციელი.

პარტიაში შესვლისას მსურველები კარგად უნდა იცნობდნენ ღორის ბუნებას და შეძლებისდაგვარად ბაძავდნენ მას.

* * *

ქართველი ერის აღდგენა-გამრავლება-გადარჩენის მიზნით საქველმოქმედო ფირმა „ჭიპლარმა" დაიწყო წვერწაჭრილი, ეგრეთწოდებული „კუდმაკრატელა" პრეზერვატივების გამოშვება, რომლებიც ესთეტიკურად კარგად არის გაფორმებული, აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნებს და რაც მთავარია, არ აფერხებენ დაორსულებას.

პრეზერვატივები განკუთვნილია მხოლოდ ქართველებისათვის და გაიცემა პასპორტის წარდგენის შემთხვევაში. პასპორტში აუცილებლად უნდა აღინიშნებოდეს ეროვნება.

განცხადებები იპოვა
**ნიკოლოზ იოსებიძემ**

## მრეწველობა

# «ორბელი-კერრი» ხარისხიან პროდუქციას გვთავაზობს

თვეობით დაურიგებელი ხელფასები და პენსიები მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში აგდებს. გამუდმებით იმაზე ფიქრი, სად შევიძინოთ ხარისხიანი პროდუქტი წვალებით ნაშოვნი ფულით, არანაკლებ მნიშვნელოვანია დღეს. ამიტომაც გამუდმებით ვეძებთ იმ მაღაზიებს, ბაზრებსა თუ სხვა სავაჭრო ობიექტებს, სადაც მართლაც ზრუნავენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და ხარისხიან, ნატურალურ, შემოწმებულ პროდუქტებს ყიდიან.



შეგვიძლია მომხმარებელს მივაწოდოთ საიმედო ინფორმაცია ამ მიმართულებით, რადგან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველო-შვეიცარიის ერთობლივი ფირმა შპს „ორბელი-„კერრი" უკვე მეორე თვეა, რაც მუშაობს და მომხმარებელთა დიდ სიმპატიასაც იმსახურებს.

საქართველოს ბანკები, მზად არ არიან ასეთი დიდი პროექტები დაუხმარებლად განახორციელონ. საქმე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ. თავდაპირველად ფირმა „ორბელი" სააქციო საზოგადოება „სავაჭრო ცენტრის" ახალი ტიპის ბაზრის დამფუძნებელი გახდა. მერე მათ შვეიცარიული მხარე „კერრი" შეუერთდა. „ორბელი-კერრი" ამჟამად ერთად თანამშრომლობს. სარემონტო სამუშაოები დაწყებულია. ორიგინალური დიზაინი, ევროპული ბაზრის სახეს განსაზღვრავს. საინტერესო პროექტი, საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი შენობა მომავალში, ფიქრობენ, აუცილებლად მიიპყრობს ყურადღებას.

„ორბელი-„კერრი" ამჟამად „საკოლმეურნეო ბაზრის" მე-2 სართულზეა განთავსებული.

ჩვენ გავესაუბრეთ ორივე მხარის დირექტორებს: ბატონებს: **ბადრი გუნიასა** და **ვიქტორ ჩემპიონს**.

ბატონი ბადრი გუნია — სპეციალობით ინჟინერ-ტექნოლოგია. ასევე მას დამთავრებული აქვს ვენის ეკონომიკურ-სავაჭრო ინსტიტუტი მენეჯმენტისა და მარკეტინგის განხრით. წარსულში მუშაობდა საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციების ხელმძღვანელ თანამდებობებზე. იგი კეთილსინდისიერი, უაღრესად ზრდილი ადამიანია, რომელიც ყველგან დიდი ავტორიტეტით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს.

ბატონი ვიქტორ ჩემპიონი — პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსია. 1971 წლიდან საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯერია. მას დიდი გამოცდილება აქვს დააახლოვოს უცხო ხალხები ერთიმეორესთან. აჩვენოს მსოფლიო კულინარული ხელოვნება და დაინტერესებულ ადამიანებს გაასინჯოს უცხო ქვეყნის პურის გემო. იგი თვლის, რომ მთესველი და პურის მცხობელი ადამიანი არასოდეს არ იფიქრებს ომზე და ძალადობაზე.

**ვიქტორ ჩემპიონი** — „ვიცით, სტუმარ-მასპინძლობა თქვენთვის, ქართველებისათვის უცხო არ არის. ქართული სუფრა, შოთის პურის გემო, მისი ცხობის ტექნოლოგია მეტად შთამბეჭდავია. ეს პური ცხვება უკვე ასწლეულებია, ჩვენ ყველას მოგვწონს ქართული თონის პური, მაგრამ გვინდა უცხო ქვეყნების პურიც გავაცნოთ თქვენს მოსახლეობას. ასევე ჩვენთან მოდიან საელჩოებიდან, უცხოელები სიამოვნებით ყიდულობენ პურ-ფუნთუშეულის ჩვენეულ ნაწარმს, რომელიც, ვფიქრობთ, მომავალში 150 დასახელებამდე გაიზრდება.

მომხმარებელს ძალიან მოსწონს იტალიური პური „ჩიაპატა". დიდი მოთხოვნილებაა ფრანგულ და შვეიცარიულ პურზეც. მალე ფირმა მათ შესთავაზებს გერმანულ პურსაც.

მთავარი კონდიტერი — მარტინ ცბინდენი ამ საქმის პროფესიონალია. მისი რეცეპტურით დამზადებული ნამცხვრები და ტორტები განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს. გემო ერთია და მერე სილამაზე. ძალიან ძნელია გამოარჩიო მათ შორის განსაკუთრებული. მომხმარებელი სიამოვნებით ყიდულობს ნამცხვრებს „შავი ტყე", „ბერლინელი", „ბრეცელი", „ნუსკი", „კუსონი", „ბაგეტი", „ბატისრი" და რაც მთავარია, ფასები სხვასთან შედარებით აქ ხელმისაწვდომია.

ბატონი ალბერტ მილერი — უცნაურ დანადგარებს, მათ მუშაობას, მაშინაც კი თვალს ადევნებდა, როდესაც „თარჯიმნის" როლით იყო დაკავებული.

**ბადრი გუნია** — „აქვე საბაზრო მაღაზიას ვაკეთებთ, რუსთაველზე, ლალიძის წყლების გვერდით ერთი დარბაზის არენდა უკვე აღებული გვაქვს. რამდენიმე ადგილი კიდევ გვინდა ავილოთ ქალაქში. ხალხი დავასაქმოთ და ეს ბაზა 15-16-მდე გავზარდოთ. მიხარია, რომ გაიგეს გემო ჩვენი ფირმის მიერ წარმოებული პურ-ფუნთუშეულის, ნამცხვრების. იციან, რომ აქ ხარისხიან პროდუქციას შეიძენენ.

**ვიქტორ ჩემპიონი** — „დიახ, ჩვენთან პირველ რიგში მომხმარებელს იზიდავს ჰიგიენა და მერე ხარისხი. ძნელია, უხერხული საკუთარი თავის ქება, მაგრამ მაინც ვიტყვი, ჩვენ კონკურენციის არ გვეშინია, რომელი ფირმაც არ უნდა ჩამოვიდეს, ჩვენ მზად ვართ



შევეჯიბროთ მათ ხარისხით."

ფირმა „ორბელი-„კერრი" ამზადებს სადღესასწაულო და საქორწილო ტორტებსაც. ილებს შეკვეთებს. მათი გაფორმება მხატვრული კულინარული ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

სანაყინე დანადგარში სხვადასხვა ფერის ნაყინი მზადდებოდა. ბატონებმა ვიქტორ ჩემპიონმა და ბადრი გუნიამ გაგვაცნეს მათი უახლოესი გეგმა. ისინი, როგორც ადრე პურ-ფუნთუშეულზე, ამჟამად ნაყინზეც ჯერ სასინჯ მუშაობას ეწევიან.

თანამშრომლობენ ცნობილ იტალიურ ფირმასთან, რომელიც ნატურალური სახის ნაყინის მომზადების რეცეპტებს აძლევს და ახალი მოწყობილობის მოწოდებაშიც ეხმარება „ორბელი-„კერრის". საჩვენებელი პროდუქცია წარმოდგენილია 10 სხვადასხვა დასახელების ხილეულის ნაყინით. 50% აქ ნატურალური პროდუქტისაგან მიიღება. მაგალითად — გარგარის, ტარხუნის, მარწყვის და ალუბლის ნაკრებია. ინდუსტრიულ წარმოებაში მხოლოდ 2%-ია ნატურალური პროდუქტი, აქ კი არავითარი ქიმიური შემადგენლობა არ გვხვდება. ქიმია გამორიცხულია. ფერები ნატურალურია, საღებავი ფერისათვის, ასევე ფხვნილი გემოსათვის, აქ არ გამოიყენება, ყველაფერი კეთდება მხოლოდ ერთი დღისათვის სამყოფი რაოდენობის, თუ მეორე დღისათვის რაიმე რჩება — რიგდება საქველმოქმედო სახით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფირმა „ორბელი-კერრი" ეხმარება ბავშვთა სახლებს.

ნაყინის ღირებულება ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ შეგვპირდნენ, ვეცდებით, ძვირი არ იყოსო.

**ძეთი ჩადუნელი**

# კურიოზები ... კურიოზები ...



კინოსა და თეატრის პოპულარული მსახიობი იური ვასაძე

## „მამა-შვილი“

...აფხაზეთი მაშინ „ჩვენი“ რომ იყო, ის პერიოდია. „დათა თუთაშხიას“ ვიღებდით. აფხაზეთის ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში გვქონდა, რა თქმა უნდა, დასვენების დღეებიც, და რა თქმა უნდა — ქეიფები... ქეიფები...

აკაკი თარბას ოჯახში ვქეიფობდით ერთ დასვენების დღეს გადაღლილი მსახიობები. მეზობელი ჰყავდა აკაკი თარბას ერთი — ძუკუ ტაბალუა, რომელიც ენას უკიდებდა დროდადრო.

გვერდიგვერდ სხედან სუფრასთან იპოლიტე ხვიჩია და დოდო აბაშიძე. ქეიფი ეშხში შევიდა.

უყურებს ეს ჩვენი ძუკუ ამ ორ ბუმბერაზ მსახიობს. ვერ ძლება ყურებით.

— იურა (მეშინაურებოდა მე), რა არიან ეგენი ერთმანეთის? — მანიშნებს თვალით ძუკუ.

— ვინ, ძუკუ? — ვითომ გავიკვირვე.

— ისინი, ისინი... დოდო და იპოლიტე. დოდომ ყური მოჰკრა ამ ამბავს და აროხროხდა თავისებურად.

— შვილია ჩემი, იპო... — თქვა ოდნავ რომ დასერიოზულდა.

ძუკუ ბრინჯივით დაიბნა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს.

— როგორ ბრძანეთ, დოდო ბატონო? მომეყურა ახლა მმმეე, ამ სიბერეში, თუ მართლა თქვით თქვენ, იპოლიტე შვილია ჩემიო?

— რა თქმა უნდა... ჩემი ძეა...

— ააა... გასაგებია... მე გავიგონე — შვილიაო (მაინც არ უნდა, რომ დაიჯეროს).

— კი, ბატონო, ნამდვილად შვილია — იპოლიტე დოდოევიჩი.

ძუკუ ახლა ფეტვივით იბნევა, მაგრამ აზრი მაინც მოიკრიბა.

— კკიიი, მმმაგრამ, ბატონო დდოდდო, თქვენ ამოდონა ხართ... მდევივით. ეს ასე პატარაა...

— რა მოხდა მერე, ჩემო ძუკუ? პატარაა მაგი ჯერ, თქვენ დიდი ხომ არ გგონიათ? მეშვიდე კლასშია ჯერჯერობით. მართალია, თითო კლასში ორ-ორ წელს რჩება, მაგრამ სამაგიეროდ, მაგრად სწავლობს მაგ...

— ულვაშები რომ აქვს, მაგას? — მოძებნა ახალი კითხვა ძუკუმ და მე გადმომხედა: „ხომ კარგად ვუთხარიო“.

— რა უჭირს, მერე — სამაგიეროდ ისეთი კულტურულია, ნაყინს დანა-ჩანგლით მიირთმევს — მიუგო იმავე სიმშვიდით დოდომ.

— მაცალე მე შენ! — იბოღმება იოლიტე, მაგრამ ჯერ ფხიზელია. არადა, „მოსისხლედ“ გადაეკიდა „მამას“.

— არ მომწონხარ, დოდო, მე შენ!... — რომ შეზარხოშდა, ამოიღო ხმა ხვიჩიამ.

— რას მიწუნებ, შვილო? — დაინტერესდა დოდო.

— ადრე, ბალნებს იტაცებდნენ და ჰყიდნენ სტამბოლის ბაზარზე, შენი მეგვარე წინაპრები იყვნენ ისინი, აჰა! ძველი „მაფიოზები“ იყვნენ შენი წინაპრები! დიახ!

აბაშიძე შეიშმუშნა. მაგიდას თვალი მოავლო და წამოდგა. წამოდგა „მთა“ და გაიტრუნა სუფრა „ზვავის“ მოლოდინში.

— ადექი, იპოლიტე, ზეზე, — დაიბუხუნა. „ყველა პატარას დიდი გული აქვს“ — გამიელვა თავში და იპოც არ შეეპუა. წამოდგა. არადა, ქამრის ზემოთ, გულისფიცრამდე ძლივს წვდება თავით დოდოს. არც მეტი, არც — ნაკლები.

— შეხედეთ ახლა ამას, თქვენ! — იქუხა დოდო აბაშიძემ. იპოლიტე — ბიჭო, შენნაირ ბალნებს გაყიდიდნენ ჩემნაირი აბაშიძეები, აბა რას იზამდნენ. რა საჯიშო შენ ხარ, საქართველოსთვის?!!

იქუხა სიცილმა. იპოლიტეს მოეწონა ეს მოსწრებული პასუხი და გულამოსკვნით ჩაეხვივნენ ერთმანეთს.

არცერთი იყო გამყიდველი და არც მეორე — გაყიდული. „ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები“ გახლდათ...

## პარადოქსი

კახეთში ვართ, ვიღებთ ფილმს „სიყვარული ყველას უნდა“. მოგეხსენებათ ფილმი კომედიური ჟანრისაა და გადაღებაც მხიარულად მიმდინარეობს.

სასტუმრო იმ სოფელში არ გახლდათ და მოსახლეობამ დაგვინაწილა მსახიობები ლამის გასათევად თავიანთ სახლებში.

კახელების სტუმართმოყვარეობის ამბავი კი იცით. თან, გივი ბერიკაშვილი მათი „კერპია“. დარწმუნებული ვარ, საქართველოში რომ მდგომარეობა გამოსწორდება, გივის აუცილებლად ძეგლს დაუდგამენ. ასეა ეს, მაგრამ იმ ეტაპზე რომელილაც იქაურმა თაყვანისმცემელმა ოთხი სხვადასხვა ზომის დიდ-პატარა საზამთრო აჩუქა.

— ჩააცივე ახლა, იურა, შენთან, წყალში ეს საზამთროები. სალამოს მოვალთ გადაღებიდან და ჩავიტკბარუნოთ პირიო.

ეს ამბავი დილით მოხდა. წავიღეთ ეს ნობათი მე და ტრისტან სალარიძემ „ნომერში“ და... სამი შემოგვეჭამა.

დარჩა ერთი „ღვთისპირისგან გავარდნილი“ კურკისტოლა საზამთრო და დიდი ამბით ვინახავთ გივისთვის.

მოსაღამოვდა. მოვლასლასდით „ნომრებში“ გადაღლილ-გასავათებულები. ტრისტანი არ გამოჩნდა. ვარ მარტო.

— აბა, გამაიტა საზამთროები... — „მესტუმრა“ ბერიკაანთ ბიჭი. რა უნდა გამოვიტანო, თუ გიყვარდე? დამასხა ოფლმა სიცხისგან და უხერხულობისგან ერთბაშად.

„რა გამოვუტანო. არ გაძლა მე და ტრისტანას გასახეთქი მუცლები... რა ვუყო ახლა ამ პატიოსან კაცს?“ — ვფიქრობ გამწარებული, მაგრამ რაიმეს მოფიქრების დრო სადაა?...

— ჰა, გამაიტა ჯოო! — დაქაჩა თვალები საზამთროების კანონიერმა პატრონმა.

მაგრამ რალაცას ღმერთი ყოველთვის მკარნახობს ხოლმე — გამოუვალ მომენტში.

გავლასლასდი მეორე ოთახში, გამოვიტანე დიდი ამბით ეს კურკანტელა საზამთრო. დავდე მაგიდაზე. ვითომ აქაც არაფერი, დანას დავუწყე ძებნა უთავბოლოდ.

გივიმ საზამთროს შეხედა ორივე თვალით. მე ცალ თვალს ვაპარებ. გივი შეიშმუშნა. რა თქმა უნდა — შეიშმუშნებოდა, ეპატარავა თვალში. ეპატარავებოდა, აბა რა ჭირი იქნებოდა, პატარაა და... ამოიღო სათვალე, დინჯად გაწმინდა, მოირგო თვალზე და ახლა სათვალით გაჰხედა. მაინც პატარაა — აშკარად უკმაყოფილოა.

— რა იყო, გივი? — „შევჯექ ტყემალზე“.

— კაცოო ე, რა პატარა გამაიტანე ჩემსავითა... მახსოვს, უფრო დიდებიც იყო იქა — გააპარა თვალი მეორე ოთახისკენ.

— ააა, ესაა პატარა? — კარგი, ბატონო. დიდს გამოვიტან. შევაბრუნე მეორე ოთახში ეს საცოდავი საზამთრო, ისე, რომ ხელიდან არ გამიშვია, ამოვასველე წყალში და დავდე მაგიდაზე, დავდე და ისევ „დანას ვეძებ“.

— არა, ეს კი ჯობია, მაგრამ უფრო დიდიც იყო, რას უნახამ ჯოო?... შენახული ეშმაკისაა. თუმცა შენზე დიდი ეშმაკი სადაა? ჩაიბურტყუნა თავისთვის.

— რას ბუტბუტებ, კაცო შენ, მანდა?! — „გავბრაზდი“, საზამთრო გინდა?... მოგიტანე, ძმაო. პატარააო... ვაა!

— პატარა იყო და...

— მაცალე!!! იყო და — გამოვცვალე. უფრო დიდი მოგიტანე, ახლა აეროსტატისხელა საზამთრო სადაა ამ გვალვაში, თუ ძმა ხარ?

— უფრო დიდ...

— ხო, კარგი, კარგი. ძალიან გაჭირვეულდი შენ ამ სიბერეში. დავავლე ხელი იმ საცოდავ საზამთროს და მივაშურე მეორე ოთახს. ამოვასველე ისევ. „ხვნეშით“ გამოვიტანე და დავდე მაგიდაზე. დავდე და „ვეძებ“ დანას.

— ახლა ესეც არ დამიწუნო, თუ გიყვარდე.

— შენა მე შტერი ხომ არა გგონივარ, ლოთიანად? — გაბრაზდა გივი და გაიფხორა. დამცეცხლა.

— რატომ კადრულობ, გივი?

— მა, რა — გამაიტანე ის უდღეური საზამთროები. ვითომ ვერ მივხვდებოდი. აი, ესა — იმათ ჯობია. მაიტა, გაჭერი.

მაშინაც „გადავრჩი“.

## მე და „ლეჟანკა“

ზაფხულობით რაიონებში გავდიოდით გასტროლებზე.

იმხანად სამტრედიის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში უნდა ვითამაშოთ „სტუმარ-მასპინძელი“.

იმ სპექტაკლში თავადის როლს ვასრულებდი. თავადებს, მოგეხსენებათ, ტახტები ჰქონდათ ოჯახებში. გაგორდებოდნენ ტახტზე და ნებივრობდნენ (ასე იყო სცენარში).

კაცმა რომ თქვას, ბრიგადით დავდიოდით, რაიონიდან რაიონში, ერთი საცოდავი „ყუბანი“-თ (ავტობუსია) და ტახტს ხომ არ ვათრევდით, ჩვენ ძლივს ვეტეოდით. ხოდა სოფელში „ლეჟანკას“ ვთხოულობდით და იმ „ლეჟანკით“ გავდიოდით იოლად.

იკითხავთ, „ლეჟანკა“ მაინც არ ეტეოდა იმ ავტობუსშიო?

გიპასუხებთ, „ლეჟანკა“ კი ეტეოდა, მაგრამ ერთ-ერთ წარმოდგენაზე ვერ მოვზომე და გაიხა... ხო და...

აღნიშნულ სოფელში რომ ვართ და სცენა რომ მოვაწყვეთ, მაშინ გამახსენდა ის დაწყევლილი „ლეჟანკა“.

გამოვედი გარეთ. ბავშვების კორიანტელია.

— ბალნებო, „ლეჟანკა“ არავის გაქვენ ოჯახში? — დავსვი სოფლისთვის „თავისმომჭრელი“ კითხვა.

— ყველას გვაქვსო, მიპასუხეს „შეურაცხყოფილმა“ ბავშვებმა. ერთმა ყველას დაასწრო:

— მე მაქვს, ბიძია არტისტო, ლეჟანკა...

შევხედე... ორი დიდი კაცის სამყოფი თავი აქვს, არადა, ნამდვილად ბავშვია, აბა, დიდი ტრუსიკით ხომ არ მოვიდოდა კლუბში?

— გაქვს ბიძიკო და მომიტანე... მაგიერში, უფულოდ შეგიშვებ კლუბში-მეთქი.

